“დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



ლიტერატურული მესხეთი

№5 (245)
მაისი
2019 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდამეერთე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

მაყვალა გონაშვილი – 60

თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ შესანიშნავ წარმომადგენელს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს, გულითადად ვულოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს. სინატიფითა და სიღრმით გამორჩეული მისი პოეზია მკითხველს ეროვნულ ფასეულობებს შეახსენებს და ამაღლებულ განწყობას უქმნის. ღმერთმა დალოცოს ქალბატონი მაყვალა და დიდხანს ამუშაკოს ერის სამსახურად.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

პოეზიის ამორძალი

მაყვალა,

შენ ჭეშმარიტად ქართული პოეზიის დედოფალი ხარ.

ეს აზრი შენს პოეზიასა და პიროვნებაზე ფიქრისას სამმა გარემოებამ განმიმტკიცა:

უპირველესი ის არის, რომ შენ შესძელი მართალი, გულში ჩამწვდომი ლექსით მაღალი მატერიებისადმი გულგრილ ამ საუკუნეში ჩვენი თანამედროვის ლამის გაუხეშებული სულის სიმები შეგერხია. შენი პოეტური აზროვნება სრულიად ახალია, ორიგინალური. იმ სუპერ-პრობლემებს დასტრიალებს, რასაც აქამდე კალამი არ შეხებია. გაკვალული ბილიკებით არ გივლია. უნაზეს ლირიკას მრისხანე სამოქალაქო პათოსი შეუთავსე და მიაღწიე იმას, რომ საქართველო შენს ხმას უსმენს.

მეორე: შენი დედოფლობა ჩვენი ბედდამწვარი ერისადმი შენმა დაუცხრომელმა ჭირისუფლობამ განაპირობა. ქვეყნის გადარჩენის, მისი ვერდაჩოქების სადარაჯოზე დგახარ და არ იღლები. მამულის ბედის გამოკვერვა დაგისახავს მიზნად და ამ რუდუნებაში უკომპრომისო ხარ, მამაცი და ხშირად თავგანწირულიც. ამ შეუპოვრობით შესძელი, რომ თავგასულობის მრისხანე ათწლეულში მწერალთა კავშირიც გადაგერჩინა და ქართველი მწერლის უმწიკვლო ავტორიტეტიც.

მესამე: ღირსეულთა მიმართ სათნო და მომფერებელი, არაერთგზის მინახიხარ შეჭირვებული მოყვასისთვის უკანასკნელი ლუკმა რომ გიწილადებია და თვითონ მშიერი დარჩენილხარ. ნიადაგ სამშვიდობო მანდილის ჩამგდები და შერიგების მომხრე, იმათზეც კი ლოცულობ, ვისაც ზოგჯერ ავიწყდება, რომ ქალი ხარ.

არ შეგეშინდეს, შენი თანმიმდევრობის და სრულყოფისათვის ღმერთს უყვარხარ, მაყვალა!

როცა შენზე ვფიქრობ, თვალწინ მიდგას ხოლმე ჭეშმარიტი პოეზიის ნათლით მოსილი, ყანაოთისფერი ქალი, ჯვარივით რომ უპყრია ზეშმართული, თავისი ერისადმი მიძღვნილი ძვირფასი საჩუქარი – საკუთარი სულის ლირიული ხატი – წიგნი და ფეხშიშველი მიუძღვის მკითხველს განწმენდის ცისფერ ბილიკებზე.

შენ იცი, რა ძნელია საქართველოში „იყო პოეტი და იყო ქალი“.

რაოდენ ნაზი ჩურჩულით, კლდემით და გულშიმწვდომი სინატიფით გვესაუბრები სათნოებაზე და სიკეთეზე.

რა კარგად იცი ადამიანის სულის ურთულეს ლაბირინთში პოვნა იმ ფერებისა, რასაც მხოლოდ შენ ხედავ და რაიც მაღალი პოეზიის მადლით ბრწყინავს.

ამ ბოლო დროს შენმა მუზამ გარემოებისა გამო ახალი თვისება შეიძინა. მიტინგებზე ჩანხარ მუშტშემართული, ამორძალივით უშიშარი და გაბედული.

განგაშის ზარებს არისხებ იმათ წინააღმდეგ, ვინც შენი ამაყი ერი „ტელებედნიერად“, ხოლო ქვეყანა თოჯინების თეატრად გიქცია.

რა ძვირფასია წლებით დაღლილ-დამძიმებული შენი მწერალი ძმებისთვის შენი სილაღე და თანალმობა.

რა დროული და დიდებული ხარ მოშუღარ ძმათა შორის ჩასაგდები მანდილით ხელში.

ვინძლო საქართველო არ ჩავაძინოთ, ვინძლო ერთგულად ვუგუშაგოთ ჩვენს ტანჯულ მამულს, ვინძლო ერთად გავიტანოთ ჩვენ-ჩვენი ხნული ჩვენი შთაგონების ანეულში.

...და მერე, თუ შევატყვე, რომ ვეღარ მოგყვები და სადღაც ჩამუხლულს სამუდამოდ შემომაღამდება, ბედნიერად ჩავთვლი თავს შენი წმინდა ცრემლის ერთი წვეთიც თუ დამეცემა.

რევაზ მიშველაძე,
მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი

ამ სიყვარულით ვეფლოთ!

საქართველოში თითქოს მინავლდა ეგრერიგად აღტყინებული პატრიოტული სულისკვეთება, თითქოს ყავლი გაუვიდა ზნეობას, მორალს... მაგრამ დიდი ილიას გაკვალული გზით გვირაბს იქით მაინც დაჟინებით ილტვის ქართველი კაცი და ეს ლტოლვა მარადიული სინათლის ძიებაშია, რადგან იცის, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

ქართველი ერი ბევრჯერ დაცემულა და მკვდრეთით აღმდგარა, ვითარცა ლაზარე... მაგრამ მთავარი ისაა, რომ ქართული სული, სალი კლდესავით შეუვალი, ფოლადივით იწრთობა და გადაშენება არ უწერია...

ქართული სულიერების სადარაჯოზე კი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ერთგულ მეციხოვნედ დგანან ქართველი მწერლები და პოეტები, – ჩვენი სალიტერატურული გამოცემები. ისინი თავიანთი „სულის პურით“ კვებავენ და უანგარო სამსახურს უწევენ ქართველ ერს, რამეთუ ერის ხსნა იმ მრავალსაუკუნოვან ტრადიციებშია, რაც ქართულ კულტურაშია გამოხატული.

ჩვენი სულიერების დიდ ჭაპანს, მათთან ერთად, ჩვენი საყვარელი იუბილარი ჟურნალი „ოლეც“ 15 წელია უდრტუნველად ეწევა და ღირსეულად აგრძელებს იმ დიდ ტრადიციებს, რაც კახეთმა შესძინა სრულიად საქართველოს.

ჟურნალი „ოლე“ მართლაც გამორჩეული, მრავალფეროვანი და ორიგინალური გამოცემაა, რომელიც სწორედ იმ დიდ მამულიშვილურ საქმეს აკეთებს, რომელიც ესოდენ ჭირდება დღევანდელ საქართველოს. ამ ჟურნალში დაბეჭდილ ავტორთა გულისთქმა, მთელი კახეთის და, მე ვიტყოდი, სრულიად საქართველოს გულისთქმაა; ჭეშმარიტად ეროვნული სულით დამუხტული ჟურნალის თითოეული ნომერი, ქართული კულტურის დიდი შენაძენია, რომელიც დროს უსათუოდ გაუძლებს და მომავალ თაობებს სულიერ საზრდოდ გაჰყვება.

ძვირფასო კოლეგებო, ბევრს ციდან ჩამოყრილი მანანები ჰგონია ჟურნალის გამოცემა, მაგრამ რამდენ შრომას, უძილო ღამეს იტევს, ეს ბევრმა როდი იცის. სწორედ ამიტომ, თქვენი დიდი ღვაწლის საფასურად, მიიღეთ ჩვენი გულწრფელი მილოცვა და ღმერთმა ქნას, 15 კი არა, 150 წელი ისეთივე შემართებით გამოდიოდეს ჟურნალი „ოლე“, როგორი შემართებითაც ამჟამად გამოდის, – არც ღირსეული შემოქმედები მოგკლებოდეთ და არც ერთგული მკითხველები.

განსაკუთრებული სიყვარულით ვლოცავთ ჟურნალის სულისჩამდგმელსა და დიდ პოეტს, ჩვენს ერთგულ მეგობარს, ფარნა რაინაულს, მთავარ რედაქტორს, შესანიშნავ მწერალსა და მთარგმნელს აკაკი დაუშვილს, სარედაქციო საბჭოს თითოეულ წევრს და გვჯერა, თქვენი ასეთი დამოკიდებულებით კვლავაც შეძლებთ მომავალში საქვეყნო საქმეების კეთებას.

დიდი სიყვარულით, მეგობრობით,
ავთანდილ გერიძე,
გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი

დიდი აღიარება

ქართული პუბლიცისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს შემოქმედ ჟურნალისტთა კავშირმა საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, გაზეთ ,,მესხეთის უნივერსიტეტის“ რედაქტორს – **მარინე ზედელაშვილს** სერგეი მესხის სახელობის პრემია მიანიჭა.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია სულითა და გულით ულოცავს კეთილშობილ, უნიჭიერეს ქალბატონს, ჩვენს მეგობარს, ამ დიდ ჯილდოს, რომელიც მან წლების განმავლობაში ხანგრძლივი, ნაყოფიერი და დაუღლავი შრომით მოიპოვა და გვჯერა, კვლავაც ბევრ დიდ და სასიკეთო საქმეს გააკეთებს ქართული პუბლიცისტიკის განვითარების საქმეში.

შარად ახალგაზრდა პოეტი

დღეს იშვიათია საქართველოში მცხოვრები ადამიანი, რომელიც არ იცნობდეს ჩვენს სასიქადულო, სათნოების, ჭეშმარიტი ადამიანობის განსახიერებას, დიდებულ ქართველსა და მამულიშვილს, გამოჩენილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ქალბატონ მაყვალა გონაშვილს.

– ქალს ასაკს არ ეკითხებიან, მის წლოვანებას მისი შეხედულება განსაზღვრავსო, – ამბობენ. თუმცა იშვიათი გამონაკლისიცაა, როდესაც ქალს ასაკი ვერ ჯაბნის, იგი, წლების მომატების მიუხედავად, ისეთივე რჩება, როგორიც გვახსოვს თუნდაც ათი, თხუთმეტი და მეტი წლის წინათ. სწორედ ასეთია მაყვალა გონაშვილიც, რომელიც ყოველთვის ინარჩუნებს ახალგაზრდულ ასაკს და მუდამ გამოირჩევა თავისი სინაზით და სიფაქიზით, მისი სულიერი სამყაროც ისეთივეა, როგორც მისი გარეგნული სახე.

სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. ადამიანი ხომ, თანაც პოეტი, თავის ბუნებას შინაგანი გრძნობებით გადმოგვცემს. ის ისაა, რაც მისი გული და სულია. რაც მისი ჭეშმარიტი ადამიანური სითბოთი და სიყვარულით გაჟღენთილი პოეზიაა.

მაყვალა გონაშვილი იმითაცაა გამორჩეული სხვა დანარჩენი პოეტებისაგან, რომ იგი ერთადერთი ქალია საქართველოს მწერალთა კავშირის ასწლოვან ისტორიაში, რომელსაც ღმერთმა მისი თავკაცობა (თანათავმჯდომრობა და თავმჯდომრობა) უბოძა. დღეს, როდესაც ეგრერიგად უჭირს ქართულ მწერლობას და ბედის ანაბარადაა მიტოვებული, – გარიყულია ქართული კულტურის ავანსცენიდან, იმ სივრციდან, რომელიც პირველი მასაზრდოებელი უნდა იყოს ჭეშმარიტი კულტურის აღორძინებისა, ქალბატონი მაყვალა მაინც დედაფუტკარივითაა – დაუღალავად იბრძვის, რათა ქართულ მწერლობას დაუბრუნდეს მავანთა მიერ შებღალული სახელი, რის გარეშეც შეუძლებელია ქართველი კაცის ეგრერიგად დამცრობილი ავტორიტეტის ამაღლება, ურომლისოდაც არც წინსვლას უნდა ველოდოთ და არც უკეთეს მომავალს.

ქალბატონო მაყვალა, ჩვენი გაზეთის ერთგულო მეგობარო და დიდო გულშემატკივარო, „პოეზიის სახალხო დღესასწაულის – შოთაობის“, ყოველთვის ძვირფასო, საპატიო სტუმარო და თანაზიარო, სულითა და გულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს. ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე და, რაც მთავრია, თქვენი საყვარელი და მისაბაძი ოჯახის კარგად ყოფნა გვისურვებია.

ერთი დიდი პოეტის ნათქვამისა არ იყოს: „მე თუ არ დავიწვი, შენ თუ არ დაიწვი, ბნელს რა გაანათებს“! და, მართლაც, თქვენც იმ დიდ შემოქმედებით წვაში ხართ, რომელმაც ბნელეთი უნდა გაანათოს და ჭეშმარიტების გზაზე დაგვაყენოს.

ღმერთმა დიდხანს გამყოფოთ ჩვენდა იმედად და ქვეყნის საკეთილდღეოდ!

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ სახელით,
ავთანდილ გერიძე

დისერტაცია წარმატებით დაიცვა

ამ დღეებში ახალციხის კერძო სკოლა „მზექას“ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ სარედაქციო საბჭოს წევრმა, **იოსებ (სოსო) გიქოშვილმა**, ფილოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების პრობლემატიკა“.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია ულოცავს ჭეშმარიტ მეცნიერს დისერტაციის წარმატებით დაცვას. ეს დიდი სიხარულია არა მარტო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მისი სკოლის, რედაქციის თანამშრომლებისა და სარედაქციო საბჭოს წევრებისათვის, ასევე თითოეული მისი კოლეგის, მეგობრის, ახლობლისათვის.

ბატონი იოსები არამარტო გამორჩეული მეცნიერი, არამედ ჩვენი გაზეთის სული და გულია, მისი თითოეული პუბლიკაცია თუ მოპოვებული ფოლკლორული მასალა განუსაზღვრელად დიდი შენაძენია ქართული ლიტერატურისა და კულტურის განვითარებისთვის.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, ჩვენო ერთგულო მეგობარო და თანამოკალმევ. ახალ-ახალი წარმატებები და გამარჯვებები გვისურვებია!

ლურჯი ბუშტი

მაია დიაკონიძე

მაია ზის და ჩაბნელებულ კედლებს შესცქერის, სიბნელეში რუხი კედლები კიდევ უფრო შავი ჩანს. ფანჯრისკენ გააპარა თვალი, მთვარეს ეძებს, რატომღაც ისიც არ არის, – იგვიანებს, – ეტყობა, ღრუბლები არ უშვებენ, – გაიფიქრა მაიამ, არადა, როგორ ელის მის გამოჩენას ცაზე... უნდა, ოთახში სიბნელე ცოტა მაინც გაიფანტოს. დედა წასვლის წინ შუქს უქრობს, ყურადღება არ მიიქციოს ფანჯრებში სინათლემო, რატომ? გოგონამ თვითონაც არ იცის... ჩააწვენს საწოლში, თავად კი სამუშაოზე მიდის. ისინი ერთ ოთახიან ბინაში ცხოვრობენ, დიდ ქალაქში. დედა სულ მუშაობს, დღისით და ღამით, ხანდახან შემოირბენს ხოლმე სახლში, მაიას საჭმელს დაუტოვებს, რამდენიმე საათი წაიძინებს და გარბის. იცის, ჭკვიანი გოგოა და არაფერს დააშავებს. გოგონას ძალიან ენატრება ბებია, დიდი სახლი, ჭრელი ხალიჩებით მორთულ-მოფენილი, ტახტზე ბებიას შეკერილი მუთაქებით. ოჰ, როგორ უყვარდა იმ მუთაქებით თამაში! დიდი სახლი აქვთ საქართველოში, მაგრამ ბებიას გარდაცვალების შემდეგ დედამ აქ წამოიყვანა, აბა, იქ ვისთან დაეტოვებინა?! თედო პაპასთან კი დარჩებოდა, მაგრამ, დედამ, არაო, მამა თვითონ ძლივს უვლის თავს და შენ როგორ მოგხედავსო. ნეტავ, ვისთან შეეძლო კიდევ დარჩენილიყო? სულ ეს კითხვა აწუხებს, ფიქრობს, ყველა ნათესავს გაიხსენებს ხოლმე, მაგრამ სოფელში ყველას ძალიან უჭირს, თავისთვის არა აქვთ საჭმელი, სხვისი მოვლის თავი ვიღას აქვს, ყველა გეგმას აწყობს, ფული სადმე ისესხოს და რომელიმე ქვეყანაში წავიდეს სამუშაოდ. ამბობენ, ამერიკაში წასვლა ყველაზე სარფიანიაო, მაგრამ ამაში რას გულისხმობენ, პატარა გოგონა ვერ ხვდება. დედამისს კი თბილისში ბინის ყიდვა უნდა, ამიტომ არიან აქ. ამბობს, – იმ ბინას გავაქირავებ და სოფელში ცხოვრება აღარ გაგვიჭირდებაო. აქ მაია სკოლაში ვერ დადის, ბაღში მაინც მიეყვანა დედას?! – საბუთები არა გაქვსო წესრიგში, – ეუბნება, – ცოტა ხანი მადროვე, შენთვისაც მოვიცლიო, – მაგრამ ეს ხანი ვერა და ვერ დადგა. სწყინს მაიას, – თავის თანატოლებსაც ვერ ნახულობს. მეგობრები ახსენდება: თიკუნა, გოგლა, ნიკა... მდინარეზე საბანაოდ წასულებს ბებოც მიჰყვებოდა, ეს ჩაბარებული ბავშვი ემანდ ხლაფორთში არ გაებასო. ქუჩაშიც იშვიათად გაჰყავს დედას, არ სცალია. გერმანული სიტყვები ცოტა-ცოტა ისწავლა. დედამ სურათები გამოუჭრა მუყაოსგან: ყვავილების, მსხლის, მანქანის, ვაშლის. ყველა სურათს ქვემოთ ჯერ ქართულად აწერია თავისი სახელი, მერე გერმანულად. დედა თვითონ ასწავლის ქართულ წერა-კითხვას და გერმანულსაც. თვითონ გერმანული ენის სპეციალისტია, მაგრამ სოფელში სამუშაო ვერ იშოვა, ერთი გერმანულის მასწავლებელი უკვე ჰყავდათ დაცლილ სოფელში და მეტი რაღაში სჭირდებოდათ? ეშინია მაიას სიბნელის, მაგრამ დედას ვერ ეუბნება, არ ეწყინოს, არ შევაწუხოო. ლოგინში ჩაწოლილს ჩრდილები წამოესევიან ხოლმე, ზოგს დათვის ფორმა აქვს, ზოგს დევის, ზოგსაც – ჭინკების, – პატარა რქებიანი არსებების. დევების განსაკუთრებით ეშინია, – ბებია ზღაპრებს უყვებოდა მათ შესახებ. მართალია ისინი ყოველთვის მარცხდებოდნენ ადამიანებთან ბრძოლაში, მაგრამ, რა, იცი? თავზე საბანს წაიხურავს ხოლმე მაია, თავის ბუნაგში შემძვრალს აღარაფრის ეშინია.

ერთ ღამესაც უცნაური არსება წაადგა თავზე, არ უნდა სახეზე შეხედოს, იცის, კიდევ უფრო შეეშინდება... მხოლოდ ფეხებზე უყურებს, კაბა აცვია, – ქალიაო, – გაკვირვებული ფიქრობს, – ფერია ხომ არ არის, საქართველოში დამაბრუნოსო, იქნებ ბებიას სული გამომეცხადაო, მკერდზე ჯვარს ეძებს, მღვდელმა რომ დაჰკიდა ნათლობისას. მას მერე არასოდეს მოუხსნია, ბებია ეუბნებოდა, – ეს არის შენი მფარველიო, ახლაც ცდილობს, ხელი შეახოს, ხელებს იფათურებს მკერდზე, დაბნეულობისაგან ვერ პოულობს, არც ბებიას ნასწავლი „მამაო, ჩვენო" ახსენდება, – სახლში ვინმე თუ არის, შენ გარდაო, – ეკითხება უცნაური არსება. – არაო, – უნდა თქმა და ვერ ამბობს, ენას ვერ ატრიალებს. ბოლოს, – ღმერთო, მიშველეო! – წამოიძახა. გამოსახულება მის თვალწინ ნელ-ნელა ქრება, ძილ-ბურანშია, ვეღარ იგებს, სინამდვილეშია ეს ყველაფერი თუ მხოლოდ ეჩვენება. როცა გაიღვიძა, დედა სახლში დახვდა. ყველაფერი მოუყვა, – ბინის პატრონი ხომ არ იყოო, – თავისთვის ლაპარაკობს დედა, – მაგრამ რატომ შემოვიდოდა უკითხავადო, ხომ არ მოგელანდაო? – გოგონას ეკითხება, დაკვირვებით აცქერდება თვალებში. ბოლოს მაიას მამას ურეკავს, ისიც ამ ქალაქში ცხოვრობს. დედა ამბობს, – გერმანელი ცოლი მოიყვანაო. თვითონ მამა არაფერს ეუბნება, მაიაც არ ეკითხება არაფერს, ასე ურჩევნია. ამ ამბის მერე მაიას იშვიათად ტოვებენ მარტო, ხან მამა არის მასთან, ხან დედა, ხანაც დედას დაქალი – დეიდა მაკა, ისიც მათი სოფლიდანაა. დედაც მან წამოიყვანა აქ სამუშაოდ. თვეში ერთხელ მაია ფოსტაში მიჰყავს დედას, პაპა თედოს ამანათი და ფული უნდა გაუგზავნოს. ეშინია, მოხუცებულს არაფერი გაუჭირდეს. რამდენიმე ქუჩას გადაივლიან სახლიდან ფოსტამდე. უკვირს გოგონას, რა დაწკრიალებული ქუჩებია, ყველგან სისუფთავეა, სხვანაირი სახლები დგას, ასეთები სხვაგან არ უნახავს, თუმცა არც არსად ყოფილა თავისი სოფლის გარდა. თბილისის აეროპორტშიც რომ წაიყვანეს, გზაში ჩაეძინა, მგზავრობისას გული ერევა და ცუდად ხდება. მამას მაღაზიებში მიჰყავს ხოლმე, კამფეტებს და სათამაშოებს ყიდულობს, დეიდა მაკა ბავშვების სათამაშო მოედანზე ჩაიყვანს, იქვე, სახლთან ახლოს. გოგონა შორიდან უყურებს პატარებს, ჯერ გერმანული არ იცის, რა ენაზე ელაპარაკოს?!

ერთ დღესაც სიზმარი ნახა: ცაში პატარა ლურჯი ბუშტი მიფრინავდა, სწორედ ის, მაიამ რომ გაუშვა ბებიასთან, მასთან მივიდა, გაეხარდებაო. წითელი და ყვითელი თავისთან დაატოვა, დედასთვის უნდა მიეტანა (დედასაც ძალიან უყვარს ბუშტები, ერთად ითამაშებენ). ყველა ბუშტი მამამ უყიდა ერთ მაღაზიაში, რომელსაც „სურვილების კიდობანი" ჰქვია. იქ მოხუცი კაცია გამყიდველი, რომელიც მაიას ძალიან, ძალიან მოსწონს, რადგან ყოველთვის იღიმება და კამფეტებს ჩუქნის, თანაც ჩვეულებრივს კი არა, თეთრს, წითელი ზოლებით. ბებიას რომ ჰქონდა მისთვის შენახული, სწორედ ისეთებს. სამსახურიდან შესვენებაზე გამოსულმა მას დაემშვიდობა და სახლისაკენ მოკურცხლა. უცებ გზაზე ჩრდილი შენიშნა, ვიღაცის ჩრდილი, უზარმაზარი, მის პატრონს კი ვერ ხედავდა, ჩრდილი ძალიან გრძელი იყო, დასასრული არ უჩანდა. გოგონა ცდილობდა გზა განეგრძო, მაგრამ სიშავე ავის მომასწავებლად გაწოლილიყო მის წინ, თითქოს ემუქრებოდა. შეშინებულმა უკან მიიხედა. ავდარი მოჰყვებოდა. – ღრუბლების ჩრდილიაო, – გაიფიქრა და ფეხს აუჩქარა. – ჩქარა წადი სახლში! – ეძახოდნენ ხის ტოტებზე ჩამომსხდარი ჩიტუნები, – ჩქარა წადიო! – ეძახოდნენ ბაჭიები და ციყვები, თვითონაც რომ თავშესაფარს ეძებდნენ. გაიქცა გოგონაც, მაგრამ დაეწია ქარბორბალა, დაატრიალა თავის ბუშტებიანად და შორს, შორს წაიყვანა. როცა გონს მოვიდა, ცა დაინახა, ლურჯი ცა, მიწაზე იწვა, მიიხედ-მოიხედა, სულ მარტო იყო, მომჩვარული, გახეთქილი ბუშტებიც მის ხელთან ეყარა. გული დაწყდა, დედას ვეღარ გავახარებო, მაგრამ მალე ახალი სადარდებელი გაუჩნდა, – სახლში როგორ დაბრუნებულიყო, არ იცოდა. ქარიშხალს გადაევლო, მზე ათასფერად ანათებდა ნაწვიმარ ველს. სველი და ჭუჭყიანი ტანსაცმელი ეხამუშა, დედას ეწყინება, ასე რომ დამინახავსო. გონს მოგება ვერ მოასწრო, რომ ლურჯი ბუშტი დაინახა, ბებიასთან რომ გაგზავნა ცაში. გამოეკიდა, იქნებ დავიჭიროო. ბუშტი ხან ქვევით ეშვებოდა, – აი, ახლა მოვეჭიდებიო, – ფიქრობდა მაია. ის იყო ხელი უნდა ეტაცა, რომ ბუშტი ზევით და ზევით მიიწევდა. მისდევდა გოგონა ბუშტს და ოფლში იწურებოდა. მოულოდნელად თავისი სახლის წინ აღმოჩნდა. გახარებულს ბუშტი სულ გადაავიწყდა. კარებზე დააკაკუნა, დედა გამოეგება, – გეძებდი, სად დაიკარგეო! – გულში ჩაიხუტა გოგონა. დედის ხელებში მოქცეულმა ცალი თვალი ბუშტისკენ გააპარა, ის უკვე ზევით ასულიყო. მოეჩვენა, რომ თვალი ჩაუკრა და დაემშვიდობა. მალე თვალსაც მიეფარა, – ალბათ, ბებიასთან ეჩქარება, – გაიფიქრა გოგონამ.

მეორე დილას მაია ბედნიერი ადგა ლოგინიდან. სამზარეულოში მოფუსფუსე დედას მკლავზე ჩამოეკიდა და უთხრა, – როცა გავიზრდები, აუცილებლად დავბრუნდები საქართველოში, ლურჯი ბუშტი დამაბრუნებს.

დედამ თავზე ხელი გადაუსვა მაიას. თვალებიდან სიხარულის ცრემლები სდიოდა.

სან ჯუ

(ერთი კაცის ნაამბობიდან)

ნახატები ავტორისა და სოფიო ჭელიძისა

ხუთი წლის ვიყავი, მამისაგან ინგლისიდან წერილი რომ მივიღეთ, – ომის მერე აქ აღმოვჩნდი, საქართველოში ჯერჯერობით ვერ დავბრუნდები, ამა და ამ მისამართზე გამომიგზავნეთ წერილებიო. ცოცხალი აღარ გვეგონა, ამიტომ დედაჩემის, მამიდაჩემის, ბებია-ბაბუას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ომის მერე რომ არ დაბრუნდა, ყველას მკვდარი გვეგონა, თუმცა ამ სასიხარულო ამბავმა ჩვენს ოჯახს კარგი არაფერი მოუტანა. რამდენიმე დღეში დედაჩემი დააპატიმრეს, როგორც სამშობლოს მოღალატის ცოლი, ჩვენი ბინა გაჩხრიკეს, წაიღეს მამის სურათები, საბუთები, ნივთები. ერთადერთი ფოტო შემოგვრჩა, არ ვიცი, მაშინდელი უშიშროების წარმომადგენლებმა, ის როგორ ვერ შეამჩნიეს, მაგიდაზე დასადგმელი სარკის უკანა მხარეს იყო მოთავსებული. დედას ცხრა წელი ციხე მიუსაჯეს. დაიწყო ჩემი ხეტიალი, – ხან ერთ ნათესავთან ვცხოვრობდი, ხან – მეორესთან, ყველაზე ხშირად, მაინც დეიდებთან მიხდებოდა ყოფნა, თუმცა ამ დეიდებს ქმრებიც ჰყავდათ, რომლებიც, მაინცდამაინც, დიდი სიხარულით არ ხვდებოდნენ ჩემს გამოჩენას, მოგეხსენებათ, რა დრო იყო, ყველგან შიში და სასოწარკვეთა სუფევდა, ამიტომ დიდი ხნით შეყოვნება არავისთან მიწევდა. ასე გაიარა ოთხმა წელმა, დედაჩემი ციხიდან გამოუშვეს. დედა-შვილი ისევ შეერთდით, ბედნიერი ვიყავი, თუმცა სამშობლოს მოღალატის შვილის იარლიყით მიწევდა სკოლაში სიარული. სანამ დედა ციხეში იყო, მამისგან წერილები მოდიოდა, თუმცა პასუხის გამცემი არავინ იყო, ახლა ხშირად ვფიქრობ ხოლმე, ნეტავ, მამაჩემმა თუ იცოდა, რა შავ დღეში ჩაგვყარა მისმა გამოგზავნილმა წერილებმა? დარწმუნებული ვარ, არა და, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა იმას, რომ სიხარულის ნაცვლად მის წერილებს ჩვენთვის ტანჯვა და ცრემლები მოჰქონდა. ბედნიერება დიდხანს არ დაგვცალდა, მეშვიდე და ბოლო წერილი მივიღეთ მამისგან, – ინგლისის ჰავას ვერ ვეგუები, ჯანმრთელობა დამიზიანდა და ლათინურ ამერიკაში გადავდივარ საცხოვრებლად, მისამართს მომდევნო წერილში გამოგიგზავნითო. რამდენიმე დღეში კვლავ უშიშროების თანამშრომლები დაგვადგნენ თავზე, უნდა გადაგასახლოთო, ვუყურებდი, როგორ ეხვეწებოდა დედა, – რას გვერჩით, არაფერი დაგვიშავებიაო. ტიროდა, ემუდარებოდა, შავი ტყავის ლაბადებში გამოწყობილ ადამიანებს, დანდობას სთხოვდა, მაგრამ ისინი, თითქოს, ადამიანებიც არ იყვნენ. ვიდექი და ვუყურებდი დედას, ჩემს ანგელოზს. გამახსენდა: ერთხელ ყვავები დაესივნენ პატარა ბეღურას და დაკორტნეს, გული მიფართხალებდა, მაგრამ რისი გაკეთება შემეძლო ცხრა წლის ბიჭს, შიშისგან მუხლები მეკვეთებოდა. მივედი, დედას ჩავეხუტე, მეგონა, ძალას მივცემდი, გავამაგრებდი. ისევ ჩაატარეს ჩხრეკა, რაც ადრინდელ ჩხრეკას გადაურჩა, ისიც წაიღეს, ის ფოტო კი, რომელიც სარკის უკანა მხარეს იყო ჩამაგრებული, ისევ გადარჩა, მამა იმ სურათში თითქოს უჩინმაჩინად ქცეულიყო, ვერავინ ხედავდა.

კაცზე თექვსმეტ-თექვსმეტი კილოგრამის წაღების უფლება მოგვცეს, მაგრამ ჩვენ წასაღებიც აღარაფერი გვქონდა. შევკარით ერთი ბოღჩა და ყაზახეთის გზას დავადექით. მახსოვს საშინელი წამება, არ ვიცოდით სად მივყავდით. ადგილზე, ყაზახეთში, სოფელ სლავიანკაში ჩასულებსაც არ დაგვხვდა უკეთესი სიტუაცია, მინურებში მცხოვრებ ბერძნებთან გადაგვანაწილეს. არ მახსოვს ამაზე საშინელი წლები ჩემს ცხოვრებაში, შიმშილი, გაჭირვება, დედა დილიდან სამუშაოდ მიჰყავდათ, ბამბის საკრეფად. საქართველოდან 56 ათასი ოჯახი ვიყავით გადასახლებული. მე მარტო ვრჩებოდი ე. წ. სახლში, სხვა ჩემნაირ ბიჭებს დავუმეგობრდი, ცურვა ვისწავლე, წყლის არხი იყო გაჭრილი იქვე ახლოს. ორ წელიწადზე მეტი იყო გასული, რაც იქ ვცხოვრობდით. მეთორმეტე წელიწადში ვიყავი გადასული.

ერთ დღეს, საღამოს, სახლში რომ დავბრუნდი, დედამ ჩემი მისვლა ვერ გაიგო, ის მაგიდასთან იჯდა, მამას ფოტო ეჭირა ხელში, რომელიც აქაც წამოიღო, ისევ სარკის უკანა მხარეს იყო ხოლმე მოთავსებული, ამოეღო და დაჟინებით უყურებდა. გავშეშდი, მონუსხული ვუყურებდი ამ სურათს, უცებ ტირილით შუაზე გადახია, მომენტალურად ნაკუწებად აქცია ჩემი სათაყვანებელი მამის ხატი, რომელზეც, არ მოვიტყუები, ვლოცულობდი კიდეც. ღმერთმა მაპატიოს ეს მკრეხელობა, დედასთან მივირბინე, ხელებში ვეცი. ფოტოს ნაკუწები ხელში მეჭირა და ვყვირიდი: – რა ქენი, დედა, მამა მომიკალი? – ჩემმა ზარდამცემმა ყვირილმა ქალი გონს მოიყვანა, მაგრამ მე უკვე წყლის არხისკენ გავრბოდი, დედა უკან მომდევდა, – დაიცადე, შვილო, ყველაფერს აგიხსნი! – მომძახოდა, მაგრამ არაფრის გაგონება არ მსურდა. ხიდთან მივედი და წყალში გადავხტი. ვიგრძენი, დედაც გადმომყვა, ცალი თვალი მოვკარი მის თავსაფარს. ჩემთვის დრო გაჩერდა. ფრენა ნელი იყო, დედა, ჩემზე ადრე, ტყვიასავით ჩაეშვა წყალში. ვიცოდი, ცურვა არ იცოდა და მასაც ეგონა, რომ არც მე ვიცოდი ცურვა. თითქოს ჩემი დაჭერა სურდა, ხელები ჩემკენ გამოეშვირა. მეგონა, დაიხრჩობოდა, მოკვდებოდა. კეთილმა ადამიანებმა გადაარჩინეს. მას მერე არასოდეს დამვიწყებია ის წუთები, ჩემი მფარველი ანგელოზი, ჩემი დედა ღამისაა ღმერთმა წაიყვანა, შენ ვერ აფასებ, არ უფრთხილდები, ვერ უვლიო. მას მერე კიდევ უფრო შემიყვარდა ჩემი მშობელი.

მალე გარდაიცვალა საბჭოეთის ბელადი, – სტალინი. გვითხრეს, – საქართველოში გაბრუნებთო. პირველი ნაკადი გაემგზავრა კიდეც, ჯერი ჩვენზე იყო, სუფრა გვქონდა გაშლილი, სამშობლოში დაბრუნებას ვდღეასასწაულობდით იქ მყოფი ქართველები. მოულოდნელად არხზე სამხედრო გემი გამოჩნდა. გამიკვირდა, – რა ხდება-მეთქი. წასვლა ჩაიშალა, კიდევ წელიწადნახევარი დავყავით იქ, მხოლოდ ბერიას დაპატიმრების შემდეგ დავბუნდიას საქართველოში. აღარ მახსოვს, ის სარკე იქიდან წამოვიღეთ თუ არა, აღარ მაინტერესებდა, მამაჩემის სურათი იქ აღარ იყო, დედის გახსენებაზე კი დღესაც ის ავბედითი დღე მახსენდება, კინაღამ სიცოცხლე რომ მოვუსწრაფე.

 პოეზია

მაყვალა გონაშვილი

დიდებას ეძებ

სიმშვიდის მკერდზე თავმიდებულს
ვინღა შემრისხავს?
ხალხის ყაყანმა გადაფარა,
ღმერთო, შენი ხმა.
დღეს არვინ ესვრის დაღლილ პოეტს
დაფნას ან ტყვიას,
ერის ღირსებას და სიწმინდეს

ღრმა ძილით სძინავს.
ერთ თეთრად ფასობს თავდადება,
რწმენა, მორალი
და მაღალ ტახტზე თავს იწონებს
მეფე – დოლარი.
იცვლება ჟამი,
არ იცვლება ქვეყნად არცა-რა,
დიდებას ეძებ?
უნდა იყო ცოტა ცანცარა.
არჩევნებიდან არჩევნების
ვცხოვრობთ ლოდინით,
სიტყვა – „სანამდის?“
გულზე გვაწევს, მძიმე ლოდივით,
როს ერის მამას ლაზღანდარა
დააყრის სიცილს,
მე როგორ ვიყო შუაკაცი
ცისა და მიწის?
უდაბნოს შინა მღაღადებლად
დარჩა ჩემი ხმა.
ყრუ სამყაროში ვინ განმკიცხავს,
ვინღა შემრისხავს?!

ეს მე ვარ, დავარ...

მას სიბრძნისა სასწავლებლად
თვით მეფემან მისცა შვილი.
შოთა რუსთაველი

სახელად მქვია მე დავარ!
დიდი ხელმწიფის და ვარ.
ვისთვის გულქვა და ზვიადი,
ვისთვის მე სიბრძნის ზღვა ვარ
და უთენარო სოფელში
მრუმე ჯანღივით დავალ.
არ მომასვენა ცოდვებმა
მდია ნადირის გეშით,
სამოთხის კარს ვინ გამიღებს,
უსიყვარულოდ შეშლილს?
შევრჩი ჯოჯოხეთს, ჯოჯო ხეს
ცრემლებს ვაპკურებ პეშვით.
აქ მზე არ მზეობს, უკუნეთს
გაჰკვეთავს მთვარის ეშვი,
დგას ჩემში დიდი ტკივილი,
ვით მიწის ძალა ხეში,
მე სიბრძნის ყველა წიგნს გავცვლი
მიჯნურთა სიშლეგეში.
მახსოვს ხელმწიფის მუქარა,
აქაც ჩამესმის ის ხმა,
ქაჯებმა ვერა დამაკლეს,
გამწირა ჩემმა სისხლმა,
უსიყვარულოდ სიბრძნის ხე
რა მწარე ნაყოფს ისხამს.
განა სულ ასეთი ვიყავ,
ვით ნაავდრალი ზეცა,
ერთ დროს მეც ვიყავ მზის სწორი,
მეც გაზაფხული მეცვა.
ცრუ და მუხთალმა სოფელმა
მალე მიცვალა სახე,
დამცინა წერა-მწერალმა
ქაჯებთან მეინახემ,
ფერადი ჭიჭნაურები
სკივრებში გადავნახე,
სულ წყევლა-ცრემლით დავკემსე
ღამე-ქვრივთათვის მახე.
გული ჰგავს გამსკდარ ბროწეულს,
წამით დამადეთ ხელი,
მე რა ბრალი მაქვს, სოფელი
იყო ავისა მქმნელი.
წიგნს შევრჩი გახსნილ ჭრილობად,
როგორც ღაწვს ცრემლი, სველი.
ეს მე ვარ, დავარ, მეფის და,
ერთ დროს ბრძენი და ქველი.

ის, ვინ(ო) შენ გსურდა

არ უწერიათ დამშვიდება შეშლილ ქალაქებს,
არც შეშფოთებულ პოლიტიკოსებს,
არჩევნების წინ ხალხზე მზრუნველებს,
მშვიდობისათვის დაწყებულ ომებს,
სხვათა ომებში დაღუპულ გმირებს,
არ უწერიათ დამშვიდება და მოსვენება.
არ უწერიათ დამშვიდება დაცლილ სოფლებს და
დამშრალ წყაროებს, დამშრალ ცრემლებს,
სიმწრისაგან გამშრალ ბაგეებს,
მათ, ვისაც ომმა ჩამოუჭკნო ბავშვობის ია,
მამებს,
რომლებიც უმწეობით დაპატარავდნენ,
დედებს,
რომლებსაც რძე დაუშრათ, მკნავანა შვილებს
აწოვეს ბოღმა, უნანავეს ,,შურისძიება“!
არ უწერიათ დამშვიდება და მოსვენება
საშოვარზე გაქცეულ ქალებს,
ცოლის იმედად დარჩენილ კაცებს,
კომპიუტერში დაკარგულ შვილებს,
რწმენადაკარგულ თაობებს და უთაო ლიდერს,
არ უწერიათ დამშვიდება და მოსვენება.
ეს ვინ გამოჩნდა, ვინ ამაღლდა
ზეცის თავანზე?
ანგელოზია? სატანუსია?
ან, იქნებ, სულაც,
სხვა პლანეტის მოქალაქეა?
ის არის, ვისაც შენ ელოდი,
ის, ვინც შენ გსურდა,
რადგან ცხოვრება იმას გვაძლევს,
რასაც ვეძებდით,
რადგან სამყარო ისეთია,
როგორსაც ვხედავთ!

გაიღვიძა სიბრძნის წიგნი

მადლი ვქენი, ქვაზე დავდე,
ქვაც არ დამხვდა, რომ დავბრუნდი,
ვნახე როგორ დაეჭირა
აქლემის ქურდს ნემსის ქურდი,

ხალხს მოძღვრავდა ,,არამკითხე“,
,,მეტისმეტი და თავსრეტი“,
,,დღე-მეხვალიე" კაცებით
სავსე იყო პარლამენტი.
ნაბან წყალს ბავშვსაც ატანდნენ,
არ ზომავდნენ, ისე ჭრიდნენ,
სიმართლის ხემ ვერ იხარა,
დახერხეს და დაიკიდეს.
აღარ ეწვოდა ქურდს ქუდი,
და მარხავდა ცოცხლებს მკვდარი,
ათ კურდღელს ერთად იჭერდა
ორი კურდღლის მადევარი.
გროშად ფასობდა ზრდილობა,
აღარ ხტოდა კვიცი გვარზე,
მწყერი ხეზე შემჯდარიყო
და ბაყაყი - ხალიჩაზე.
ამირან გულში მღეროდა,
მთებმა უთხრეს მოძახილი,
და ბეღელი სავსე იყო
მხოლოდ ქარის მოტანილით.

***

გაცვეთილა, როგორც ძველი
ქოში, კაბა, ანდა გზები,
წინაპართა სიბრძნის წიგნი: –
იგავ-არაკ-ანდაზები ...

დემო(ნ)კრატია

სიტყვის თავისუფლება და დემოკრატია
არ ნიშნავს ყველაფრის უფლებას.

უწმინდესისა და უნეტარესის 2006 წლის
საშობაო ეპისტოლედან.

თვალი სარკეა გულისაო, მეც სარკე გულის
საგულდაგულოდ გადავრაზე მწვანე
ლინზებით,
გაოცებული საუკუნე გაოც-და-ერთდა,
გაუფასურდა ანდაზები, აფორიზმები.
ლექსი მავანთვის გახდა
ტექსტი – სიტყვანაკლული,
ვით ბალღი დედას, წარსულ დღეებს
გავეტირები
და მმოძღვრავს ცისფერ ეკრანიდან
თავად ცისფერი,
ყოველდღიური უზნეობის გაკვეთილებით.
აცახცახდება ვარსკვლავების ხომლი
ცარგვალზე
თრთიან, შფოთავენ წინაპართა წმინდა
სულები
და დასცინიან მამა-პაპის გაკვალულ
გზაწვრილს
ცოდვის მორევში მცურავნი თუ ფონს
გასულები.
აღარც მე ვგავარ რწმენით, ჟინით,
ამაყ წინაპარს,
როგორც არა ჰგავს შოთას შაირს ჩვენი
ქართული
და დააბიჯებს ჩემს ქუჩებში მშვიდად, ამაყად,
დემოკრატია – სიძულვილი ნებადართული.

ათასმეორე ღამე

სამსალანარევს რად სვამ შარბათს
ყოფის ჯამიდან,
მის ფსკერზე როდი ილექება ჩვენი წარსული,
მუდამ თან დაგვდევს, როგორც სისხლის
ჯადო-შელოცვა
თვალის უპეზე ნემსის წვერით ამოკაწრული.
ქალს ეძებდი და ჩამოგემსხვრა ნეკნი მრავალი,
მარცვლე ამაოდ ვარსკვლავების კრიალოსანი,
ყური დამიგდე, დავამღერებ ისეთ ბეითებს,
რომ გაოცდება დუნიაზე ყველა მგოსანი.
რით განუგეშო? ხომ გაკმიე სიტყვების საბრი?
შენთვის ვაკვნესე, ავატირე უდი და ჩანგი,
და როგორც ღამის ფარფალია,
თუმც შიშით ვკრთოდი,
სანთლების შუქზე ფრთებგაშლილი,
თამამი ვჩანდი.
მომენდე გულით, საუკუნო როდია ჭმუნვა,
წარმავალია მწუხარებაც სიხარულივით,
მე კი მრავალი ღამე სიტყვის გასვი ბადაგი,
მუცლით მეზღაპრედ გადავიქეცი შენი
გულისთვის.
ზეცის ზეწარი გავშალე და მოგესურვილე
და წუთით მაინც დაგავიწყე წუთისოფელი,
იქნებ მომენდო და დამინდო და დამებედო,
რადგან ცხოვრება იფრითია დაუნდობელი.
რომ არ მოგეკალ, წყაროსავით
გიკლავდი წყურვილს,
ღამე წიგნივით ვფურცლე, ვფურცლე და
არ გათავდა,
მე კი გავთავდი, დავლილე, როგორც სანთელი,
სანამ მზე ზეცის ლურჯ მინდორზე
ამოთავთავდა.
გაქრა შიში და ტანჯვის გზებით მეწვია
სიბრძნე: –
გრძნეული ქალი აცეკვებ ავსულს, შეითანს,
თუკი იპოვე ცხოვრებაში შენივე თავი,
თუკი შესძელი, თავი შენი თავად შეიცან...
თუმც ყველა ქალი როდი არის ღირსი
დანდობის,
თუმც ყველა კაცი ერთგულების როდია
ღირსი,
რად უნდა ქება ბრძენს, ისედაც არის ქებული,
ბოროტს სასჯელად ბოროტებაც ეყოფა
თვისი.
სხვა რაღა გითხრა, ისეც ბევრი სიტყვა
დავხარჯე,
კმაყოფილი ხარ ათასერთი ღამით ძლეული.

სიტყვის პერანგი ჩაგაცვი და სიტყვით
მოგნუსხე,
ჩემი ხარ მთელი სულითა და მთელი სხეულით.
მე კი კვლავ მაკრთობს ათასერთი
ღამე – გიშერი,
ცაზე ხმალივით კრთოდა მთვარე, ვერ
ვიძინებდი,
უკვე მომენდე და ალაჰიც ვეღარ გიშველის...
ათასმეორე ღამე დადგა შურისძიების!

ღირსახსოვარი

მის უწმინდესობას, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს

თვალებში სხივი, გულში რწმენა, ბეჭედზე
ჯვარი,
ვარ ბედნიერი და ურიცხვი განძის მფლობელი,
რადგანაც თითზე მზითნაფერი ბრწყინავს
ბეჭედი,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.
ვეღარ ვგრძნობ მიწას, ბინი სულის
ჩამოვიბანე,
როგორ მინავლდა ატეხილი გულში ომები,
მექცა ნუგეშად და მფარველად ჯვარი
ბეჭედზე,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.
სამაგიეროს ვუხდი როცა გულღრძოს, ავყიას
როდესაც სული ამევსება ლიქნით, ჭორებით,
ვგრძნობ თითზე როგორ მიმძიმდება ერთი
ბეჭედი,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.
ოდეს ჩემი მზეც დასალიერს ჩაიწვერება
და გულწრფელ ცრემლებს დამაყრიან
როცა სწორები,
ბევრს არასა გთხოვთ, ჩამატანეთ მხოლოდ
ბეჭედი,
უწმინდესისგან მოძღვნილი და ნასახსოვრები.

სიტყვა

შრიალებს სხეული,
ვერხვივით შრიალებს
ნაქცევის შიშით...
იმ ბოლო სიტყვამდე
პირველად, პირველის
ბაგიდან ვიშვით.
ჩემს მკერდთან ეძებეთ,
ისარი, რომელიც სამიზნეს ასცდა.
რა ჟამი დამდგარა, ჟამი უჟამური
უსიტყვო კაცთა.
მე მაინც გავრითმე, ლექსებად ვაქციე
სიტყვების ფეთქვა...
მამაო, უსიტყვოდ წყვდიადში
ვით გასძელ? ან რაი გერქვა?
– სიტყვა ვიყავ!
ვიყავ მუდამ!
სიტყვა ვარ და
სიტყვად ვრჩები!
სიტყვა – თქვენი გადარჩენა.
სიტყვა – ჩემი განაჩენი...
ერთი დიდი სიზმარია
ყოველივე დანარჩენი.
სიტყვების ტყე...
სიტყვების ტყვე...
სიტყვა – სეტყვა,
სიტყვა – ტყვია,
ირგებს სიტყვებს, როგორც გვირგვინს
ქვემძრომი და თვითმარქვია.
როცა სიტყვა ტლუთა ტყვეა
იფოთლება ანარქია.
სიტყვა – სული, სიტყვა სრული
სიტყვა – სევდა, სიტყვა – დედა.
თუმც შვილივით ვზარდე სიტყვა
დედასავით დამიბერდა.
ერთი სიტყვით,
მხოლოდ სიტყვის
მსახურება დამებედა.
სიტყვა – მკვლელი, სიტყვა – მჭრელი...
სიტყვა – ჭრელი, სიტყვა – ხაზი...
სიტყვა – ნება, სიტყვა – ვნება,
ტკბილი, როგორც ალვახაზი,
ლოცვის მტევნებს დაიმშვენებს
უსიერ ველს, უსურვაზი...
– სიტყვა ვიყავ!
ვიყავ მუდამ!
სიტყვა ვარ და
სიტყვად ვრჩები!
სიტყვა – თქვენი გადარჩენა.
სიტყვა – ჩემი განაჩენი!
ქარია და სიზმარია
ყოველივე დანარჩენი...

აღმაშენებელი – ივერთა დიდება

მხოლოდ პირჯვრის წერა როდია უფლის
რწმენა,
მხოლოდ შეძახილი გმირობა როდია.
დგებიან სულეთიდან შემკრთალი მამები
და ღამით არეულ სიზმრებში მოდიან.
როდესაც წყალიც კი წამით ჩაიძინებს
და ცაზე ობოლი ვარსკვლავი ბრწყინდება,
ვინ მიცქერს მთვარიდან, წმინდა გიორგია
თუ აღმაშენებელი, ივერთა დიდება.
„ვაშენე, ანგრიეთ, ვამტკიცე საზღვრები,
დღეს ჩემი მამულის სიმცირე მაშინებს,
ქართველნო, მოუხმეთ ჭკუას და გონებას
უფალს ნუ ივიწყებთ, ვაშინერს“.
მე კი იმ ბინდბუნდშიც თვალებს
ვერ ვუსწორებ,
ვარ შიშნაჭამი და უჭმელი,
მიწიდან ზეცამდე რა ხელმა აზიდოს
ეჭვებით დაბზარული ჭურჭელი?
თვალნო, რა არ ნახეთ, როგორ არ დამევსეთ,
რა ძალა გქონიათ, თვალებო,
მოძმესთან მოშუღლენო,
ოქროსთან მოშურნენო,
მტერთან მიმნდობნო და მხდალებო.
სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის?
სანამდის, ძმანო და მამანო,
ჩემო სატკივარო, ჩემო საფიცარო,
ჩემო დარღვეულო სამანო.
ჭრილობა გახსნილა და გველის ამბორი
არ მშველის წამლად და მალამოდ.
უნდა სხივით გქსოვო, უნდა ცრემლით გკემსო,
ჩემო დაფლეთილო ალამო.
სანამდის, სანამდის, სანამდის, სანამდის?
სანამდის, დანო და დედანო,
არ თქვას უკეთურმა, შეხედეთ, ქართველნი
მხოლოდ სატირალში სხედანო!
სანამდის ვახაროთ ჩვენს ბაღში ეკალი,
მტრის კარზე ვარდი და პირიმზე?
რა ვუთხრა ჩემს შვილებს, რა თვალით
შევხედო?
ან მკვდრებთან რა პირით მივიდე?
უდედოდ ზეცისკენ გზას ვერ გაიგნებენ
ბუდეს შერჩენილი ბარტყები,
ხიდი ვართ ნამყოდან მომავლის ნაპირამდე,
ვაი ჩვენ, თუ ერთხელ ჩავტყდებით!
ეს მტკვარი დუდუნებს, თუ კვნესის დავითი?
„დღეს ჩემი მამულის სიმცირე მაშინებს,
ქართველნო, მოუხმეთ ჭკუას და გონებას,
უფალს ნუ ივიწყებთ, ვაშინერს“.

დღემდე უცნობი მიგრაციული პროცესების შესახებ XIX საუკუნის სამცხე-ჯავახეთში

როლანდ თოფჩიშვილი

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიამ საქართველოში რამდენიმე აღწერა ჩაატარა, რომელიც, ძირითადად, კამერალურ აღწერად იწოდებოდა. აღწერებს, ზოგჯერ, საოჯახო სიებსაც უწოდებდნენ (მაგალითად, 1886 წლის აღწერა). აღწერები მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოში მიმდინარე მთელი რიგი პროცესების შესასწავლად, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ ეთნიკური შემადგენლობა და ეთნიკური პროცესები, მოსახლეობის შიდა და გარე მიგრაციული პროცესები, ოჯახების შემადგენლობა, პიროვნული სახელები და გვარსახელები, რელიგიოლქში გადასულან საცხოვრებლად. დოსხაევები სოფელ პესდახში (?) დასახლებულან, კარიევები – ნაზრანის სიახლოვეს, სოფელ სურხოხში *(საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 254, ანანერი 3, საქმე N 282).*

ქისტები დასახლებულან ლეპისისაურ-კონფესიური შემადგენლობა და სხვა. აღწერები საინტერესო მონაცემებს შეიცავს სამცხე-ჯავახეთის შესახებაც.

სამცხე-ჯავახეთში ქისტი მოსახლეობის შესახებ

XIX საუკუნეში, სამცხე-ჯავახეთის რუსეთის იმპერიაში შეყვანის შემდეგ, ეთნიკური თვალსაზრისით დიდი ცვლილებები მოხდა – ქართველი მაჰმადიანების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მამა-პაპათა მიწა-წყლიდან აიყარა და ოსმალეთის იმპერიის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე გადასახლდა. რუსეთის იმპერიამ მაშინვე დაიწყო სამცხე-ჯავახეთის ეთნიკური აჭრელება: აქ დიდი რაოდენობით შემოასახლა სომხური მოსახლეობა და რუსი სექტანტები (დუხობორები). ეს მიგრაციული პროცესები მხოლოდ ერთჯერადი აქტი არ ყოფილა, მუდმივად მიმდინარეობდა დასახელებულ ეთნიკურ ერთეულთა მცირე ჯგუფებად შემოსახლება, ხდებოდა ინდივიდუალური გადმოსახლებანიც, სხვა ეთნიკური ჯგუფების მიგრაციაც, რის შესახებაც ჩვენს მეცნიერებაში ფაქტობრივად არაფერია ცნობილი. მხედველობაში გვაქვს ქისტების მიგრაცია, რომლებიც აქ გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ.

ქისტების ჯგუფი XIX საუკუნის ბოლოს მიგრირებული იყო სამცხე-ჯავახეთში. უფრო რომ დავაზუსტოთ, ესენი იყვნენ ხევის სოფელ გველეთიდან გადმოსახლებული ეთნიკური ინგუშები. ინგუშების აქ გადმოსახლების ფაქტები დაფიქსირებულია 1873 წლის კამერალური აღწერის დავთრებში, რომლებშიც გვიანდელი მინაწერებია სამცხისა და ჯავახეთის რამდენიმე სოფელში მიგრაციისა და შემდეგ აქედან უკვე ჩრდილოეთ კავკასიაში – თერგის ოლქში გადასახლების შესახებ (1873 წლის აღწერა ბოლო კამერალური აღწერა იყო და, როგორც ირკვევა, მომხდარი ცვლილებები მუდმივად შეჰქონდათ. ბოლო მინაწერი 1912 წლით თარიღდება). ქისტები დასახლებულან არა კომპაქტურად რომელიმე სოფელსა თუ ნასოფლარში, არამედ გაფანტულან თორმეტ სხვადასხვა სოფელში.

მაჰმადიანი მესხები

ქისტები განსახლებული იყვნენ შემდეგ სოფლებში: ლეპისის საზოგადოებაში – არდახი, ვანი, გურბაგა-ოღლი, ნიალა, ვალეს საზოგადოების სოფელი არყის-ციხე, ურაველის საზოგადოების სოფლები ენთელი, ტრიბონი, იდუმალის საზოგადოების სოფელი ვარნეთი, აგრეთვე რუსთავი, ახალქალაქის მაზრაში ცხოვრობდნენ კვარშაში, ფათხანაში, წყალობაში.

ლეპისის სასოფლო-საზოგადოების სოფელ არდახში/არტახში ქისტების დასახლება 1890 წელს მომხდარა. ისინი გადმოსახლებულან საქართველოსავე ტერიტორიიდან – დუშეთის მაზრის სოფელ გველეთიდან. გველეთი ხევის სოფელი იყო, რომელშიც ინგუშები ცხოვრობდნენ. ინგიშების/ქისტების დასახლებამდე არდახში „თათრების“ ცხრა კომლი ცხოვრობდა. გადმოსახლებული ქისტები ორი გვარისანი იყვნენ: დოსხაევები (ორი კომლი) და კარიევები (სამი კომლი), სულ 5 ოჯახი. 1873 წლის აღწერის დავთარში მინაწერია არა მხოლოდ ქისტების აღნიშნულ სოფელში გადმოსახლების შესახებ, არამედ იმის შესახებ, რომ ისინი გარკვეული ხნის გასვლის შემდეგ, 1897 წელს აქედან აყრილან და ჩრდილოეთ კავკასიაში, თერგის ვე სასოფლო-საზოგადოების სოფელ აზგიუნდაში (1886 წელს ხერთვისის საზოგადოებაში შედიოდა). ამ სოფელში 16 კომლი „თათარი“ ცხოვრობდა. აქაც ქისტები 1890 წელს მიგრირებულან – კარიევები (2 ოჯახი) და დასხიევები (1 ოჯახი), სულ სამი კომლი.

ლეპისის საზოგადოების სოფელ ვანშიც 1890 წელს გადმოსახლებული სამი ოჯახი ქისტი ცხოვრობდა.

ქისტები დაფიქსირებული იყვნენ ლეპისისავე საზოგადოების სოფელ **გურბაგა-ოღლშიც.** სოფელში ათი კომლი „თათარი“ ცხოვრობდა, რომლებსაც 1890 წელს დამატებია გველეთიდან გადმოსახლებული ქისტი ოზიევების სამი კომლი. საარქივო დოკუმენტში ისიცაა მითითებული, რომ ეს სამი კომლი 1895 წელს ახალციხის მაზრის სოფელ ბაზირხანაში გადასულა.

ვალეს სასოფლო-საზოგადოების სოფელი იყო არყისციხე, რომლის ძირითადი მკვიდრნი სომხები იყვნენ (2 ოჯახი, 1886 წელს ისინი უკვე ოთხ კომლს შეადგენდნენ). 1890 წელს ამ სოფელში გველეთელი ქისტების შვიდი კომლი დასახლებულა. ისინი გვარად ჩერბიშევები იყვნენ. არყისციხიდან ჩრდილოეთ კავკასიაში, თერგის ოლქში, ქისტები 1898 წელს წასულან საცხოვრებლად.

იდუმალის სასოფლო-საზოგადოების სოფელი იყო დიდი ვარნეთი. აქ 1873 წელს 27 კომლი „თათარი“ იყო აღრიცხული. ამ სოფლის შესახებაც აღწერის დავთარში გვიანდელი მინაწერია, რომლის მიხედვითაც 1890 წელს აქ გველეთიდან 3 კომლი ქისტი დასახლებულა. სხვათა ანალოგიურად, ისინიც თერგის ოლქში გადასახლებულან 1898 წელს.

1873 წელს ურაველის საზოგადოების სოფელი ენთელი ქურთებით იყო დასახლებული (ცხრა კომლი). აქ სოფელშიც ქისტები გადმოსახლებულან გვარად გაზახოვები. 1890 წელს დასახლებულები ჩრდილოეთ კავკასიაში 1896 წელს წასულან. სხვათა შორის, 1886 წლის საოჯახო სიებით, ენთელის მცხოვრებლებად 7 კომლი პოლონელია მითითებული.

1873 წლის კამერალური აღწერის დავთრით ქისტები დასახლებულან სოფელ ნიალაშიც (ლეპისის საზოგადოება). სოფლის ძირითადი მკვიდრი 43 კომლი „თათარი“ იყო. აქ ხუთი კომლი ქისტი, გვარად ოზიევები სოფელ გველეთიდან 1890 წელს მოსულა. 1896 წელს ქისტები ნიალიდან აყრილან და თერგის ოლქის ნაზრანის „ოტდელის“ სოფელ ალტიევსკოეში გადასულან საცხოვრებლად.

სამცხის სოფელ რუსთავში (ჩეჩერეკის საზოგადოება), 1886 წელს ურავლის სასოფლო-საზოგადოებაში შედიოდა. 1873 წელს ოთხი კომლი ქურთი ცხოვრობდა. მათ აქ 1890 წელს ქისტები შემატებიან, რომლებიც გვარად ოზიევები (ორი ოჯახი) და გაზახოვები (სამი ოჯახი) ყოფილან. 1890 წელს მოსულები თერგის ოლქში 1896 წელს წასულან.

ურავლის სასოფლო-საზოგადოების სოფელ ტრიბონშიც დასახლებულან გველეთელი ქისტები. აქ მათ 1890-1896 წლებში უცხოვრიათ, რომელთა შორის გაზახოვების ოთხი და მაჯიევების/გაჯიევების ერთი ოჯახი იყო.

დასახლებულან ქისტები ჭაჭარაქის სასოფლო-საზოგადოების სოფელ წყალთბილაშიც (1886 წელს სოფელ ვალეს საზოგადოებაში იყო შეყვანილი). სოფელში მაჰმადიანი ქურთების 6 კომლი იყო აღრიცხული. მათ ქისტი გაზახოვები (ორი კომლი) 1890 წელს შემატებიან. ისინი თერგის ოლქში 1896-1897 წლებში წასულან.

სამი ოჯახი ქისტი ცხოვრობდა ახალქალაქის მაზრის სოფელ კვარშაში. აქ ექვსი კომლი „თათარი“ ყოფილა. გველეთიდან 1890 წელს ქისტები – გვარად კოტიკოვები იყვნენ მოსულები. ჩრდილოეთ კავკასიაში მათი ერთი ნაწილი 1896 წელს წასულა, მეორე ნაწილი – 1890 წელს.

ჯავახეთის სოფელ ფათხანაშიც მიგრირებულან გველეთელი ქისტები. აქ მათი ოთხი ოჯახი ცხოვრობდა, გვარად კოტიკოვები.

ამრიგად, არდახში, ნიალაში, რუსთავში – 5-5 კომლ ქისტს უცხოვრია, არყისციხეში – 7 კომლს, დიდ ვარნეთში, ვანში, გურბაგა-ოღლში, კვარშაში – 3-3 კომლს; ენთელში 9 ოჯახი ცხოვრობდა, ფათხანაში – 4 კომლი, წყალთბილაში – 2 კომლი. ისინი ძირითადად გაფანტული იყვნენ მაჰმადიანი ქართველების სოფლებში. მხოლოდ რუსთავსა და წყალთბილაში ქურთებთან ერთად ცხოვრობდნენ. ქისტების სამცხე-ჯავახეთის სხვადასხვა სოფელში გადმოსახლება მომხდარა 1890 წელს, ხოლო აქედან თერგის ოლქში მიგრაცია კი განხორციელდა 1891, 1896, 1897, 1898, 1900-იან წლებში. სულ სამცხე-ჯავახეთის სხვადასხვა სოფელში 51 ქისტის ოჯახი ყოფილა გადმოსახლებული.

როდის დასახლდნენ ქისტები ხევის სასაზღვრო სოფელ გველეთში, გაურკვეველია. **იოანე ბაგრატიონს** XVIII საუკუნის ბოლოს შეუდგენია ქართლ-კახეთის აღწერა, რომელშიც სოფელი გველეთიცაა შეტანილი: *„ქ. გველისთავი თუ გველეთი, მოსახალენი“.* ამ ჩანაწერიდან არ ჩანს გველეთში ქისტების მოსახლეობა. სოფელში რომ სხვა ეთნიკურ ერთობას ეცხოვრა, იოანე ბაგრატიონი აუცილებლად მიუთითებდა. ამის საფუძველს გვაძლევს ის, რომ იქვე, ხევში, სადაც ოსები ცხოვრობდნენ, ავტორს სათანადოდ აქვს მითითებული: *„ქ. კობი, მოსახლენი ოსნი“. „თრუსოს ხეობა 8 სოფელი მოსახლენი ოსნი“.* 1831-1832 წლის საქართველოს სამხედრო გზის ირგვლივ არსებული სოფლების აღწერაში რუსულ ხელისუფლებას 21 კომლი ქისტი (85 სული) ჰყავს დაფიქსირებული. ესენი იყვნენ: **კარიევები** (5 კომლი), **გაზიკიევები** (6 კომლი), **კოტიევები** და **ოზიევები** (3-3 კომლი), **ჩერბილეევები** (2 კომლი), **აზიევი** (1 კომლი). რაც ყველაზე საინტერესოა აღნიშნულ აღწერაში, **ქისტების სარწმუნოებად მითითებულია ქრისტიანობა,** უფრო სწორედ, „ბერძნულ-ქართული სარწმუნოება“. 1860 წლის აღწერაში გველეთელი ქისტების 40 ოჯახია მითითებული (255 სული). 1873 წლის კამერალური აღწერით კი გველეთში 43 კომლი ქისტი ცხოვრობდა (291 სული). გვარები ამ აღწერაში შემდეგ დაფიქსირებულია: **დოსხოევი, კარიევი, ჩარუბაშევი, ოზიევი, გაზახოვი, კოტუკოვი.**

რატომ გადასახლდნენ ქისტები ხევის სოფელ გველეთიდან სამცხე-ჯავახეთის სხვადასხვა სოფელში? ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, ან რა იყო შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში – თერგის ოლქში გადასახლების მიზეზი? გასარკვევია – ეს იყო ხელისუფლების მიერ ორგანიზებული მიგრაცია თუ თავად ინგუშების გადაწყვეტილება. ხევში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალებით, ქისტების გველეთიდან სამცხეში გადასახლების მიზეზი მათი ქურდობა იყო: *„გველეთში ქისტები ცხოვრობდნენ 60 კომლი და, როგორც ამბობდნენ, გიორგი ყაზბეგს გაუსახლებია იმის გამო, რომ ქურდობდნენ. გაუსახლებია ახალციხეში და იქიდან გამოქცეულან ქისტეთში. ბესულთანოვები არ გაუსახლებია მარტო, ერთი კომლი. ის არ ქურდობდა თურმე“ (მთხრობელი ივანე მიხეილის ძე წიკლაური, 89 წლის, სოფელი ცდო, 1990 წელი).* იყო თუ არა გველეთელების ხევიდან აყრის მიზეზი ქურდობა? ვფიქრობთ, რომ, არა! ის მხოლოდ საბაბი უნდა ყოფილიყო. ხელისუფლებას ქისტების ახალციხის მაზრაში ჩასახლებით მხოლოდ ერთადერთი სურვილი ჰქონდა. დაეახლოებინათ ისინი მაჰმადიანურ-თურქული გარემოსთვის. იქნებ მათ აქ უკეთესად ეგრძნოთ თავი და სხვა თანამემამულეებიც გაეყოლებინათ თან.

დუხობორები

რუსების – დუხობორების მიგრაციის შესახებ

ცნობილია, რომ რუსეთის იმპერია დაპყრობილ და შემოერთებულ ტერიტორიებს ეთნიკურად აჭრელებდა. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა. როგორც აღვნიშნეთ, მოსახლეობის ეთნიკური ცვლა განსაკუთრებით სამცხესა და ჯავახეთში მოახდინა. ქართველი მაჰმადიანები მასობრივად გავიდნენ თავიანთი განსახლების არეალიდან, ხოლო მათ ნასოფლარებზე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფები, განსაკუთრებით – სომხები და სექტანტი

დასასრული გვ.8 ▶

ჯაბა სამუშია

(გაგრძ. დასაწყ. იხ. N 1-4)

* * *

რუსეთის მიერ შემოერთებულ ტერიტორიაზე 1878 წლიდანვე დაიწყო ახალი ადმინისტრაციის ფორმირება. ბათუმის ოლქს სათავეში სამხედრო გუბერნატორი ჩაუდგა, რომელიც ამიერკავკასიის მეფისნაცვალთან იყო პასუხისმგებელი. ამ მოვლენებს გენერალი კომაროვი ასრულებდა.

1878 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით ბათუმის ოლქში ორი ოკრუგი შეიქმნა – ბათუმისა და ართვინის. არტანუჯი ამ უკანასკნელში გაერთიანდა. ართვინის ოკრუგში შედიოდა საკუთრივ ართვინის, არტანუჯისა და შავშეთ-იმერხევის უბნები.

ბერლინის კონგრესის დადგენილებით, სამი წლის მანძილზე შემოერთებული ტერიტორიიდან ნებადართული იყო თურქეთში მოსახლეობის გადასვლა. გადასვლის მსურველს მინის გარდა ყველაფრის გაყიდვის უფლება ჰქონდა. სხვათაშორის ამ გადაწყვეტილებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ძირძველი ქართული პროვინციების ეთნიკური სურათი. ამას დაემატა 1878-79 წწ. ჩამოვარდნილი შიმშილი, რამაც ათასობით ოჯახი აიძულა ცენტრალურ თურქეთში გადასახლებულიყო.

არტანუჯმა, როგორც ითქვა, კვლავინდებურად შეინარჩუნა პოლიტიკური ფუნქცია – იგი ამავე სახელწოდების უბნის ცენტრი გახდა.

XIX ს. 80-იან წლებში არტანუჯის უბანში 11 სასოფლო საბჭო შედიოდა. მთლიანად კი მასში 50-მდე დასახლებული პუნქტი იყო, რომელშიც 2421 კომლი მოსახლეობდა. რუსეთის იმპერიის 1884 წლის ოფიციალური სტატისტიკით, არტანუჯის უბანში ქართველები აღარ სახლობდნენ. 13 095 მოსახლიდან 11.668 თურქი, ხოლო 1427 სომეხი იყო. საკუთრივ ქ. არტანუჯში 202 კომლი ცხოვრობდა, მოსახლეობის საერთო ჯამი 875 სულს (აქედან 523 კაცი, 452 ქალი) შეადგენდა. 1883 წლიდან ართვინის ოკრუგი და, შესაბამისად, არტანუჯის უბანი ქუთაისის გუბერნიას დაექვემდებარა. 1903 წელს კი ბათუმის ოლქი და ართვინის ოკრუგი, არტანუჯითურთ მასში გაერთიანდა.

* * *

რუსეთთან შეერთების წინა პერიოდში არტანუჯი პატარა ქალაქი იყო. გაზ. „დროებაში“ ს. ბავრელმა გამოაქვეყნა კორესპონდეცია: „ახალი ქვეყნის ამბავი (სიზმარში და ცხადში ნანახი),“ რომელშიც მოგვცა არტანუჯის საკმაოდ საინტერესო აღწერილობა. „არტაანიდამ რომ იაროდ, – წერდა ს. ბავრელი, – ერთი დღენახევარი დასავლეთზე, მიხვალთ ერთ პატარა ქალაქში. ეს პატარა ქალაქი ძველად ჩვენი ყოფილა, ახლაც ჩვენი გახდა. თუ ჩვენია კიდევაც უნდა ვიცოდეთ, რა ქალაქია. აი აგინერთ:

ქალაქი დგას ერთი დიდი მთის – ვარსხეთის კალთაში. აღმოსავლეთით ჩამოუდის მდინარე არდანუჯ-ჩაი, რომელსაც ისე ჩაულრმავებია თავისი სავალი, რომ გაუჩენია ძალიან ღრმა უფსკრულები და მაღალი თვალ-აუწვდელი კლდეები; იმ ღელეში დგას რამთონიმე წისქვილები და ორ ალაგას გადადებულია იმაზე ხიდები. ერთ ხიდსა ჰქვიან შეითანქიოფრუსი-ეშმაკის ხიდი: აქაურების სიტყვით, ეს ხიდი თამარ დედოფლის ნაშენიაო. ღელიდამ ორი ბილიკი აგიყვანსთ ქალაქის ალაყაფის კარებამდე. სანამ იმ კარებთან მიხვიდოდეთ გზაზე სამჯერ უნდა დაისვენოთ.

თვითონ ქალაქი შემოზღვდულია ძველი ქვითკირის კედლით, რომლის კუთხეებში ყოფილა კოშკები; ახლა ისინი აღარ სუფევენ, იმათი ნაშთები არის. პირველ კარიდგან რომ შეხვალთ, ნახავთ ბაზარს, შემდგარს ორმოც-და-ათი მიგრეხილ-მოგრეხილი დუქნებისაგან. ალაყაფის კარები თათრებს განუახლებიათ. კარებს ზეით თათრული ნაწერია, რომელიც თავის დღეში არ წაიკითხება. ბაზრის შემდეგ იწყობა სახლები და სულ მაღლა და მაღლა ადის.

ლამაზი ქუჩები აქვს ამ პატარა ქალაქუნას! სახლები ისე ახლო-ახლოა ერთმანეთთან, გეგონება ერთი დედისაგან არიან ნაშობნი და იმისთანა სიყვარული აქვთ ერთ-მანერთისა, რომ ერთნი არშინი და ნახევარი სიშორეს ვერ უძლევენ. ქუჩები ბუნებით შოსსეს წარმოადგენენ, რადგან ადგილი სულ კაჟქვიანია.

ზოგან ამ ქუჩებზე, „უკვალო წყაროა“ და ზოგანაც თვითან მცხოვრებლები ყოველ გვარის და ფერის წყლებით ყოველ დილას რწყამენ...

სახლები ხისა და ქვიტკირისა იციან ორ-სამ სართულიანი საოცარი ბალკონებით. მეორე ალაყაფის კარებიდამ რომ შეიაროთ, იქვე ნახამთ თათრების მეჩითს მაღალი მინარით და მეჩითის წინ სასაფლავოს. უიმისოთ ვიწრო ქალაქს მკვდრები უფრო ავიწროებენ.

ქალაქის ზედა ნაწილი თავდება ღვინის მარნებით; ცოტა აქედამ ზეით მაღალ-ფრიალა კლდეა, რომელიც დგას ძველი მგზავსათ მარტივათ და არწივი ვით გადმოჰყურებს მაღლიდგან. ზედ კლდეზე ძველი ციხის ნაშთია. სავალი გზა არსაიდგან არა აქვს, ერთის მეტი, ისიც კიბით უნდა ავიდეს კაცი. ეს ასავალიც იმისთანა უფსკრულს გადაჰყურებს, რომ იქ ასვლა დიდ შიშ-კანკალად უღირსთ. ბევრჯერ მინდოდა გაზომვა ამ უფსკრულის სიღრმისა, ასავლის სიმაღლესი, მაგრამ ვერ გავბედე ასვლა – ვერ მივანდე სული ხის კიბეს. მაინც ცნობის მოყვარეობამ დასძლია და ერთხელ დავადგმევინე იაკობ მამა-მთავრის კიბე და ავცოცდი მუხლების კვეთით. შესავალი იწყობა პატარა კარებით, გათლილი ქვის ამყოლებით. ზედ იშლება კარგა მოზრდილი მინდორი. გარშემო ჰქონია მაღალი კედლები. კედლებზე არა სჩანს თოფის სასროლი ადგილები; ეტყობა, მაშინ, როცა ეს ციხე აშენებულა, ჯერ თოფი არ ყოფილა შემოღებული, შიგ არის სახლების ნაადგილევები, ყოფილა პატარა ეკკლესია ძალიან ღარიბულად ნაშენი; და საწყლე-აუზი; ამ სიმაღლე ალაგამდისინ, რასაკვირველია წყალი არ ამოვიდოდა, ამისათვის გაუკეთებიათ პატარა გაქანებულ ალაგას აუზი, წვიმის დროს წყალი იმაში გროვდება, ახლაც მასში ნახავთ ზაფხულ-ზამთარს ბლომად წყალსა ... არდანუჯის ციხე იმისთანა ალაგას დგას, რომ კაცის ხელით ის არ დაირღვევოდა. ეკკლესიებს, ციხეებს ანგრევენ შენობებისათვის. ეს აქ არ შეიძლება ვიფიქროთ, პირველად იმიტომ, რომ ის ხელ-უწვდელ ალაგას დგას; მეორეც, რომ ავიდეს ვინმემ და ჩამოაგდოს იქიდამ ქვა, ის ქვა თხუთმეტ ნაჭერათ გადაიქცევა. მაშ ეს ციხე კაცის ხელით არ არის დანგრეული. ქარის, წვიმის და დროს ბრალია, და ისინი ისე სწრაფად არ მოქმედობენ.

სამხრეთ არდანუჯს ჩამოუდის პატარა მდინარე – იშკანარი, რომელიც წისქვილებთან ერთდება არდანუჯ-ჩაის.

ჩრდილოეთის მხარეს, ასპარეზის გარეთ, კლდეზე, დგას დიდი ეკკლესიის ნანგრევი. ბანი სრულიად ჩანგრეულია, ოთხი კედელი ცოტა საღათ არიან დარჩენილნი. ზეით კედლის დაწყებასთან ჩანს რაღაც წითელი ზოლები. ეს ამტკიცებს, რომ ყოფილა ნახატი. Nაწერი არსად არა ჩანს. არის ორივე კარებზე ჯვრები გამოსახულნი თოთხმეტი მტკაველიანი დიდ ქვაზე. ამ გვარი უშველებელი ქვები კედელში ბევრია. იმათ ატანას კარგი ღონე და ჯანი დასჭირდებოდა.

ეკკლესიის ქვეით არდანუჯ-ჩაის კლდეში უთვალავი მაღარებია, იმათში ბევრამდის ასავალი, გზა არ საიდგან არ არის. იმათგანი ორი მოზრდილებია, თითოში ათას-ხუთას კაცამდისინ მოთავსდება; ეს ეკკლესიის ძირშია და ეტყობა ყოფილა ორ სართულიანი და ჰქონია ეკკლესიამდე ასავალი. მეორე შორს არის. ადგილის მცხოვრებლები დარწმუნებულად ამბობენ, რომ ამ მაღრებში სადღაც დაფლულია დიდ-ძალი განძი: ოქრო, ვერცხლი და ოქროს აკვანი“.

XIX საუკუნის მიწურულს არტანუჯი თანდათან მოშენდა. მიუხედავდ იმისა, რომ 1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ქ.არტანუჯის მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა (გ.ყაზბეგის თქმით, ომამდე არტანუჯი 500 კომლს ითვლიდა, 1886 წ. მონაცემებით კი 202 კომლი ცხოვრობდა), მალე, როგორც ეკონომიკური, ასევე მოსახლეობის რაოდენობის კუთხით არტანუჯის მდგომარეობა გამოსწორდა. მაგრამ აქ ერთი დეტალია გასათვალისწინებელი. რუსული სტატისტიკით, არტანუჯი მთელი 40 წლის მანძილზე (1877-1917 წწ.) არაქართულ ქალაქად ითვლებოდა. მაგრამ ამ მშრალი სტატისტიკის უკან იმალება რეალური მდგომარეობა და ტრაგედია ამ მხარისა. მიუხედავად დიდი მცდელობისა, თურქებმა ვერ მოახერხეს ქართული ტოპონიმიკის შეცვლა. ქვემოთ გთავაზობთ არტანუჯის უბანში შემავალ დასახლებულ პუნქტთა ჩამონათვალს, მასში რამდენიმე სომხურია, აქ სომხეთის შიდა ტერიტორიიდან გადმოსახლებული ახალშენების გამო. სხვათაშორის, XIX საუკუნეში ართვინელ სომხებს, ჯერ კიდევ ახსოვდათ, რომ ისინი ჯერ ანიდან, ან არა და, სომხეთის სხვა პროვინციებიდან იყვნენ გადმოსახლებულნი. ნაწილი გასომხებული ქართველები იყვნენ. ნ.მარი, რომელმაც ეს ტერიტორია მოიარა, ერთ ასეთ ამბავს აღწერს: „სტრაჟნიკი ამბარცუმი 50 წლისაა, ძალიან დადებითი პიროვნებაა, იგი ინტერესით ათვალიერებს ამ სიძველეებს, მან ასეთი შეკითხვაც კი მომცა, – მითხარი, გეთაყვა, ადრე უფრო ჭკვიანი ხალხი იყო ალბათ, ვიდრე ახლა“. როდესაც იგი ეცნობოდა ამ სიძველეებს, იგი გაოცებაში მოჰყავდა ძველი ხელოსნების ხელოვნებას, უკვე მერამდენეჯერ მეკითხება, ნუთუ ეს ყველაფერი ქართველებმა ააშენეს – დიახ ქართველებმა – ვპასუხობდი მე, შეიძლება ქართველმა კათოლიკებმა? კიდევ მისვამდა შეკითხვას...

ამბარცუმ ტოპსუჯიანი – არტანუჯელია, კათოლიკე სომეხი, მისი ბაბუა ახალციხიდანაა.

არა – ვუპასუხე მე ამბარცუმს, ყველაფრის ამის მშენებლები იყვნენ ქართველი მართლმადიდებლები, და კითხვა დავუსვი: – მითხარი, ვის გულისხმობ ქართველ კათოლიკეებში“? ამბარცუმმა მაშინვე გამცა პასუხი. ჩემი წინაპრები ქართველი კათოლიკეები იყვნენ. მე ქართული არ ვიცი, მამაჩემმა ქართული იცოდა, ბაბუაჩემმა კი, საერთოდ, არ იცოდა სომხური: ამბარცუმთან საუბარში, გარკვეულ მასალას მოვუყარეთ თავი, რაც, ალბათ, გარკვეულად მოჰფენს საკითხს ქართული კათოლიკეების შესახებ.

ის რომ, ართვინის ოკრუგში მცხოვრები კათოლიკეები ტომით ქართველები იყვნენ, ხოლო ეკლესიურად სომხურ კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნოდნენ, სხვა მასალებიდანაც ჩანს. ოფიციალური სტატისტიკით, მაგალითად, ართვინში აღრიცხული არ იყო ქართველი კათოლიკეები. გრაფაში, სადაც რელიგიური კუთვნილებაა მითითებული, აღნიშნულია: მუსულმანები, სომეხი კათოლიკეები, სომეხი გრიგორიანელები. მაშინ, როცა ართვინში მყოფი მოგზაურები, მეცნიერები, საეკლესიო პირები (მართლმადიდებლები და კათოლიკეები) ცალსახად აღნიშნავენ, – ამ ქალაქებში და, საერთოდ, ოკრუგში ქართველ კათოლიკეთა დიდი თემის არსებობას. შემოერთებისთანავე ართვინ-არტანუჯი არაერთმა ქართველმა შემოიარა, მათი აღწერილობები იბეჭდებოდა პერიოდულ გამოცემებში. თვითმხილველნი, ბუნებრივია, ადგილობრივი მოსახლების ეროვნულ შემადგენლობას უშუალოდ ეცნობოდნენ, ყოველგვარი იმპერიული ზრახვებით გაჯერებული სტატისტიკის გარეშე. 1879 წლის 29 აგვისტოს გაზ. დროებაში კორესპონდენტი ა. ნ-ძე არტანუჯიდან იწერებოდა: „ეს ქალაქი, ანუ დაბა, დაჰყურებს ერთ პატარა მდინარეს „არდანუჩაის“, რომელიც ორივე მხრით გამოფუღრული კლდეებით არის შემოზღუდული. ერთ გამოფუღრულ კლდეში შევედით ჩვენ და მართლა რომ კარგი რამ არის: შეხვალთ თუ არა, თვალ-წინ გაგეჭიმებათ ერთი უშველებელი, გაგრძელებული დარბაზის მზგავსება, რომელიც ეხლა საქონლის მეიდნად გამხდარა: კარების პირ-დაპირ ამ დარბაზს ერთი გადასახედი აქვს უფსკრულისაკენ. აქედან მშვენიერათა სჩანს სხვა გამოფუღრული კლდეებიცა.

ამ გამოფუღრულის ზევით ნაწილში მშვენიერი ოთახები სჩანდა. – შესასვლელი კი არის იმ ოთახში, მაგრამ ისე მაღლაა, რომ უკიბოთ მაინც ვერ შევა კაცი. ზევითაც, კარების პირდაპირ, გზას რომ მიჰყვეთ, ერთ უფსკრულს გადაჰხედავთ და ამ გადასახედის პირ-და-პირ გასავალია ქალაქისაკენ, რომელსაც უკან მხარეს უფრო ოღრო-ჩოღრო მდებარეობა აქვს; წინ კი, ზემონათქვამი კლდეების გარდა, გაშლილი ალაგია, რომელიც მოდებულია სოფლებით.

აქ მცხოვრებლები გამაჰმადიანებული ქართველები არიან, ქართული ლაპარაკი სრულებით არ იციან, მაგრამ ქართველებითგან ჩამომავლობა კი ძალიან კარგათ ახსოვსთ; იციან აგრეთვე ისიც, რომ სამი საუკუნეა, რაც გათათრდნენ იგინი“. ამ რეგიონის შესანიშნავი მცოდნე ვ. ლისოვსკი კი („ჭოროხის ხეობა“, 1887 წ.) წერდა: „რაც შეეხება სომხებს, ისინი, ისევე როგორც თურქები, როგორც ჩანს, უნდა ჩაითვალონ ქვეყანაში მოგვიანებით ჩამოსახლებულებად. იმდენად, რამდენადაც, უპირველესად, ისინი საკმაოდ ცოტანი არიან და, მეორეც, ისინი ცხოვრობენ გაფანტულად, პატარა-პატარა კოლონიებად, რამდენიმე სოფელში, ძირითადი ქვეყნის სამხრეთ მხარეში... არტანუჯის უბანში სახლობენ – არტანუჯში, სოფელ ტანზოთში და სოფელ ენი-რაბათში“. ვ. ლისოვსკი, მართალია კარგად იცნობდა ამ მხარეს, მაგრამ მას გამოეპარა ართვინის ოკრუგის თურქთა ზნე-ჩვეულებები, საოჯახო ყოფა. მასზე დაკვირვება კი გვიჩვენებს (ეს დაკვირვება კი სხვა ქართველ მეცნიერებს აქვთ წარმოებული), რომ ადგილობრივ „თურქთა“ დიდი ნაწილი გამაჰმადიანებული ქართველები იყვნენ, რომელთა მახსოვრობაში ჯერაც შენარჩუნებული იყო მათი „გურჯობა“.

ახლა კი დაპირებული ნუსხა არტანუჯის უბნის სოფლებისა (1887 წ. მონაცემებით):

1887 წლის მონაცემებით:

ანაგერტი – 59 კომლი; კლარჯეთი – 85 კომლი; ანჩკორა – 52 კომლი; კონტრომი – 18 კომლი; ანჩი – 76 კომლი; ლონგოთხევა –58 კომლი; არაეტი – 21 კომლი; მაცალახეთი – 24 კომლი; არდანუჩი – 202კომლი; მეცაგილი –19 კომლი; ახარშია –24 კომლი; მუკერი–51 კომლი; ახიზა – 28 კომლი; ნორგიელი – 31 კომლი; ბაცა – 42 კომლი; ოპისჭალა – 28 კომლი; ბიჯა – 98 კომლი; ორტიზი – 20 კომლი; ვართელია – 34 კომლი; – პეტობანი – 22 კომლი; გელაშენი – 61 კომლი; სამსხორი – 111 კომლი; გოროშეთი – 51 კომლი; სახრე – 119 კომლი;გიულიჯა – 48 კომლი; სალიანა – 8 კომლი; გიუმიშხანი – 119 კომლი; სუატრა (გიუმიშხანის საზოგადოება) – 121 კომლი; დიაკარმეჩი – 49 კომლი; სუაგარა (ბიჯინის საზოგადოება) – 23 კომლი; ენირაბათი – 18 კომლი; სხა – 8 კომლი; ჟუგო – 14 კომლი; ტანზოთი – 242 კომლი; იშკინარი – 14 კომლი; უნუსხევი – 69 კომლი; კაპტახორი – 107 კომლი; უსოტი – 55 კომლი; კარსნია – 37 კომლი; კაშუხჩი – 10 კომლი; უსტამელი – 7 კომლიხავთი – 23 კომლი; ხარაული –29 კომლი; ხება –24 კომლი; ხემოგრეტი – 37 კომლი; ხერთვისი – 2 კომლი; ჭალა – 16 კომლი; ჩილდირი – 50 კომლი; შავგულიარი – 26 კომლი.

* * *

მეფის რუსეთის მმართველობის დამყარებისთანავე დაიწყო ასევე ართვინის ოკრუგში გზების გაყვანა, წესრიგის დამყარება და, საერთოდ, ამ რეგიონის ჩართვა ქართულ ეკონომიკურ სივრცეში.

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, განსაკუთრებულად მძიმე კრიმინალური ვითარება სუფევდა ართვინის ოკრუგში. ყაჩაღთა პატარ-პატარა ბრბოები დაძრწოდნენ შავშეთ-იმერხევში, არტანუჯში, ართვინში. მაგრამ განსაკუთრებით გახმაურებული ყაჩაღთა დაჯგუფება იყო იმერხეველი ემურ-ულასი, რომელიც შავშეთ-იმერხევ-არტანუჯის მიდამოებში მოქმედებდა. ემურ-ულა ამ რეგიონის არსენა იყო. იგი საშინელ დღეში აგდებდა ეკონომიურად შეძლებულ მოსახლეობას, თავისი აგენტების მეშვეობით იგებდა ვის ჰქონდა დამალული სიმდიდრე და თავს ესხმოდა. ერთი თვისება ჰქონდა მას, – იშვიათად იმერხევიდან გასულიყო. ძირითადად ბინძურ საქმეებს მისი ხელქვეითები აკეთებდნენ. ამასთანავე, საოცრად ეხმარებოდა ემურ-ულა ღარიბებს და დაჩაგრულებს. ამის გამო დიდი სახელიც მოიხვეჭა. 1880 წ. არტანუჯში, ბერლინის კონგრესის თანახმად, თურქეთში გადასახლების მსურველთა დიდი ჯგუფი მოვიდა. მათ შორის იყო ოლთისის ყოფილი გუბერნატორის სულეიმან-ფაშას მეუღლე, რომლისადმიც იმერხევალ „არსენას“ ძალიან ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა. არტანუჯიდან წამოსული ლტოლვილები სოფელ ხევში შეჩერდნენ. სწორედ აქ, ღამით, მათ თავს დაესხა ემურ-ულა. მართალია, სულეიმან-ფაშას ცოლმა მიმალვა მოახერხა, მაგრამ ყაჩაღებს დიდი ნადავლი ჩაუვარდა ხელთ – 100 ათასი რუსული მანეთის ფული და საქონელი. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, რუსულმა მმართველობამ მოახერხა ემურ-ულას დატყვევება და იგი ქუთაისის ციხეში გამოკეტეს, სადაც გამოძიების დასრულებამდე გარდაიცვალა.

XIX ს. 80-90-იან წლებში რუსეთის მთავრობა ცდილობდა არტანუჯის უბანში და, საერთოდ, ართვინის ოკრუგში, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში მყოფი გზების შეკეთებას. ამისათვის დაიწყო ძველი გზების გაფართოება და დიდი პროექტის – ბათუმ-არტაანის გზატკეცილის მშენებლობა. უნდა ითქვას, რომ ამ გზის საშუალებით კლარჯეთი ბათუმს უკავშირდება, რაც უსათუოდ გამოინვევდა ვაჭრობის განვითარებას. გზების უქონლობის გამო არტანუჯში ფასები ზოგიერთ საქონელზე ორსამჯერ მეტი იყო, ვიდრე ბათუმში. მოსახლეობა არტანუჯში სოფლის მეურნეობითა და ვაჭრობით ირჩენდა თავს. დამატებითი შემოსავალი თითქმის არ იყო. 1897 წ. არტანუჯელებს დიდი შანსი გაუჩნდათ გაეუმჯობესებინათ თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობა. მთავრობამ გადაწყვიტა ართვინში მყოფი ნაწილები არტანუჯში გადაეყვანა. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ ართვინში სამხედრო ყაზარმები ისეთ ადგილას იყო აშენებული, სადაც მინა ცოცავდა. ეს კი სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ჯარისკაცებს. სახელმწიფო ჯარისკაცების მომსახურეობაზე 40-50 ათას მანეთს ხარჯავდა. ეს საკმაოდ დიდი თანხა იყო ართვინელებისათვის. 1897 წლის დასაწყისში მეწყერმა რამდენიმე შენობა დაანგრია ართვინში. ამან კი აიძულა ხელისუფლება გამოსავალი ეძებნა. გაზეთ „ივერიის“ კორესპონდენტი ივანე ჯაიანი ბორჩხადან იწერებოდა: „მთავრობასვე განკარგულება მოუხდენია, რომ მთელის ბატალიონის შტაბი და ორი ასეული, რომელიც დროებით ართვინში სდგას, გადაიყვანონ ქალაქ არტანუჩს... ასე და ამნაირად მთავრობის განკარგულებისამებრ ართვინს ეკარგება ერთადერთი შემოსავალი წყარო. როგორც გავიგეთ, ქალაქის მხრით გაუგზავნიათ თხოვნა. სთხოვენ, ისევ აქ დარჩნენო ეს ჯარისკაცები, მაგრამ არა გვგონია მთავრობამ შეიწყნაროს“. იქვე „ივერიის“ კორესპონდენტი აკონკრეტებს, რომ არტანუჯშიც ძნელია ჯარის გაჩერება, ვინაიდან „ბათუმიდან არტანუჩში სანოვაგის ატანა ერთი ათად მეტი ჯდება, ვიდრე ბორჩხამდე, მაგალითად, ფუთი ნავთი ბათუმში ღირს ათი შაური და არტაანჩში კი ოთხი მანეთი“. ართვინიდან ჯარის არტანუჯში გადაყვანას აფერხებდა ცუდი გზაც. ბოლოს და ბოლოს, რუსეთის ხელისუფლებამ მოახერხა ართვინ-არტანუჯის მაგისტრალის გამართვა. სხვათაშორის, ამ გზის ნარჩენები დღესაც კარგად განირჩევა თანამედროვე ართვინ-არტანუჯის გზატკეცილიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე.

ორიოდ სიტყვით ადგილობრივ მმართველობაზე: არტანუჯის უბანს და, შესაბამისად, ქალაქ არტანუჯსაც განაგებდა უბნის უფროსი და მისი პატარა კანცელარია, რომელშიც შედიოდნენ მწერალი და თარჯიმანი. ოდნავ მოგვიანებით შეიქმნა სამომრიგებლო სასამართო, რომელსაც უბნის უფროსი ხელმძღვანელობდა და დაკონპლექტებული იყო ადგილობრივი მუსლიმი ყადისა და საზოგადოების სხვა ცნობილი წარმომადგენელთაგან. მას შემდეგ, რაც არტანუჯი ჩაერთო საერთო იმპერიულ საფოსტო სისტემაში (ვიდრე არტანუჯში ფოსტა-ტელეგრაფის სადგურს გახსნიდნენ, მთელი რეგიონის საფოსტო კავშირებს ართვინი უძღვებოდა, სულ კვირაში 2 დღე იყო გამოყოფილი, როდესაც ჩამოჰქონდათ და მიჰქონდათ ფოსტა); გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის სადგური, რომელშიც 2-3 თანამშრომელი მუშაობდა (მაგ.: 1909 წ. ფოსტას ხელმძღვანელობდა არტემ მანანდოვი. მასთან ერთად მუშაობდა გავრილ კრანგაჩევი. 1912 წ. მანანდოვის ხელქვეითი ჩანან ზოსიმე ბენია და პლატონ კალანდარიშვილი). არტანუჯში და ართვინის ოკრუგში ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, მეტად მძიმე მდგომარეობა იყო რუსეთთან შეერთების პირველ წლებში. ის კი არადა, ართვინი ამ პერიოდში მთელი ქუთაისის გუბერნიაში პირველ ადგილზე იყო თვითმკვლელობების რაოდენობით. აშკარაა, მოსახლეობას ფსიქოლოგიური დახმარებაც ესაჭიროებოდა. ჯანმრთელობის დაცვის ელემენტარული პირობების გაუმჯობესების მიზნით, არტანუჯში პატარა საავადმყოფოც მოაწყვეს. XX საუკუნის დასაწყისში აქ მოღვაწეობდა დედა მარია კატკოვა. ამავე პერიოდში არტანუჯში ვეტექიმის პუნქტიც გაიხსნა. ერთ-ერთი პირველი ვეტექიმი, რომელიც არტანუჯში მსახურობდა იყო ნიკოლოზ ანდრეევი.

(დასასრული იქნება)

ისტორიული მესხეთის

კუკური მეტრეველი

(დასაწყ. წინა ნომერში)

ცხადია, საქართველოს უმნიშვნელოვანესი კუთხის, მისი კულტურის სავანის, მესხეთის ოსმალების მიერ დაპყრობას და თავისი ნახევარმილიონიანი ქართული მოსახლეობით თითქმის სამი საუკუნით დედა სამშობლოსაგან ჩამოცილებას ვერანაირად ვერ ურიგდებოდა ვერც ქართველი ხალხი და ვერც ქართველი მეფეები. მაგრამ, სამწუხაროდ, მესხეთის დიპლომატიური თუ ძალისმიერი გზით უკან დაბრუნების ყველა მცდელობა მანამდე უშედეგოდ მთავრდებოდა. თანაც, ამ ხნის განმავლობაში, ოსმალეთმა ქართველ ერს იმდენი სულიერი და მატერიალური ზიანი მაიყენა, რომ რუსეთ-თურქეთის ომის კავკასიის ფრონტზე გადმოტანას ქართველი ხალხი სიხარულით და თანადგომით შეხვდა. მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსის ჯარის ძლიერებაზე დაყრდნობით და რეგულარულ ჯარში და ქართულ სახალხო მილიციაში გაერთიანებული ქართველი პატრიოტების თავდადებული ბრძოლით, მოხერხდა მესხეთის მხოლოდ ნაწილის (ძირითადად ისტორიული სამცხის და ჯავახეთის ტერიტორიების) მართალია რუსეთის შემადგენლობაში, მაგრამ მაინც **დედასამშობლოში დაბრუნება**. რადგან თითოეული გოჯი მინის დაბრუნება, საკუთარი მამულის და მასზე მოსახლე თანამოძმეთა(თუნდაც გამუსულმანებულთა) დაბრუნებას ნიშნავდა. ცხადია ეს მოვლენა ქართულმა საზოგადოებამ დიდი სიხარულით მიიღო. არ დაელოდა სრულიად მესხეთის დანარჩენი უდიდესი ნანილის სამხრეთი პროვინციების დაბრუნებას და, როგორც გვჩევია ხოლმე, ემოციურ ნიადაგზე ქართველობის ნაწილი ეიფორიას მიეცა. ბევრს ეგონა, რომ მხოლოდ მესხეთის ნაწილი კი არა, არამედ მესხეთიც (ამ შემთხვევაში სამცხე) და ჯავახეთიც ერთად დაგვიბრუნდა. ამ მოვლენას სიამაყით და სიხარულით გამოეხმაურა ქართული პერიოდული პრესა, გამოცოცხლდა და გახალისდა ქართული პუბლიცისტიკა. ქართული საზოგადობრიობის მოწინავე წარმომადგენლების, ისტორიკოსების თუ პუბლიცისტების მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით უხვად აისახა მხატვრულ ლიტერატურაშიც. სამწუხაროდ, სწორედ ამ დროიდან შემოვიდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პუბლიცისტიკაში და საკმაოდ მოიკიდა ფეხი მცდარმა ტერმინმა **„მესხეთ- ჯავახეთი“**. მაშასადამე „ადრიანოპოლის ზავით შემოერთებულ ახალციხის საფაშოს ნაწილს, ისტორიულ **სამცხე-ჯავახეთს,** უწოდეს **მესხეთ-ჯავახეთი**. ე.ი **სამცხე მიჩნეულ იქნა მესხეთად**, თვით სამცხე ამოვარდა ხმარებიდან და ამ **„სამცხე-მესხეთის“** საპირისპიროდ მის ტოლფასოვნად დადგა **ჯავახეთი** და შეიქმნა ასეთი შთაბეჭდილება, თითქოს **ჯავახეთი** არ იყოს **„ყოველი მესხეთის“** შემადგენელი ნაწილი. ამ მცდარმა ტერმინმა თანდათან ფეხი მოიკიდა მხატვრულ ლიტერატურაშიც, უმეტესად არასპეციალისტთა შორის“ (შ. ლომსაძე, „სამცხე–ჯავახეთი“, 2011, გვ. 282). მთლად დაიბნა გაუთვითცნობიერებელი და სამი საუკუნის განმავლობაში თურქულ მონობაში მყოფი, დაქსაქსული და დაბეჩავებული სამცხე–ჯავახეთის მოსახლეობა. დაიბნა დანარჩენი საქართველოს მოსახლეობაც. უბრალო ხალხს კი არა ზოგიერთ განსწავლულსაც, მათ შორის ისტორიკოსებსაც, გაუჭირდათ პრობლემაში გარკვევა და ვერ გაუძლეს ამ ცდუნებას. ამ გაუგებრობას, ეტყობა, თავის დროზ, არ მიექცა სათანადო ყურადღება, რუსებსაც აწყობდათ სამხრეთის ფრონტზე ამ ეტაპზე მიღწეული წარმატების ვითომდაც მთლიანი მესხეთის, თანაც ჯავახეთის განთავისუფლებად შეფასება და მათი საომარი მოქმედებების შედეგის კიდევ უფრო განდიდება და, ალბათ, ხელიც კი შეუწყვეს ამ მაცდარი ტერმინის გავრცელებას და ტირაჟირებას. ეს გაუგებრობა ჩვენს დრომდე გაგრძელდა და ფრიად არასასურველ შედეგაბემდე მიგვიყვანა. ჩვენი სახელოვანი მოწინავე ისტორიკოსების, **დ.ბაქრაძის, ივ. ჯავახიშვილის, ს ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, დ.მუსხელიშვილის, შ. ლომსაძის** და სხვათა ნაშრომებში ამ მცდარმა ტერმინმა, ცხადია, ვერ ჰპოვა ადგილი. მაგრამ ფართო საზოგადოებრიობისთვის ეს „გულუბრყვილო შეცდომა“ შეუმჩნეველი დარჩა. როგორც სავარაუდო იყო ეს მოვლენა, არ გამოჰპარვია უდიდეს ქართველ ისტორიკოსს ივანე ჯავახიშვილს და საჭიროდ მიუჩნევია განმარტება, რომ „საქართველოს სამხრეთ–დასავლეთ ნაწილს საზოგადო სახელად **ზემო ქართლი** ეწოდება, საკუთრივ კი უფრო ხშირად **მესხეთს** ეძახდნენ. **მესხეთი ბევრ სხვადასხვა სახელის მატარებელ თემს შეიცავდა...** როგორც, მაგალითად, **ჯავახეთ-აბოცი, არტაჰან-კოლა, კლარჯეთი, ტაო-ოლთისი** და სხვ.“ (ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს საზღვრები“, გვ.35). ამ საკითხს მოგვიანებით სპეციალურად შეეხო და მისი მცდარობა მშვენივრად დაასაბუთა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის უბადლო მკვლევარმა პროფესორმა **შოთა ლომსაძემ**, რომელიც თავადაც მესხეთის შვილი იყო (ჯავახეთის სოფელ ჩუნჩხიდან) და ძალიან კარგად უწყოდა, ეს მცდარი ტერმინი რა უხერხულობას, გაუგებრობას და დაპირისპირებას იწვევდა არა მარტო უბრალო მესხებს შორის, არამედ მთელ ქართულ საზოგადოებაში. ამიტომაც წუხილით ამბობდა, რომ „სამწუხაროდ აკად. ივ ჯავახიშვილის საჭირო განმარტებას ზოგიერომა ისტორიკოსმაც ვერ გაუწია ანგარიში და აღნიშნულ ცდუნებას ვერ გადაურჩა. **ამ ტერმინის ხმარება იმას ნიშნავს, რომ ჯავახეთი მესხეთად აღარ მივიჩნიოთ და იგი მხოლოდ სამცხის მკვიდრთა ტომობრივი ვინაობის აღმნიშვნელ ტერმინად ვაქციოთ.**“ იქვე ბატონი შოთა აზუსტებს, რომ **„მესხეთი მთელი ზემო ქართლის ზოგადი სახელია.** იგი მოიცავს **სამცხეს, ჯავახეთს, თორს, კოლა–არტაანს, შავშეთს, კლარჯეთს, ერუშეთს, აჭარას, იმერხევს, ტაოს, სპერს და სხვ...**ამრიგად **„მესხი“ კრებითი სახელია აღნიშნულ პროვინციებში მცხოვრები ქართველი ხალხისა**...ასე, რომ **ჯავახეთის მკვიდრი** (კერძოდან ზოგადისკენ) ერთდროულად **არის ჯავახიც, მესხიც, ქართველიც**“ (შ. ლომსაძე, „სამცხე–ჯავახეთი“, 2011, გვ. 280-282).

პრობლემა უფრო მასშტაბურიცაა. განა შეიძლება დავივიწყოთ მესხეთის დანარჩენი სამხრეთი პროვინციები და ერთმანეთს დავუპირისპიროთ, დაკნინებული შეკვეცილ-შემოჭრილი მესხეთის აქეთ დარჩენილი ორი თემი, ჯავახეთი და სამცხე?! რას ვეუბნებით იქით დარჩენილ ჩვენს ტაო-კლარჯელ თანამოძმეებს? **თითქოს ისინი ოდითგანვე მესხები კი არა, დაყოფილ–დანაწევრებული არტაანელები, შავშელები ერუშნელები, კოლაელები, პარხალელლები, ართვინელები, თორთუმელები იმერხეველები და ა.შ. თავიანთი ხეობების და მიკროქვეყნების გეოგრაფიული სახელების მიხედვით სახელდებული თემები არიან, რომელთაც იმედია ქართველობას არ ვამადლით, მაგრამ მესხობაზე ბოდიში, ეს ესკლუზივი მხოლოდ სამცხელებისაა?!**. ვის აწყობს მესხების ასეთი დაქსაქსვა–დაპირისპირება?! ისინი ასე ხომ სხვისთვის ადვილად „მოსანელებელი“ ხალხი ხდებიან? შედეგიც სახეზეა. რადგან ჩვენ მათთვის მესხობა არ გვემეტება, სხვები მათაც ე. წ. „თურქი მესხების“ მსგავსად, მთელი სერიოზულობით უმტკიცებენ, რომ თითქოს ისინიც ოდითგანვე ყივჩაყები, ან კიდევ სხვა თურქული ტომების წარმომადგენლები არიან.

მივყვეთ ისევ ბატონ შოთა ლომსაძის ძალიან ლოგიკურ მსჯლობას. „ვახუშტიმ ძალიან კარგად იცის, რომ ეთნიკურად **ჯავახეთის „მოსახლენიც არიან მესხნი“, ისევე როგორც სამცხისა და ზემო ქართლის სხვა რეგიონთა მცხოვრებნი,** რომ **ამ ეთნიკურმა ტერმინმა** წარმოშვა **ტოპონიმური ტერმინი**, მხარეთა ტერიტორიულ–ადმინისტრაციული დაყოფა, რომელიც ქმნიდა **სათემო ერთეულებს**, ამ ერთიანი ეთნიკური სახელის **დაკონკრეტებული (თუ დაკნინებული)** ცნებებია მაგალითად: **ჯავახნი, შავშნი, კლარჯნი** და სხვა. ისტორიულ წყაროებში ასეთი კერძო დაკონკრეტებული სახელები საკმაოდ ხშირად გვხვდევბა. უნდა აღვნიშნოთ, ისიც, რომ **სამცხის თემის მოსახლეობა კონკრეტულ შემთხვევაშიც უმეტესად მესხად იწოდება**. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმას, რომ **კლარჯნი და ჯავახნი ან მესხეთის სხვა თემის მოსახლეობა,** სამცხისაგან განსხვავებულად **მესხად აღარ იწოდებოდნენ**. ამ ტერმინის საზოგადო მნიშვნელობის აღსანიშნავად წყაროებში გვხვდება გამოთქმა **„ყოველთა მესხთა“,** ან **„ყოველი მესხეთი“** *(ჟამთაღმწერელი, გვ.252)* ან კიდევ **„მესხნი დიდი და მცირენი** ყოველნივე“ *(ახალი ქართლის ცხოვრება, გვ 6000)*. ჩვენ აქ საქმე გვაქვს ზოგად და კონკრეტულ სახელებთან **„დიდნი და მცირენი“** კერძოდ, სახელი **ჯავახი, კლარჯი**(თემობრივი დანაყოფი) **უდრის მესხს** (ტომობრივ დანაყოფს) **და ორივე ეს უდრის ქართველს**(ერთ ეროვნულ ერთეულს). ასე რომ **ჯავახების მკვიდრი**(კერძოდან ზოგადისაკენ) **ერთდროულად არის ჯავახიც, მესხიც, ქართველიც,** ასე, რომ მათი ერთიმეორეში აღრევა ან დაპირისპირება შეცდომა იქნებოდა *(შ.ლომსაძე, „სამცხე–ჯავახეთი“, 2011. გვ. 281-282)*.

არჩილმაც შესანიშნავად იცოდა, სადაცაა ჯავახეთი, „შემოკრბა ჯარი **ჯავახეთს, ვარძიას** მივლენ მეფენიც,/თვით დავით სოსლან ძლიერი, თამარ ბრწყინვალე, შუქ-მფენიც“ და რომ **ჯავახეთი იგივე მესხეთია, ხოლო ჯავახი იგივე მესხია.** ამის გამოა, რომ **მისთვის რუსთველი ჯავახიცაა და მესხიც.** ამიტომაცაა, რომ „ვეფხისტაოსნის“ გამო მეფე-პოეტი რუსთველს, როგორც ჯავახს, თეიმურაზის ენით საყვედურობს: „ღაზოდა სთქვი, შემოიღე **ჯავახური ენა მძიმე**“-ო, მერე უკვე როგორც მესხს მიმართავს, **„უყურე ბრიყვსა მესხსა** და ამაყსა, შეუპოვარსა“-ო, და იქვე უკვე ჯავახს-„**რაღას გელაყბო ჯავახსა,** ღარიბსა, შე უპოვარსა„*(არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა 893,124,125 კუპ)*.

შ.ლომსაძე წერს, რომ „სხვა წყაროებში ამა თუ იმ ტომთა და თემთა სახელები ისეთ კონტექსტშია ნახმარი, თითქოს ისინი ერთიმეორეს გამორიცხავენ და დამოუკიდებლად არსებობენ. მაგალითად „რამეთუ გააგეს პირველად აღება ჯავახეთისა, თმოგვისა და ახალქლაქისა“ *(„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, გვ 51)* **მესხეთის, ანუ ზემო ქართლის სხვადასხვა თემის მცხოვრებნი.** ზოგჯერ **სამცხე-საათაბაგოს** სინონიმად იხმარება **„სრულიად სამცხე**“, ან **„ზემო ქართლი** *(იოსებ სააკაძე „დიდმოურავიანი“ ჩვენი საუნჯე ტ.4 გვ.354)*. XVIII საუკუნეში მისიონერ ლეონის დაკვირვებითაც, საქართველოს ყველა კუთხეში, **ახალციხის მხარესაც, ჩვეულებრივად ქართლს უწოდებდნენ“** *(მისიონერ ლეონის გამოუქვეყნებელი რელაციონი საქართველოზე, ხელნაწერი, გვ. 21)*. ვახუშტისაც, თავის საქართველოს გეოგრაფიულ აღწერაში, მთელი მესხეთის, ანუ **ზემო ქართლის** ყველა პროვინციის აღწერა, მოცემული აქვს პირველ წიგნში, საერთო სათაურით – **„სამცხე**“.

მაშასადამე, გავარკვიეთ, რომ **სამცხეც, ჯავახეთიც, ტაოც, კლარჯეთიც,.. მესხეთის შემადგენელი ნაწილებია და, როგორც სამცხე- ჯავახეთის, ისე ტაო-კლარჯეთის თემების წარმომადგენელნი ტომით არიან – მესხნი, ხოლო ეროვნებით – ქართველნი.** არ შეიძლება რომელიმე მათგანის მესხეთიდან გამოცალკევება ან მასთან დაპირისპირება! სამწუხაროდ, როგორც უკვე ავღნიშნეთ, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენში შემოსულმა მცდარმა ტერმინმა **„მესხეთ-ჯავახეთი“,** ვერ გაითვალისწინა, ვერ ასახა ეს რეალობა და იმთავითვე დაუდო სათავე ბევრ გაუგებრობას. დააბნია და ცნობიერება შეურყია როგორც სამცხის, ისე ჯავახეთის მოსახლეობას. მცდარი ტერმინი **„მესხეთ-ჯავახეთი“** და მესხებად მხოლოდ სამცხელების აღიარება, ისეთივე დამაზიანებელია, როგორც არასწორი და ქართველთა ცნობიერების შესაცვლელად გამიზნულად შემოგდებული ტერმინი – **„თურქი მესხი“.** ბუნებაში ყველა ადამიანს თავისი ეროვნება აქვს. მესხი ქართველია და თურქი – თურქია. ამ ტერმინით თითქმის სრული ხუთი საუკუნის განმავლობაში ორი ძალიან დიდი და ვერაგი იმპერიის ტრადიციული თუ ნოვატორული მეთოდებით ძალად გამაჰმადიანებულ და გადაჯიშებულ მესხებს საბოლოოდ აუბნიეს თავგზა და დაასრულეს ქართული სხეულიდან მათი ჩამოცილება. მაშინ, როცა შუა აზიაში, საბჭოთა პერიოდში, მესხეთიდან გასახლებული მოსახლეობის (86 ათასი) სულ ცოტა ოთხმოცდაახუთი პროცენტი მაინც ეთნიკურად ქართველი იყო, ამ ტერმინის თავსმოხვევით თანდათანობით დაარწმუნეს, რომ ისინი მესხეთიდან დეპორტირებული გამაჰმადებული, ეთნიკური ქართველები, კერძოდ მესხები კი არა, არამედ ეთნიკური თურქები არიან. მათმა უდიდესმა, გაუნათლებელმა ნაწილმა, დაიჯერა, ან ბედს შეურიგდა. რახან სიცრუის აგიტაციამ გასჭრა, მეთოდები და თეორიებიც დახვეწეს და აღარ უჭირთ და არც ეთაკილებათ არა მარტო „თურქი მესხების“, არაქართველობის მტკიცება, არამედ, საერთოდ, **მესხების არაქართულ ტომად გამოცხადებაც!..** ჩვენ, თავის დროზე, ვერ მივაქციეთ ყურადღება ვერც ამ ხალხს და ვერც ამ მცდარი ტერმინის დამკვიდრებას. და ახლა ეს ხალხი ისეა გონებაარეული და ცნობიერება შეცვლილი, რომ მათ დიდ უმრავლესობას თავიანთ ისტორიულ სამშობლოდ მესხეთი კი მიაჩნიათ, მაგრამ მათთვის მესხეთი წმინდა ქართული მიწა-წყალი კი არა, არამედ, თურქული მიწაა. აი სადამდე მივყავართ ჩვენს დაუდევრობას და უყურადღებობას! ერთი სიტყვით, როდესაც სრულიად მესხეთიდან დიდი ნაწილი ჩამოგვაჭრეს, მოსახლეობა დაგვიხოცეს, გაგვიქციეს, ბევრი თანამოძმე გადაგვიჯიშეს, გადაგვისახლეს და ადგილზე თუ მესხეთს მიღმა დარჩენილი ცნობიერება შეცვლილი ჩვენივე სისხლი და ხორცი მტრად გვიქციეს, უცხოტომელები ჭარბად შემოგვისახლეს და ქვეყანა ეთნიკურად საოცრად აგვიჭრელეს, ვითომ ეს არ გვყოფნიდეს და აქეთ დარჩენილი ერთი მუჭა მესხელები უაზროდ ერთმანეთს ვეკამათებით და პირველობას – „დიდმესხობას“ ვიჩემებთ. მაშინ, როცა თითქმის ყველა ჩვენი მეზობელი ასე მოკვეთილ-მოპატარავებულ მესხეთსაც კი არ გვაინებებს და აბსურდულ პრეტენზიებს გვიყენებს, ვითომდაც, ისტორიულად, ეს მიწა-წყალი, ჩვენს გარდა, ყველა მათგანის კუთვნილება ყოფილიყოს, ჩვენ რას ვაკეთებთ, ვის ცეცხლზე ვასხამთ ნავთს?!

ისე, როგორც არცერთ ჭკუათმყოფელს არ მოუვა აზრად ასეთი გამოთქმები: **„საქართველო – მესხეთი“, „საქართველო – იმერეთი“, „საქართველო – რაჭა“ „საქართველო – სამეგრელო“,** ან, თუნდაც, **„მესხეთი – სამცხე**“, ისე არ შეიძლება ვიძახოთ და ვამკვიდროთ მცდარი და არც თუ ისე „ უწყინარი“ ტერმინი – **„მესხეთ-ჯავახეთი„! ამით ვაკნინებთ, პირველ რიგში, თავად მესხეთს,** ერთმანეთს ვუპირისპირებთ ორივეს – მთლიანსაც და შემადგენელსაც, მესხეთსაც და ჯავახეთსაც და ამ უკანასკნელს სხვათა საჯიჯგნად ვიმეტებთ. საბედნიეროდ, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისას საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ისტორიული მესხეთის ნაწილს სრულიად სამართლიანად და სწორად **„სამცხე-ჯავახეთი“** უწოდეს. მაგრამ ხალხის ცნობიერებაში „მესხეთ-ჯავახეთი“ უკვე ისეა გამჯდარი, რომ ძალიან ძნელია მისგან ერთბაშად გათავისუფლება. ქვემოთ კიდევ სხვა არგუმენტებითაც შევეცდებით ამ მცდარი ტერმინის მავნებლობის დამტკიცება-დასაბუთებას.

ბანა

საქმეში ჩაუხედავ კაცისთვის **ჯავახეთი, თმოგვი, ახალქალაქი** დამოუკიდებელი ტერიტორიული ერთეულები სჩანს. **სინამდვილეში თმოგვიცა და ახალქალაქიც ჯავახეთის შემადგენელი ნაწილებია** და სამივე შემთხვევაში საუბარია მხოლოდ ჯავახეთზე“ *(შ. ლომსაძე, დასახ. ლიტ. გვ.281-282)*.

სავარაუდოდ, იმავე ან სხვა წყაროდან აღებული, ეს ფაქტი სწორად აქვს გაგებული და დალაგებული არჩილ მეფეს, „დაასკვნეს პირველ აღება ჯავახეთისა თმოგვისა, თრიალეთს, ახალქალაქის, სომხითის მიწას მოგვისა“ *(არჩილი, გაბაასება თეიმურაზ მეფისა და რუსთველისა. 817)*. მაშასადამე, აქ საუბარია **ჯავახეთის თმოგვზე, თრიალეთის ახალქალაქზე** და **სომხითის მოგვზე** ე.ი. ჩვენ აქ საქმე გვაქვს თითოეულ მხარეში აღებულ კონკრეტულ ადგილთან. არჩილი, ზოგადად, ქართლს საქართველოს სახელით მოიხსენიებს, ხოლო მის ნაწილებს **„ზემო, შუანა და ქვემოთა საქართველოებს“** უწოდებს. მესხეთის სხვადასხვა პროვინციების მცხოვრებლებს თავიანთი სადაურობის ამსახველი ტერმინებით ჩამოთვლის, **„გამრისნი, შამელნი, კარელნი, კლარჯელნი, ..,ტაოელნი..“,** ბოლოს ყველას ისევ მესხებში აერთიანებს და ჩამოთვლას ასე ამთავრებს“.., „და **სხვანი მესხნი ,.., ომ-შემძლენი**“-ო (*არჩილი, „გაბაასება თეიმურაზ მეფისა და რუსთველისა“. 795)* . სხვაგან არჩილი მესხების კრებსით სახელად **„სრულ მესხნი**“-საც იყენებს. ხშირად **ჯავახებში, სამცხელებში ან შავშელებში** ნაგულისხმევია **მესხეთის, ანუ ზემო ქართლის დანარჩენი სხვა თემის მცხოვრებნიც,** რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა პოლიტიკური თუ სოციალური სიტუაციებიდან გამომდინარე, ხშირად სხვადასხვა სივრცეში აღმოჩნდებოდნენ, **ეთნიკურად მაინც ერთნი იყვნენ.**

„XVII ს. ევლია ჩელების სამცხე-ჯავახეთი **„საქართველოს შავშეთის“** შემადგენელ ნაწილად მიაჩნდა და აქაური ქართველების ენას **„შავშეთის ქართველების ენას“** ეძახდა, ხოლო აქაურ ხალხს **„საქართველოს შავშეთის ხალხს„***(ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი,გვ 297)*. ეს არცაა გასაკვირი, რადგან **სამცხე-ჯავახეთი თუ არტაან-ერუშეთ-შავშეთი ერთიმეორისგან ენითა და კულტურით დიდად არ განსხვავდებოდნენ**, მით უფრო, უცხო მოგზაურისთვის. უფრო მეტიც, თეიმურაზისა და არჩილისთვისაც აღნიშნული მხარე ზოგადად **ჯავახეთი იყო,** ხოლო მისი ენა **ჯავახური ენა.** ოლთისში გადახვეწილი თეიმურაზ I და მისი ამალის წევრები, თურმე, ძლიერ წუხდენენ – „ჩვენ კახეთს ვართ ლხინ-ნაჩვევნი რას ხელსა ვპყრით **ჯავახებსა**“-ო (*არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა.„ჩვენი საუნჯე“ გვ.212*). ცხადია, ამ შემთხვევაში, **ჯავახეთი მესხეთის სინონიომადაა ნახმარი. ჯავახებში ნაგულისხმევია**

ხავთიხსათვის


ტიმოთესუბანი

ხიზაბავრა

სამი საუკუნის განმავლობაში დედა-სამშობლოს ჩამოცილებულ მესხეთში, ჯერ რუსეთის და შემდეგ მისი მემკვიდრე – საბჭოთა კავშირის ბეჯითი მცდელობით, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის – ქართველების საზიანოდ ხელოვნურად, კატასტროფულად შეცვლამ და გასული საუკუნის ორმოციანი წლებიდან დამატებით ამ რეგიონის სასაზღვრო ზონად გამოცხადებამ, „შლაგბაუმებით“ გადაკეტვამ და მისი დანარჩენი საქართველოსაგან კიდევ ერთხელ ნახევარი საუკუნით იზოლაციამ, პლიუს ჩვენი ხალხის გაუთვითცნობიერებლობამ, საბოლოოდ ის შედეგი გამოიღო, რომ **ქართველობა თითქმის სრულად გაუცხოვდა ისედაც შეკვეცილი მესხეთის და, განსაკუთრებით მისი შემადგენელი ჯავახეთის და ჯავახების მიმართ!** ბევრმა, საერთოდ, დაივიწყეს, რომ ჯავახეთში ისევ ცხოვრობენ ძირძველი ქართველები და თანდათანობით **ქართველების ცნობიერებაში ჯავახი სომეხის სინონიმად იქცა.** ჯავახეთიდან სხვა კუთხეებში სასწავლებლად, სამუშაოდ თუ სტუმრად ჩასულ ქართველზე დამთრგუნველად მოქმედებდა პირველი კითხვის – სადაური ხარ? პასუხად - ჯავახეთიდან, აუცილებლად დასმული მეორე კითხვა, რომელშიც პასუხი ისედაც იგულისხმებოდა: ე.ი. – სომეხი ხარ?! ამან დათრგუნა და დააფრთხო ჯავახები... ბევრი მალავდა (ზოგიერთი დღესაც) თავის ჯავახობას და პირდაპირ პასუხობდა, რომ მესხეთიდანაა და პრობლემაც, თითქოს, აღარ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს უკვე აღიზიანებდათ და აღარ „მოსწონდათ“ „მესხეთ–ჯავახეთით“ „ზურგშემაგრებულ“ სამცხელ მესხობას. რომელთაც გამოკვეთილად დაემჩნათ სურვილი – ჰქონდეთ მესხობაზე ექსკლუზიური უფლება. ასეთი აბსურდული, ძმათაშორისი „დაპირისპირება“, სამცხელ და ჯავახელ მესხებს შორის, ყოველდღიურობაში ახლაც გრძელდება!..

არა და, მანამდეც, ოსმალების უღელქვეშ ყოფნის დროსაც, დაპყრობილი მესხეთის ნაწილებიდან ბოლომდე ყველაზე მეტად **პროქართული განწყობით გამოირჩეოდა ხერთვისის და ახალქალაქის სანჯაყები.** აქ უმეტეს სოფლებში სრულად შენარჩუნებული ჰქონდათ ქართული ენა და ქრისტიანული სარწმუნეობა, რისი წყაროც იყო, ალბათ, მათი ქართლთან მოსაზღვრეობა, საფაშოს ცენტრიდან დაშორება და სანჯაყების ადგილობრივი ბეგების (ფალავანდიშვილების და, მეტადრე, მემედ ბეგ ვაჩნაძის, რომლის ავტორიტეტიც, 1816 წლის მესხეთის სახალხო აჯანყების შემდეგ, ერთიათად გაიზარდა) ქართული წარმომავლობა და ქართველებთან ბოლომდე ლოიალობა. კიდევ ისაც, რომ მაშინდელი ჯავახეთი ბევრი ქართლიდან და საქაველოს სხვა კუთხეებიდან გაქცეული ყმა-გლეხის თუ პოლიტიკური მოღვაწის და წარჩინებულის (ალ.ბატონიშვილ, სოლომონ მეფე, სხვა და სხვა კუთხის ფეოდალნი და წარჩინებულნი) თავშესაფარად გადაიქცა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს სასწაულებრივად გადარჩენილი **ეს ერთი მუჭა ჯავახები საკუთარ მიწა-წყალზე პრობლემებს და უხერხულობას აწყდებიან, როგორც ორი საუკუნის წინათ ჩამოსახლებული მეზობლების, ისე თანამემამულეების მხრიდან.** ერთნი მათ მიწა-წყალს და ჯავახეთის სახელს, მის კუთვნილებას და კუმურდოს და ვარძიას ედავებიან, მეორენი ტომობრივ კუთვნილებას, თმოგვს და ვარძიას! ისტორიული ჯავახეთის და სამცხის საზღვრებზე და ისტორიული ძეგლების კუთვნილებაზე ისეთი გაცხარებული დავა გაჩაღებული თვისტომებს შორის, რომ ისტორიულ პროვინციებს შორის ცვალებადი და პირობითი საზღვარი ლაბაშიც კი ზოგიერთს, შემდგომ, ალბათ, ეჭვიც შეეპარებოდა, ან უნდა დაეჩემებინათ მხოლოდ „სამცხელი-მესხობა“, რომელთა ქართველობას ეჭვქვეშ არავინ დააყენებდა, მაგრამ ცოტა მათი მიწა-წყლის ისტორიული კუთვნილება შეუქმნიდათ უხერხულობას. სინამდვილეში ასეც მოხდა. ისედაც საკუთარ მიწა-წყალზე უმცირესობაში აღმოჩენილი **ერთი მუჭა ჯავახეთის ქართველობა ორ ნაწილად გაიყო**: საუკუნეების განმავლობაში მუდმივად თავის მწარე ბედთან ჯიუტად და მამაცად მებრძოლ, სასწაულებრივად გადარჩენილ და **ბოლომდე ჯავახებად** დარჩენილ ნაწილად, რომელნიც ქართველებში სიჯიუტის სინონიმად ითვლებიან, ხოლო ბარის ჯავახები მათ „მწარე ჯავახებს“ რომ უწოდებენ და რომელთაც ახლა უკვე თანამოძმეების „განდგომის“ მიზეზით კიდევ ერთხელ ასე შეცოტავებულებს, მარტოებს უწევთ თავიანთი **ჯავახობის, მესხობის და ქართველობის** შინაურისთვის თუ გარეულისთვის ჯიუტად მტკიცება, პარალელურად კი მშობლიურ მიწა-წყალზე ყოველივე ქართულის ყველასაგან დაცვა და **მეორე ნაწილად, რომელთაც „სახელ შელახული ჯავახობით“ მესხობას, პირდაპირ მესხობა არ-ჩიეს.** ეს უკანასკნელნი, ჯავახეთის სამცხის მოსაზღვრე სოფლებში მცხოვრები ქართველებია. „ბოლომდე ჯავახების“ პრობლემებზე ზემოთ ნაწილობრივ უკვე გესაუბრეთ და ქვემოთაც შევეხებით, მანამდე ცოტა დაწვრილებით „მეორე ჯგუფის“ ჯავახების საქციელზე გვინდა მივაპყროთ თქვენი ყურადღება.

ჯავახეთის ერთ-ერთ ძირძველ და გასაოცარი ისტორიული ძეგლებით ცნობილ სოფელ **საროს** მოსახლეობაზე ნათქვამი ეს სტროფები: „სარველები თავის თავსა ჯავახელად არა სცნობენ,/ ვინც ჯავახი დაუძახოს, იმ კაცს ჰკიცხენ, იმ კაცს გმობენ“, – თანაბრად ეხება მის მიმდებარედ ჯავახეთის ზეგანის ქვედა იარუსზე განფენილ ერთ-ერთ უძველეს და ისტორიულად სულ ადგილობრივი ჯავახებით დასახლებულ სოფელ **ხიზაბავრას** და მტვრის ხეობაში მყოფი ქვემო ჯავახეთის რამდენიმე სოფლის ძირძველ მოსახეობასაც. როგორც ჩანს, ბევრი მათგანი ისე დააფრთხო „შე ჯავახო“-ს ძახილმა, რომ გულწრფელად ეთაკილებათ ჯავახობა და სურვილი აქვთ იწოდებოდნენ პირდაპირ მესხებად. ამ საჩოთირო მოვლენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისევ მცდარი ტერმინი „მესხეთ-ჯავახეთია“, მაგრამ ამ ფენომენის სრულად ასახსნელად მაინც ცოტა შორიდან მოვლა მოგვიწევს და მკითხველს ვთხოვთ მოთმინებას.

რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად მესხეთის ნაწილის რუსეთის შემადგენლობაში შემოერთების და გაყრილი და განდევნილი მუსულმანი ქართველების ადგილზე არზრუმელი და ბაიაზიდელი სომხების დიდი რაოდენობით ჩამოსახლების შემდეგ, რუსების და სომხების ინტერესები მაშინ ერთმანეთს დაემთხვა. პირველ მათგანს სამხრეთ საქართველოს საზღვრებთან მაქსიმალურად სურდა არამორჩილი ქართული ელემენტის მაქსიმალურად დასუსტება და უფრო საიმედო მოსახლეობისთვის მიწების გამოთავისუფლება, ხოლო სომხებმა რუსების ხელით თავიანთი ავანტურისტული იდეის „დიდი სომხეთის“ აღდგენა, ქართული ტერიტორიების ხარჯზე განიზრახეს. დაიწყეს სამცხე-ჯავახეთის ქართული მოსახლეობის მაქსიმალურად შევიწროება. გასაკვირია, მაგრამ მაშინ რუსებმა ანატოლიიდანაც კი ჩამოიყვანეს დაქირავებული მოლები და დაამთავრეს ძირითადად სამცხის გამუსულმანებული სოფლების მოსახლეობის ბოლომდე გამაჰმადიანება, ხოლო ქართულ ეკლესიებში ქართული ენაზე წირვა-ლოცვის აკრძალვამ ორად (მართლმადიდებლებად და კათოლიკეებად) დაყოფილ სამცხე-ჯავახეთის ქართველ ქრისტიან მოსახლეობას გარუსების ან გასომხების საშიშროება შეუქმნა. თავის დროზე ფრანგი მისიონერების ბეჯითი მცდელობის და შემდგომ ოსმალეთის იმპერიაში ვითომდაც ეროვნული იდენტობის შენარჩუნების იმედით, მესხეთის მოსახლეობის ნაწილის ნებით, იძულებით, თუ წაქეზებით კათოლიკურ სარწმუნეობაზე გადასვლა ვერც ოსამალების და ვერც შემდგომ რუსების შემოსვლის პერიოდში ვერ აღმოჩნდა მათი მეობის საიმედოდ დამცველი ფაქტორი. ჯერ ოსმალეთის, ხოლო შემდეგ, რუსეთის იმპერიაში ვატიკანის თანხმობით, ქართველი კათოლიკეების მართვის სადავეები მთლაინად სომეხი ბერების, ტერტერების და გასომხებული ქართველი პადრეების ხელში აღმოჩნდა. ამათ „მოხერხებით და ოსტატობით, მათში ქართული ენა ძირითადად ამოაგდეს. დაავიწყეს კონსტანტინოპოლის ქართველ კათოლიკეებს, ართვინის, არტაანის, არტანუჯის, შავშეთის, ურუშეთის, ველის, კარტიკამის, ალასტანის, ტურცხის, ხევის, ბასიანის, კოლას, რიზეს, ოქრობაგეთის, სათლეს და სხვ. ქართველობას". შეუცვალეს გვარ-სახელები „თამარაშვილი თამარიანცად და ბაინდურად იქცა, ნასყიდაშვილი — ნასყიდიანცად, კალატოზიშვილი – კალატოზოვად, ბოცოშვილი – ფაფაზოვად, მეფისაშვილი – მეფისოვად, გულაშვილი – ლისიციანად, მერაბიშვილი – მერაბიანცად და აშტრაკიანცად, გურგენიძე – გურგენოვად, ხუციძე – ისრაელოვად, ვანაძე – პარმაქსისიანცად და ა.შ“, – წერს ზ. ჭიჭნაძე *(ზ.ჭიჭინაძე, „ზურაბაშვილების გვარის ისტორია ', 1909, გვ. 56)*. სრულიად სამართლიანად შენიშნავს ქ-ნი თინა იველაშვილი „კათოლიკური სარწმუნეობის როლი ქართველი ხალხის ეროვნული მეობის შენარჩუნების საქმეში კარგად გამოჩნდა ისტორიული სამხრეთ საქართველოს მთელი რიგი სოფლების მაგალითზე. მოსახლეობა, რომელმაც ვატიკანის ფარული თუ აშკარა ლოცვა-კურთხევით სომხური ტიპიკონის კათოლიკური სარწმუნეობა მიიღო, რაღაც ერთ საუკუნეში დაკარგა ეროვნული თვითშეგნება, მეობა და ა.შ. რის შედეგადაც, ფაქტიურად, გასომხდა“ *(თ. იველაშვილი, კათოლიკობა საქართველოში,2009, გვ.168)*. იგივე პროცესებს ვერ ასცდა, მაგრამ საბედნიეროდ გადაურჩა სოფელ ხიზაბავრის კათოლიკე მოსახლეობა. აქაც მაშინ მოვლენილმა სომეხმა ტერტერებმა აქტიურად დაიწყეს სომხურად წირვა-ლოცვა, ხალხისათვის გვარსახელის სომხურად გადაკეთება და მათი ეროვნების აღმსარებლობის მიხედვით დადგენა. 1886 წლის მონაცემებით ხიზაბავრაში სულ 1363 კაცი ცხოვრობდა, რომელთაგან შვიდის გარდა საოჯახო სიებში ყველა სომეხად იყო ჩაწერილი. ამ პროცესის წინააღმდეგ გაილაშქრეს სახელოვანმა ქართველმა მოღვაწეებმა, მათ შორის მესხეთის კათოლიკე ქართველების ბრწყინვალე წარმომადგენლებმა, ჯერ იოანე ხუცესმა (ხოჯავანთი-ხოჯაშვილი), პეტრე ხარისჭირაშვილმა, ივანე გვარამაძემ, მიხეილ თამარაშვილმა, ხიზაბავრელმა იოსებ ხუციანოვმა (ხუციშვილმა, რომლის გარდაცვალების შემდეგ ივ.გვარამაძე მოგონებაში წერდა: „ნეტარხსენებული ჩვენი **მესხ-ჯავახი** ჰუტემბერგი“) და მისივე ახლობელმა ანტონმა, მე-19 საუკუნის ბოლოს გააქტიურებულმა ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ, ე.წ „თერგდალეულებმა“, ხალხოსნებმა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს პროცესი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე გაგრძელდა. მაშინ მთელ საქართველოში სომხური ეკლესია და ბურჟუაზიული საზოგადოება შეთანხმებულად მოქმედებნენ და სოციალური თუ სარწმუნობრივი ზეწოლის შედეგად მთელი თბილისის და მისი შემოგარენის, – ქართლის, ქვემო ქართლის და კახეთის ინტენსიური გასომხება მიმდინარეობდა, მესხეთისათვის სათანადო ყურადღების მისაქცევად მაშინ ცოტას თუ ეცალა. მერე იღბლად საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. თავად ხიზაბავრელებმაც გვარიანად იყოჩაღეს და ჯავახეთის სხვა კათოლიკეებით დასახლებული სოფლებისგან განსხვავებით, რომელთა ქართველი მოსახლეობა ერთიანად გასომხდა (ტურცხი, ალასტანი ხულგუმო, ბავრა გულიკამი, თორია, ეშტია, ხიზაბავრა) ძალად გასომხებას გადაუჩა! ოღონდ გადარჩენილი ხიზაბავრის მოსახლეობა ისე დააფრთხო ჯერ თავიანთმა დროებითმა ხანმოკლე იძულებითმა „ვითომ სომხობამ“ და, შემდგომში, ისევ ჩვენივე ბედოვლათობით, სიტყვა „ჯავახი“- ს სომეხის სინონიმად გადაქცევამ, იმის შიშით, რომ კიდევ ერთხელ არ დაბრალებოდათ „სომხობა“, არ ინდომეს „მესხ-ჯავახობა“, საერთოდ, უარყვეს თავინთი ჯავახობა და დაიჩემეს მხოლოდ და მხოლოდ მესხობა! ეს ტენდენცია ხიზაბავრის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში დღესაც ბატონობს და საუკუნეების და, ალბათ, ათასწლეულების განმავლობაში, ჯავახეთის მიწა-წყალზე ცხოვრების მიუხედავად, არ სურთ და არ უნდათ თავინათი ჯავახური წარმომავლობის „გამხელა-გამომზეურება“. მიუხედავად ამ დროებითი „გაუგებრობისა“, ხიზაბავრელები, ჩვენი ღრმა რწმენით, ჯავახეთის ზეგანის ქვედა იარუსზე მცხოვრები ერთ-ერთი ყველაზე ძირძველი ჯავახებია. ქართული და სომხური წყაროებიდან ცნობილი ფაქტია, რომ 842 წელს საქართველოში მესამეჯერ სადამსჯელოდ და საძარცველად შემოსული არაბი ხალიფა ჯავახეთის სოფელ „ხოზაბირში“ (ხიზაბავრაში) მოუკლავთ. ცხრა საუკუნის შემდეგ, 1770 წელს, ასპინძის ომში გამარჯვებულ ერეკლე მეფეს ჯავახეთზე გადაუვლია. ხიზაბვრაში ერთ შეძლებულ გლეხს უამრავი საკლავი არ დანანებია და მეფის საპატივცემლოდ დიდი ნადიმი გადაუხდია. ასეთი გულუხვი მასპინძლობით ნასიამოვნებ მეფეს მოუხმია გლეხი თავისთან და აზნაურობა უბოძებია. ჭკვიან ჯავახს მეფის წყალობაზე უარი უთქვამს – რა თავში ვიხლი მეფეო, აზნაურობას?!.. აი, ის მთა მიბოძეთო... მეფე მცირედ დაფიქრებულა და როგორც ხალხურ ლექსშია, დასტურად უთქვამს, „ჯავახი არა ბრიყვობსო,/ ეს მთაც მაგისი იყოსო“. ამბობენ, სამცხე-საათაბაგოში ოსმალების თოთქმის სამსაუკუნოვანი ბატონობის დროსაც კი თურქ-ლეკთა მარბევალ რაზმებს ხიზაბავრაში ასვლა მაინც ეშინოდათ და ერიდებოდნენ. აი, ასეთ ჯავახებს უცხოვრიათ ხიზაბავრაში სულმუდამ. ხიზაბავრელები დღესაც ძალიან გონიერი, მამაცი, გამაცადი და სტუმართმოყვარე ხალხია, რომლებიც იუმორის გასაოცარი გრძნობითაც გამოირჩევიან. და გვჯერა, სწორად გაგვიგებენ, გული რაზეც გვწყდება. დაფიქრდებიან, ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე რამდენად მნიშვნელოვანია მათი დანარჩენ ჯავახებთან ერთად დგომა.

დღემდე უცნობი მიგრაციული პროცესების შესახებ XIX საუკუნის სამცხე-ჯავახეთში

◀ დასაწყისი გვ. 4

რუსები (დუხობორები) დაასახლა. სომხებისა და დუხობორების მიგრაცია მეცნიერებაში კარგადაა შესწავლილი. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ დუხობორების გადმოსახლების გადაწყვეტილება ცარიზმმა 1839 წელს მიიღო. ჯავახეთში მათი პირველი ნაკადი კი 1841 წლის სექტემბერში მოვიდა. მიგრაცია 1845 წელს დასრულდა. ასე შეიქმნა ჯავახეთში რუსი სექტანტების რვა სოფელი: *ბოგდანოვკა, ტამბოვკა, ორლოვკა, გორელოვკა, სპასოვკა,* ტროიცკოე, *ეფრემოვკა, როდიონოვკა*. დუხობორების საერთო რაოდენობა 1845 წელს 495 ოჯახს (4.097 სულს) შეადგენდა. მათი დასახლება ქართველ მაჰმადიანთა ნასოფლარებზე მოხდა, მაგრამ უცნობია ის ფაქტი, რომ როგორც ერთი, ისე მეორე ეთნოსის – სომხებისა და რუსი დუხობორების – მიგრაცია სამცხე-ჯავახეთში შემდეგაც გრძელდებოდა თუ არა.

როგორც აღვნიშნეთ, დუხობორები მოსახლეობდნენ ჯავახეთის სოფელ როდიონოვკაში. 1873 წელს აქ 85 დუხობორის ოჯახი იყო. 1901 წელს მათ სექტანტები კიდევ დამატებიან – 28 კომლი დუხობორი ბორჩალოს მაზრის სოფელ ორმაშენიდან გადმოსულა საცხოვრებლად.

1873 წელს რუსი დუხორების 109 კომლი ცხოვრობდა სოფელ გორელოვკაში. 1867-1871 წლებში ელიზავეტოპოლსკის გუბერნიიდან 8 კომლი გადმოსახლებულა. ხოლო XIX საუკუნის 80-90-იან წლებში დამატებით 69 კომლი. ანალოგიური ვითარება გვქონდა სოფელ ეფრემოვკაში. 1873 წელს აქ მცხოვრებ დუხობორებს XIX საუკუნის 80-90-იან წლებში კიდევ 17 კომლი დამატებია.

სოფელ ორლოვკაში 1873 წელს 110 კომლი დუხობორი იყო აღრიცხული. დუხობორების ეს რაოდენობა გაზრდილა 1860-იანი წლების ბოლოს (6 კომლი) და 23 კომლით 1880-1890-იან წლებში გადმოსახლებულებით. ანალოგიური ვითარება ყოფილა სოფელ სპასოვკაში. აქ მცხოვრებ 58 კომლ დუხობორს 1903 წელს ახალი 10 კომლიანი ჯგუფი დამატებია. 70 კომლიანი ტამბოვკის დუხობორული მოსახლეობა 1894 წელს 7 კომლით გაზრდილა; ისინი ბორჩალოს მაზრიდან მოსულან.

რუსი დუხობორების 78 კომლი ცხოვრობდა სოფელ ტროიცკოეში, რომელთაგან 1869-1871 წლებში 26 კომლი იყო მოსული. მათი ეს რაოდენობა 1898 წელს 21 კომლით გაზრდილა. 1886 წლის საოჯახო სიებით ჯავახეთის „დუხობორრის“ რვა სოფელში საერთო ჯამში 817 კომლი (6.616 სული) დუხობორი ცხოვრობდა. 1845 წელთან შედარებით დუხობორების რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა, რაც მოხდა მათი არა მხოლოდ ბუნებრივი გამრავლებით, არამედ თითქმის მუდმივი მიგრაციით. მიგრაცია კი XX საუკუნის დასაწყისშიც გრძელდებოდა.

დუხობორების მიგრაცია ჯავახეთიდან თბილისის მაზრის ბორჩალოს „უჩასტკაშიც“ მოხდა – 1860 წლის აღწერით ახალციხის მაზრაში მცხოვრები დუხობორები სოფელ ყარასლისში დასახლებულან (14 კომლი). მიგრაციის იგივე გზა ჰქონდათ გავლილი ორმაშენში მცხოვრებ დუხობორების 31 კომლს.

ჯავახეთში მართლმადიდებელ რუსებსაც ასახლებდნენ, სადაც 1903 წელს რუსეთიდან მიგრირებულებს ახალი სოფელი – ვლადიმიროვკა – შეუქმნიათ. ისინი მართლმადიდებლები იყვნენ და გადმოსახლებულან ეკატერინოსლავის, ჩერნიგოვის, ხარკოვისა და ვორონეჟის გუბერნიებიდან. 1873 წლის კამერალური აღწერის მინაწერებში აქ 23 ასეთი კომლია დაფიქსირებული. 1864 წელს შეუქმნიათ რუსებს ჯავახეთში სოფელი ნოვო-ივანოვსკოე. ამ სოფელში მართლმადიდებელი რუსების ახალი პარტია (5 ოჯახი) 1904 წელსაც მოსულა პოლტავის გუბერნიიდან.

ქართველი ებრაელები

სომხების მიგრაციის შესახებ

ჯავახეთის სოფელ პატარა ყანდურაში მცხოვრებ სომხებს 1873 წლის შემდეგ თურქეთიდან მოსული ორი ოჯახი დამატებია. ჯავახეთის სოფელ კორხში მცხოვრებ სომხებს ასევე დამატებია 1901 წელს მიგრირებული 11 კომლი სომეხი. იგივე ვითარება გვქონდა სოფელ კულალისში, სადაც 1866 წელს ექვსი ოჯახი სომეხი მოსულა. ხუთი კომლი დამატებია სოფელ მოლითის სომხურ მოსახლეობას.

1873 წლისთვის ახალდასხლებული იყვნენ სომხები (38 ოჯახი) სოფელ ორჯოლარში. ერთი ჯგუფი 1867 წელს (18 კომლი) მოსულა, მეორე – უფრო გვიან – 1894 წელს მათ კიდევ 10 ოჯახი დამატებია.

1873 წელს 75 კომლი მკვიდრობდა ფოკაში, რომლებსაც 1864 წელს ერთი ოჯახი თურქეთიდან მიგრირებული და ალექსანდრეპოლის მაზრიდან გადმოსახლებული ხუთი ოჯახი დამატებია. აქედანვე გადმოსახლებულ სომხებს ჯავახეთში დაუფუძნებიათ სოფელი პატარა სირგვა.

1870-იანი წლების დასაწყისში მოშენებულა სომხური სოფელი თახჩა. აქ ასეთ მიგრირებულთა 18 ოჯახი ცხოვრობდა. სოფელ ტირკნაში მცხოვრებ 12 კომლს 1906 წელს კიდევ ექვსი კომლი მიგრანტი დამატებია.

ჯავახეთში ადრე გადმოსახლებული სომხები ახალ ტერიტორიებსაც იკავებდნენ. მაგალითად, სოფელი სამსარა 1860 წელს სოფელ თოკიდან გადმოსულ ეთნიკურ სომეხებს (25 ოჯახი) შეუქმნია. სოფელ ტირკნაში, სომხის ერთი ოჯახი, 11 მამაკაცით, თურქეთიდან 1842 წელს მოსულა.

სომხების გადმოსახლება მხოლოდ თურქეთიდან არ ხდებოდა. ინტენსიური იყო მათი მიგრაცი Aაზერბაიჯანის ტერიტორიიდან – ალექსანდრეპოლის მაზრიდან. ასეთი მიგრანტები მოსულან სოფელ ხორენიაში, თორიაში...

მთელი XIX საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა სომხების თურქეთიდან ახალციხეში გადმოსახლება. საამისო ჩანაწერები ბევრია 1873 წლის კამერალური აღწერის დავთარში. განსაკუთრებით ბევრი სომეხი მოსულა 1860-იან წლებში. დროის ამ მონაკვეთში ახალციხეში ორმოც კომლამდე სომეხი დასახლებულა, რომელთა უმრავლესობა არზრუმიდან, ბაიბურთიდან, აგრეთვე კონსტანტინეპოლიდან და თავრიზიდან იყო მიგრირებული. ამ დროს გადმოსახლებულთა შორის აზნაურიანების ორი კომლიცაა დასახელებული. ორივე მათგანი 1867 წელს არზრუმიდან გადმოსახლებულა. ორი ოჯახი საქართველოს შავშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხრიდან გადმოსახლებულა 1861 წელს და ერთ-ერთი კომლისთვის ხელისუფლებას **შავშეთიანცის** გვარსახელიც მიუნიჭებია.

სამეცნიერო ლიტერატურაში, ფაქტობრივად, უცნობია ის ფაქტი, რომ ახალციხეში მიგრირებული სომხების რაღაც ნაწილი უკან, არზრუმში დაბრუნებულიყოს. 1860 წლის კამერალური აღწერის თანახმად, ასეთი უკან დაბრუნებული 450 კომლი ყოფილა *(სცსსა, ფ. N254, ან. 3, ან. 2, საქმე N243, გვ. 269-353).*

საერთოდ, ახალციხეში მიგრირებული სომხების რაოდენობა, გასომხებული ბოშების ჩათვლით, სულ 1.314 კომლი ყოფილა. სომხების ახალციხიდან თურქეთში წასვლის ფაქტები 1850 წლის აღწერაშიცაა დადასტურებული – 140 კომლზე მეტი გადასახლებულა არზრუმსა და ყარსში. ეს მიგრაცია გადმოსახლებიდან მალევე დაწყებულა და თითქმის ყოველ წელს ხდებოდა.

ქართველი კათოლიკეების, ქართველი მაჰმადიანებისა და ქართველი ებრაელების მიგრაციის შესახებ

1860 წლის კამერალური აღწერის დავთარში ახალციხიდან ქართველ კათოლიკეთა მიგრაციაცაა დადასტურებული. ისინი ახალციხეში აღრიცხული არიან, მაგრამ მიწერილი აქვთ, რომ გადასული არიან საცხოვრებლად ქუთაისში. თითოეულ ოჯახს ქუთაისიდან გადასახლების დროც აქვს მიწერილი, მაგალითად, „15 წელია იმყოფებიან ქუთაისში“ (7 კომლი), „32 წელია იმყოფებიან ქუთაისში“ (3 ოჯახი), „19 წელია იმყოფებიან ქუთაისში“ (2 კომლი)... 1860 წლის აღწერაში ქუთაისში გადასახლებულთა სულ 22 კომლია აღრიცხული. ქართველი კათოლიკეები კონსტანტინეპოლშიც მიგრირდებოდნენ. ახალციხელ ქართველ კათოლიკეს ხარისჩარაშვილს) 1886 წლის აღწერაში მიწერილი აქვს: „მღვდელი, ცხოვრობს კონსტანტინეპოლში“, იობ თომას ძე ხითაროვს (ხითარიშვილს) – „ბერი. იმყოფება კონსტანტინეპოლში“. მეორე ხითარიშვილი კი გამოსულა სომხურ-კათოლიკური ეკლესიის დაქვემდებარებიდან, რომელსაც სარწმუნოების გრაფაში „რომაულ-კათოლიკური“ უწერია. ასეთები სხვებიც იყვნენ. აღსანიშნავია, რომ 1817 წლის გორის აღწერაში შეყვანილია ქართველი კათოლიკე პავლე სიმონიშვილი, რომელიც გადმოსახლებულა „ახალციხის საფაშოს სოფელ არტანუჯიდან“. ახალციხელი კათოლიკე ქართველების უმრავლესობის გვარები აღწერის დავთრებში რუსული სუფიქსებითაა ჩაწერული, მაგალითად, ფიროევი, ნებიეროვი, დათებოვი, სადათიეროვი, გოკიელოვი, ბეთანოვი, ფეიქაროვი, ვარძიელოვი, მესარკოვი, ჩილინგაროვი... ზოგიერთი კი ქართული გვარით – მაისურაძე, თეთრაძე/თეთრაშვილი, ჩილაშვილი, ბეჩიტაძე.. არის შემთხვევები ქართველ კათოლიკეთა გვარსახელების -ეთ სუფიქსით ჩაწერისა (ისე, როგორც ადგილობრივები გამოთქვამდნენ). შეიძლება დავასახელოთ უდელი გიგო პეტრეთი, მიხაკო პეტრეთი და პეტრე პეტრეთი, აგრეთვე ანტონ გულიჯანათი, სერო ჩილათი.

ცნობილია, რომ ქართველი ებრაელები ახალციხეში მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობდნენ. 1860 წლის კამერალური აღწერის დავთრით ახალციხეში ებრაელებს ცალკე უბანი ჰქონდათ. ებრაელთა ნაწილი ახალციხეში ხერთვისიდან და აბასთუმნიდან ყოფილან გადმოსული. თბილისელი ებრაელები ძირითადად სწორედ ახალციხიდან იყვნენ მოსული XIX საუკუნეში. 1886 წლის საოჯახო სიებში ქალაქ ახალციხეში დადასტურებულია ევროპელი ებრაელის მიერ მართლმადიდებლობის მიღების ფაქტი, კერძოდ, ნიკოლაი ჟემბიროვსკი მონათლულა და ქართველი მართლმადიდებელიც შეურთავს ცოლად.

ქართველი მაჰმადიანების ოსმალეთში გადასახლება თითქმის მუდმივად ხდებოდა. მაგალითად, 1850 წლის მოსახლეობის კამერალურ აღწერაში დაფიქსირებულია, რომ 1854 წელს სოფელ ფერსას მოსახლეობა მთლიანად (24 კომლი) გადასახლებულა თურქეთში. 1862 წელს თურქეთში გადასახლებულა სოფელ ტრიბონის ხუთივე კომლი. სოფელ წყორძის მკვიდრი 9 კომლიდან თურქეთში გადასულა საცხოვრებლად ერთი ოჯახი. 14 კომლი მაჰმადიანი ქართველი ცხოვრობდა სოფელ ჭარალში. 1850 წლის აღწერაში ამ სოფლის ექვს ოჯახს მინერილი აქვთ, რომ „1849 წელს გაიქცნენ თურქეთში“. თურქეთში გაქცეულთა შორის დასახელებულია სოფელ ორცეფში მცხოვრები ხუთივე ოჯახი. სოფელ ნიალიდან კი 1862 წელს თურქეთში მაჰმადიანთა ოთხი კომლი წასულა. გაქცეულთა ერთი კომლი მითითებულია სახუდაბლის აღწერაში. 1849 წელს თურქეთში გაქცეულან ჩორჩოელი მაჰმადიანები.

1873 წლის კამერალური აღწერის მინაწერები იმასაც გვამცნობს, რომ ხანდახან ხდებოდა ადრე თურქეთში გადასახლებული ქართველი მაჰმადიანების უკან დაბრუნების ფაქტები, მაგალითად, კლდის საზოგადოების სოფელ ფერსაში 32 კომლი იყო აღრიცხული, რომელთა შორის 12 კომლი თურქეთიდან უკან იყო დაბრუნებული. 1860 წლის დავთარში აღწერის შემდეგ დროინდელი მინაწერი გვამცნობს, რომ სოფელ ნორიოში მონათლულა თბილისიდან მოსული ასან უზინი, რომელსაც ყოველივე ამის შემდეგ მინიჭებია ნიკოლოზ ორბელიანის სახელი და გვარი. ის უფრო ადრე სამცხიდან იყო თბილისში გადმოსახლებული.

საუკუნის გადასახედიდან

ერთი თვე მესხეთში

აი, უკვე ერთი თვეა, რაც მე მესხეთში სოფელ-სოფელ დავდივარ, ძველ მამაპაპურ ოდებში ვატარებ დროს და იქ ბუხრის წინ ვესაუბრები მოხუცებს, რომელთა სიდარბაისლე და დინჯი ლაპარაკი ბევრს ჩვენგანს შეშურდებოდა. მათი შეუბღალავი და შეურყეველი წმინდა ქართული აზროვნება, წმინდა ქართული ლაპარაკია, თუმცა ზოგჯერ თათრულ სიტყვებითაა ნარევი, ვიცოდი, რომ ძველად აქ ქართული კულტურა ჰყვაოდა, ხალხი განათლებული იყო და ამ მხარეს განათლების აკვანი ეწოდებოდა, ბრძენი და ფილოსოფოსნი ამ კლდეთა შორის იბადებოდნენ, ღვთისმეტყველნი და მწიგნობარნი აქეთ მოღვაწეობდნენ და პირველ მტერს ამაოხრებელი ისარიც ამ მხარეს ეცემოდა, რომლისა გამო ხალხი ჭირს და გაჭირვებას ეჩვეოდა. სული მისი სალკლდევდებოდა და უდრეკი ჰხდებოდა. უდრეკი ხორცით, მოაზროვნე და შორს გამჭვრეტი აზროვნებით. ვიცოდი, რომ წინად ასეთი იყო აქეთ ქართველი. ეხლაც დარწმუნებულვარ, რომ ბევრს თვისებათ აქაურთა ეხლაც ვპოვებდი ჩამომავალთა შორის. ქართველი არ გადაგვარდებოდა, არ შეირყვნებოდა სულით და გონებით, როგორც ზოგიერთი კუთხენი. ვიცოდი ისეც და გათვალისწინებული მქონდა, რომ მესხეთ-ჯავახეთი უფრო შორს იყო მესხეთ ჩრდილოეთის ჰავიდან და მასთან ახლო იყო ისევ ძველი აღმოსავლეთი... ის აღმოსავლეთი, რომელსაც ძველად საქართველოში შემოჰქონდა, როგორც განათლების ლამპარი ისე მმუსვრელი და გამანადგურებელი ცეცხლი და შხამი. რომელ მხარესაც ვეწაფებოდით ცხოველმყოფელ კულტურას და დღეს თუ იქიდან ეს არ შემოდიოდა, განათლება აღმოსავლეთისა, არც ბარბაროსობა ჩრდილოეთისა ეხებოდა ასე ადვილად და, მაშასადამე, ცოტად თუ ბევრად ვნახავდი იმ პიროებებში, როდესაც ერეკლე მეფემ აქაურთა ლექსით:

გიორგის მეფობა მისცა
„შენი ხმალი კარგა სჭრისა“,
საქართველოს ვერ გაუძღვა
აიღო და რუსეთს მისცა...

აი ამ ხნის შემდეგ ბევრი რამ არ უნდა შეცვლილიყო მესხეთის ბუნებაში... დღეს იგი დინჯია და აუჩქარებული, შუა ტანისა და კარგათ ჩასხმულ-ჩამოყალიბებული. მაღალი და გონიერი შუბლი, ცოცხალი და დამშვიდებული თვალები, სახის სიმშვიდე ჭკვიანურ გამომეტყველებას აძლევს მის ძველ ქართვე-

ფოლკლორი

ამბავი მამაპაპათა

მე ერთ ამბავს მოგიყვებით,
ყური დამიგდეთ თავიდან,
მე გიორგაძე გახლავართ,
მცხოვრები სოფელ ვალიდან.
როცა მესხეთში მეფობდა
ის ურჯულო თათარი,
ამიტომაც მინდა გითხრათ
ეს პატარა ამბავი.
ამ ჩვენი პაპის პაპასა
თურმე რქმევია ქიტესა,
ოჯახიც კარგი ჰქონია
(ოთხი ვაჟკაცი ჰყოლია).
ფაშას უთქვამს – ქიტეს აღა,
ორ შვილს გაგითათრებო,
ორს ისევ შენ დაგიტოვებ,
ისიც შენა გყავდესო.
ეს რომ ესმა ამ მოხუცსა
თავს დაეცა ზარია,
როგორ გამიხდეს თათარი,
შვილების მოზეარეა.
ბევრი უფიქრავს საწყალსა,
სხვა ვერ მოძებნა გზანია,
დამდგარა ხატის წინაშე
ლოცულობს მთელი ღამეა.
ღმერთო, დაწყევლე ის კაცი,
რომ მე ვიხილო მკვდარია,
რომ აღარ გახდეს არასდროს
ქართველთა მოზიარეა.
მოხუცს გაუჭრა ლოცვამა,
მართლაც დაუდგა დარია,
ორი დღის შემდეგ შეიტყო,
რომ ფაშა უკვე მკვდარია.
მოხუცსა სიხარულისგან
თვალში ჩაუდგა ნამია,
ისეთი ცეკვა გამართა,
თითქოს და პატარძალია.
მოუხმო თავის შვილებსა, –
ახლა გვაქვს მართლა დარია,
ვერავინ ვეღარ გაბედავს,
რომ გაგვითათროს გვარია.
მე ამის მომსწრე კი არ ვარ,
მეც სხვისგან გამიგონია,
დავჯექ და ლექსად დავწერე,
ნამდვილია და სწორია.
მის ნაშიერში გავზარდე
ორ-ორი – ვაჟი, ქალია,
თუ ვინმეს გაინტერესებთ
მეცა ვარ იმათ რძალია.

ვარძია

ასპინძის ზემოთ – ხერთვისი,
ციხე-ქალაქი ქებული,
მცირე სავალით სცილდება
ვარძიის გამოქვაბული.
ამაყად დგახარ ვარძიავ,
გაჰყურებ ვანის ქვაბსაო,
დიდი რუსთველის სამშობლოვ,
შემოგევლები თავსაო.
გულში გაქვს წყარო ანკარა,
ნაკურთხი მაღლით ღვთისგანა,



ჟამთა სვლამ ვერა დაგაკლო,
გამოთლილი ხარ ქვისგანა.
მკერდში ჩაგიკრავს მეფენი –
გიორგი, დიდი თამარი,
სამცხეში დიდი განძი ხარ,
სხვა შენისთანა სად არი.
დღე არ თენდება ისეთი,
რომ არა გყავდეს მნახველი,
საქართველოში კი არა,
შორს გაგითქვია სახელი.
სულ ყველას მოაჯადოებ,
ვინც კია შენი მნახველი,
ნამდვილად ნატვრის თვალი ხარ,
შენს სახელს ვეთაყვანები,
მტერმა ვერარა დაგაკლო,
როს შეგიმტვრია კარები.

რვაასი წლისთავი

ყრმით ატანილ იარაღს
დილას ვერ მოჰკრეს თვალია,
ყრმის ნაკვალევსა გამოჰყვნენ
ამ კლდეზე ნახეს მდგარია.
აქ გამოკვეთეს ვარძია,
შეაბეს რკინის კარია,
თამარმა ტაძრად აკურთხა,
დასწერა წმინდა ჯვარია.
უცხოელ დამპყრობელებმა
ბევრჯერ შემართეს ხელია,
მგოსანო, გეთაყვანები,
ეს სიტყვები ხომ შენია:
„ბოროტსა სძლია კეთილმან,
არსება მისი გრძელია“.
რვაასი წელი შესრულდა,
ორი ლამპარი ანთია,
ერთად შობილან მესხეთში
რუსთაველი და ვარძია.
თქვენით ვამაყობთ, მესხები,
ვადიდებთ ყველა გმირსაო,
თქვენ მარად ცოცხლად გვეგულვი,
წინ გაუძღვები ერსაო.
რვაასი წლისთავს ზეიმობს
ყველა მესხელი დღესაო,
ძვირფას სტუმრებსაც მასპინძლობთ,
შესდარებიხართ მზესაო,
ჩემი სამშობლოს მფარველი
ღვთისმშობელია დღესაო.

მეფე თამარი

საქართველო ამაყია
თავის დიდი წარსულით,
მეთორმეტე საუკუნეს
მეფედ ყავდა ასული.
თამარ მეფე მცხეთას იჯდა,
ტახტი ჰქონდა ძლიერი,
გარს ეხვია მტერზე მტერი,
როგორც მგლები მშიერი.
თათრის შაჰმა შეუთვალა: –
თან წაგიყვან ცოლადო,
შენს ხალხს და მაგ არემარეს,
ყველას გავხდი მონადო.
თამარ მეფემ უპასუხა: –
რით მაშინებ განაო?
მე ხალხი მყავს იმისთანა,
ვერ გასტეხს ეგ ძალაო.
შაბანიბელის მთაზედა
გაათხრევინა ხევია,
ზედ მოხნა, კიდეც დათესა,
ააბიბინა ქერია.
ჯარი მოვიდა თათრისა,
საზღვარს მოარღვევს ძალითა,
წინ დახვდა თამარის ჯარი,
თავის ფარით და ხმალითა.
დასჭრეს სუყველას თავები,
ვინაც მოვიდა ძალითა,
აავსეს გათხრილი ორმო,
უამრავ თათრის გვამითა.

შვილო, გეძახის სოფელი

ქალაქს რა გინდა ყმაწვილო,
რატომ დატოვე სოფელი,
არც იმას დარდობ, საწყალო,
თუ როგორა გყავს მშობელი.
მიწას მომვლელი სჭირდება,
შენ კი იწევი განსაო,
ვინ მოხნავს, ვინ დაგითესავს,
ვინ მიგიხედავს ბაღსაო.
საწოლს მიჯაჭვულ მოხუცსა
არავინ უღებს კარსაო,
ვინ გაურეცხავს სარეცელს,
ან ვინ მიუტანს წყალსაო?
ვაჰ, რა ცუდი დრო დამდგარა,
არავინ იღებს ხმასაო,
ბუნების ძალას მეცა ვთხოვ,
თქვენც ეგ გადაგხდეთ თავსაო.
ვაჟის გაჩენა უხარით,
რომ არ გაქრესო ბუხარი,
ეს თქვენი კაი კაცობა,
მაგ თქვენ შვილებსაც უხარით.
შვილიშვილებო, მეცა გთხოვთ,
გაჰყევით მშობლის კვალსაო,
ჩვენსავით დაბერებულებს
ნურც თქვენ გაუღებთ კარსაო.

მეგობრობა

დღითი-დღე ეძალებოდა
ამ ჩვენს ქვეყანას მტერია,
ერეკლე ბევრსა ფიქრობდა,
როგორ დაეცვა ერია.

რუსთა ხელმწიფეს მიმართა: –
ერთმორწმუნეო, მეფეო,
შენა ხარ ჩვენი მხსნელია,
მიძმე და მეც შენ გეძმობი,
ვერას დაგვაკლებს მტერია.

ეს რომ გაიგო ოსმალომ,
თავში ჩაირტყა ხელიო,
არიქა, ვეღარ ვიხილოთ
ქართველთა მთა და ველიო.
რუსთა ჯარების ჩადგომით
ჩვენ შეგვეშლება ხელიო.

იმ კურთხეულმა მეფემა
ომში დალია სულია,
რუსეთთან დამეგობრებით
შეგვინარჩუნა რჯულია.

საღღეგრძელო

სახლო, სალხინოდ ნაშენო,
დაგელოცოთ ფუძე, ჭერი,
ღმერთმა ტკბილად დაგიბეროს
შენ ახალი მოსახლენი.
სულ ლხინი და სიხარული,
დაებედოს ამ თქვენს კერას,
ღმერთმა წყვილად დაგაბეროთ,
ჯანმრთელად და ბედნიერად.
შვილები ღმერთმა გიცოცხლოთ,
გყავდეთ ყველა ბედნიერი,
შვილთა შვილებს შეესწარით,
გაგიმრავლდეთ ნაშიერი.
მშვიდობაში მოგახმაროთ,
თქვენი შრომის მონაგარი,
მოყვარისთვის მუდამ გქონდეთ
თქვენი სახლის ღია კარი.
თქვენ მტერსა და მოძულესა
დაეხუჭოს ორთავ თვალი,
ექიმს, ვექილს არ გაეღოს
არასოდეს მათთვის კარი.
მაცივარში მუდამ გქონდეთ,
შემწვარი და მოხრაკული,
არასოდეს არ გეჭამოთ
ცარიელა ხმელა პური.
სულ უღრუბლო ცით გეცხოვროთ,
არ გაგეგოთ ქვეყნად ომი,
მაგიდაზეც მუდამ გქონდეთ
საცივი და ცხელი ღომი.
სადღეგრძელო დავამთავრე,
თქვენ მიირთვით ბროწეული,
ღმერთმა ყველა გიდღეგრძელოთ
ვინც აქა ხართ მოწვეული.

მთქმელი ლოლა მაისურაძე-
გიორგაძისა. ქ.ვალე,
92 წლის. ჩაიწერა
ავთანდილ ბერიძემ 2019 წელს

ლის სახეს. სიკეთილმშობლე და სიწმინდე სახისა, ასეთნი ხომ მარტო იმ ძველის ძველ კედლებზე მინახავს, რომელნიც დაუხატიათ ძველად საქართველოში.

შორიდან გამოგკითხავს, დიდხანს გელაპარაკება, ერთსა და იმავეს გაგამეორებინებს, სიყალბე ხომ არა სჩანს შიგ... რა ქნას, მრავალმა გაჭირვებამ და უბედურებამ ასწავლეს ეს ისტორიულად, მრავალწელთა განმავლობაში შემუშავდა მასში ეს თვისება. „ვისიც გულს ჰქონდა სიკეთე ხინჯ ჰქონდა ჩემი მტროებისაო“... გაიგონებ ხშირად, არავინ ძმად არ მომკიდებია, ყოველთვის მარტო ვიყავით ამ განაპირა ქვეყანაში, ჩვენი ძახილი გვიან ესმოდა საქართველოსო“... მართალიც იყო, მეტადრე ამ უკანასკნელ წელთა განმავლობაში საქართველო ამ მხარისაკენ იშვიათად თუ მიიხედავდა, იშვიათად და იქნებ სრულიად არასდროსაც გადასტყორცნიდა იმ სიტყვას, რაიცა მთელ ერთან ერთად ამ ნაწილს და განუყრელ ნაწილსაც უნდა სმენოდა აუცილებლივ. მაგრამ ეს არ იყო ასე. მესხეთი თავისთვის ჰფიქრობდა და ამ ფიქრით ისევ თავის მთებში ჰკლავდა და იქით არსად და დანარჩენი საქართველო მახინჯად თუ კარგად ჰქმნიდა ახალ ცხოვრებას ეროვნულს. თუმცა ამ შექმნილს არ ეტყობოდა შემოქმედებითი რამ ძალა, მაგრამ იგი მაინც ეროვნული იყო როგორც ქართველი ერის ნამოღვაწარი, თუმცა წაბაძული, გონჯად გადმოღებული, უხეიროდ დამყნილი ჩვენს ცხოვრებაზე.

ორთავ თავთავისთვის იყო, ერთმანეთს იშვიათად გამოელაპარაკებოდნენ და ამ გარემოებამ შეარჩინა მათ გამჭრიახი ჭკუა და ათჯერ გაზომვა. მოყვარეს ადვილად ვერა ჰხედავდა. ვერაგი მეზობლები ქურდულად ეპარებოდნენ და ლამობდნენ მის სჯულში ჩაძრომას, მის აღმოფხვრას და განადგურებას ყოველივე ქართველისას. მაგრამ ალღო აუღო საერთო მეზობელთა მისწრაფებას, აქაურმა ძმა მესხელობამ და ფრთხილად მოეკიდა, შორს დაიჭირა, მეტადრე მას შემდეგ, რაც მათთან სიარულის დროს რამდენჯერმე წაუფორთხილა და კინაღამ სამუდამოდ ძირს არ დაეცა. ცხადია, ფრთხილ და ნებაუნებლივ გამჭრიახი უნდა ყოფილიყო, თავის მეტ მეგობარს ვერვის ჰხედავდა, ზურგს არავინ უმაგრებდა. ჯანსაღი აგებულება კი ინახავდა მის საღ სულს. იგი ფოლადდებოდა ხრიოკ კლდეებზე არსებობის პურის ძებნის დროს, მუდმივ ბუნებასთან ბრძოლაში და დავაში. ყოველთვის ცდილობდა მისთვის გამოეტაცა, მეტი მიეღო მისგან და ამისთვის მიუვალ მწვერვალზედაც კი ავიდოდა, ცარიელ მარჯვენით ბილიკს საცალფეხოს გაიკაფავდა და ჰპოვებდა ისეთს ადგილს, სადაც შეეძლო ერთი სომარის[1] მოყვანა. ძველი გუთანი და თოხი უფოლადებდა კუნთებს და მეტ სისხლს ჰმატებდა მის მძლავრად სასიცოცხლოდ დაჭიმულ ძარღვებს... ამასთან ერთად წმინდათ შენახული და დაცული სარწმუნოება ქრისტეს რჯულისა ასპეტაკებდა მის სულსა და გულს, უნერგავს სათნოებასა და სიყვარულს. სარწმუნოება მტკიცედაა მასში დაცული, წმინდა ქართული და ძველებური. ზიზღით იგონებენ და ლაპარაკობენ საფარის მონასტრის ბერებზე, რუსები არიან, მათ რა ღმერთი სწამთ, ვერ გაგვიგიაო. ეს კაი ნიშანია, როდესაც ამდენი ხნის მაჰმადიანთა გვერდით ცხოვრების შემდეგ ქრისტეს სჯული დაცულია, ეს იმას მოასწავებს, რომ ქართველი ადვილად არ გადაგვარდება, სხვა ერი ვერ დასძლევს თუ გველური და ეშმაკური პოლიტიკა არ აწარმოვა კაცმა. ადვილად არ დაჰკარგავს თავის სახეს და მას შეინარჩუნებს მუდამ თუ ყოველთვის უპატრონოდ არ იქნება მიტოვებული. თუ ახალ-ახალ ეროვნულ კულტურის წყაროს დროზე მივაწვდით და ხელოვნურად არ დავაშორებთ მშობელ დედის მოსიყვარულე შემრგო ტკბილ ძუძუს რძეს.

ნ.კეცხოველი,
გაზეთი „საქართველო“, 1915 წ., N 26

1 სომარი თექვსმეტი ფუთია, ანუ იქაური 16 კოდი.

ქართული პრესის ისტორიიდან

ევროპაში პირველი გაზეთის ისტორია XVII საუკუნის დასაწყისს უკავშირდება. კერძოდ, სტრასბურგში გერმანულ ენაზე გამოვიდა გაზეთი „სტრასბურგერ რელასიონი“. შეიძლება ითქვას, რომ პრესის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი სტამბის გამოგონებამ (გერმანელი **იოჰან გუტენბერგი** იყო გამომგონებელი და პირველი მესტამბე, XV საუკუნის 40-იანი წლებში).

საქართველოში პრესა ისტორია-განვითარებას იწყებს მოგვიანებით, XVIII საუკუნეში და უშუალოდ განათლებისა და კულტურის მეცენატ მეფე ერეკლე II-ის სახელს უკავშირდება. **ზაქარია ჭიჭინაძე**, მოძიებული მასალების საფუძველზე, მიიჩნევდა, რომ **ერეკლე მეფის** სასახლეში პერიოდული ნაბეჭდი ფურცლები არსებობდა. საქართველოში მოღვაწე უცხოელი მისიონერები თავიანთი ქვეყნებიდან იღებდნენ გაზეთებს. ასევე ქართველებს უწევდათ გასვლა ევროპასა და რუსეთში. საფიქრებელი იყო, რომ ასეთ ვითარებას ქართველებიც წაეხალისებინა გაზეთის გამოცემის საქმეში. 1787 წელს თბილისში დაიწყეს გაზეთის მსგავსი ფურცლების ბეჭდვა, რომელსაც „ლეპორტი“ ერქვა *(ო. ფუტკარაძე, „პირველი ქართული გაზეთი 180 წლისაა“)*. საყურადღებოა, რომ ერეკლე II-მ **იოანე ბატონიშვილს** განათლების რეფორმის პროექტის მომზადება დაავალა. პროექტი ითვალისწინებდა უნივერსიტეტების, აფთიაქების, ბიბლიოთეკების დაარსებას. საგანგებო პუნქტად შეტანილი იყო: *„ყრმათვე იბეჭდებოდეს გაზეთი თვეში ორჯერ, აქედამაც იქნება შემოსავალი და ხალხნიც შეეჩვევიან“*. გაზეთის ბეჭდვის საშუალებას იძლეოდა ერეკლე მეფის მიერ, თავის დროზე, დაფუძნებული სტამბის არსებობა. საქართველოში აღამაჰმად-ხანის შემოსვლის გამო პროექტი ცხოვრებაში არ განხორციელებულა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ე.წ. რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში, განათლებისა და კულტურის სფეროშიც უმძიმესი მდგომარეობა შეიქმნა. გაუქმდა იქამდე არსებული ყველა სკოლა და სასწავლებელი. ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებისათვის საჭირო იყო მოსახლეობაში სწავლა-განათლების შეტანა. გაზეთი იყო ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება.

1804 წელს, გენერალმა **ციციშვილმა** აღადგინა აღა-მაჰმად-ხანის შემოსვევის დროს დარბეული სტამბა, სადაც დაიწყეს ხელისუფლების ბრძანებებისა და განკარგულებების ბეჭდვა. იმ პერიოდში საქართველოში ჟურნალ-გაზეთები შემოდიოდა რუსეთიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, რომელთაც ქართველი თავადაზნაურობაც ეცნობოდა და, შესაბამისად, კარგად ხედავდნენ, რა სიკეთის მოტანა შეეძლო პრესას. ყოველივე ამან მოამზადა ქართული გაზეთის გამოცემისათვის ნიადაგი. პირველი ქართული გაზეთი 1819 წლის 8 მარტს, ახალი სტილით 21 მარტს, დაიბეჭდა (ამიტომაც არის, რომ 21 მარტს აღინიშნება ქართული პრესის დღე). თავდაპირველად „**საქართველოს გაზეთი**“, შემდეგ კი „**ქართული გაზეთი**“ ეწოდებოდა. გაზეთის გამოსვლის წინ გაუვრცელებიათ განცხადება: *„რომელ გამოიცემოდნენ თბილისსა შინა ბუნებითსა ქართულსა ენასა ზედა დაბეჭდილნი ფურცელნი, რომელსაც ეწოდება „საქართველოს გაზეთი“*. გაზეთმა სათავე დაუდო ქართული პრესის ისტორიას. XIX საუკუნის პირველ ნახევარში გაჩნდა ასევე პირველი ქართული ჟურნალიც. კერძოდ, სოლომონ დოდაშვილმა 1832 წელს გამოსცა ჟურნალი „სალიტერატურო ნაწილი თბილისის უწყებათანისა“. გამოვიდა სულ ხუთი ნომერი. სოლომონ დოდაშვილი შეთქმულებაში მონაწილეობის გამო დააპატიმრეს და ჟურნალმაც არსებობა შეწყვიტა. აღსანიშნავია ისიც, რომ XIX საუკუნის დასასრულისათვის საქართველოში სამოცამდე დასახელების გაზეთი გამოიდიოდა.

სამცხე-ჯავახეთი გაზეთის ბეჭდვა-გამოცემის საქმიანობაში XIX საუკუნეში ჩაერთო. აკადემიკოსი **გიორგი ხაჭაპურიძე** მესხეთში პირველი სტამბის დაარსებას უკავშირებს საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტებს. იგი წერდა: *„დეკაბრისტების ჯგუფმა: ბესტუჟევმა, ლაშკევიჩმა და „ფარულ საზოგადოებათა“ მონაწილემ ნ. ზუბოვმა, რომლებიც გენერალ ბებუთოვის კორპუსში იმყოფებოდნენ, სცადეს გამოეცათ გაზეთი „ახალციხსკი კურიერი“, მაგრამ პირველი ნომრის შემდეგ გაზეთის გამოცემა აკრძალულ იქნა“*. აღნიშნული გაზეთის პირველი და, ამასთანავე, ერთადერთი ნომერი რუსულ ენაზე გამოიცა, იგი ახალციხეში ბეჭდვითი სიტყვის პირველი ნიმუში იყო. *სტამბის არსებობის ისტორიაც სათავეს იღებს XIX საუკუნეში – 1829 წელს“ (გ. ხაჭაპურიძე, „დეკაბრისტები საქართველოში“, ჟურნ. „მნათობი“, N11-12, გვ. 138, 1945).*

უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში სამცხე-ჯავახეთში **იოსებ ხუციშვილმა** გამოიგონა და დააფუძნა სტამბა, რომელიც ფუნქციონირებდა 1836-1846 წლებში ჯერ სოფელ ხიზაბავრაში და შემდეგ ახალციხეში. ათი წლის განმავლობაში რამდენიმე ათეული სხვადასხვა ხასიათის წიგნი იქნა დაბეჭდილი, რომელთა უმთავრესი დანიშნულება სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსახლეობის განათლება, მათში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება-გაძლიერება და კულტურული დაწინაურება იყო. გარდა აღნიშნულისა, მათ სახელმძღვანელოს დანიშნულებაც ჰქონდათ.

სამცხე-ჯავახეთში ადგილობრივ პრესას, ქართულენოვან გაზეთებს, საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის დასაწყისში. როგორც ცნობილია 1918-1921 წლებში ქალაქ ახალციხეში არსებულ სტამბებში იბეჭდებოდა რამდენიმე დასახელების გაზეთი: **„განახლებული მესხეთი“, „მესხეთ-ჯავახეთი“, „შარჟუმი“**. აღსანიშნავია ისიც, რომ დასახელებული გაზეთებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ **„განახლებული მესხეთის“** რამდენიმე ნომერმა. კერძოდ, სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაცულია მხოლოდ ორი ნომერი (N6 და N7). ერთი ნომერი ინახება თბილისში – საჯარო ბიბლიოთეკაში – N1. ასევე ზოგიერთი ნომრის ფურცლები (არასრულად) დაცულია სტამბოლის ქართველ მამათა სავანის არქივ-ფონდშიც.

გაზეთის პირველი ნომერი დაიბეჭდა 1919 წლის 2 თებერვალს. რედაქტორები იყვნენ: **ოსმან შავყი ეფენდი** მიქელაძე და **ლეო რუხაძე**. გამოცემა იყო ორგანო ახალციხის მინის მუშათა საბჭოსი. ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ასეთი სიტყვები: „**გაუმარჯოს გაერთიანებულ სამოსულიმანო და საქრისტიანო საქართველოს!**“ გაზეთი ექვსგვერდიანია და მისი ღირებულება 50 კაპიკი იყო, მესხეთის გარეთ – ერთი მანეთი. პირველ სტატიებად დაიბეჭდა – „დამფუძნებელი კრების არჩევნები“, „ბრძოლა ფოცხოვთან“, „ახალი ამბები“, „მინის მუშათა საბჭოში“, „საქართველოს მტრების დამარცხება“, „დაბა-სოფლები“. უნდა აღინიშნოს, რომ წერილების ნაწილი გამოქვეყნებულია ფსევდონიმებით („ოსმან“, „მეგობარი“, „ზუსეინ“, „მხედარი“, „კარაღა“ „ეფენდი“), რაც მეცხრამეტე საუკუნეშიც იყო ქართული პრესის მახასიათებელი.

სტატიებში ნათლადაა ასახული არამარტო სამცხე-ჯავახეთის, არამედ ქვეყნის იმ პერიოდის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ვითარება. შეიძლება ითქვას, რომ გაზეთი წარმოადგენს იმ დროის კვლევის უტყუარ წყაროს. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ერთ-ერთი საინტერესო სტატია – „ვერაგული აქტი“ – **კარაღა ეფენდის** ავტორობით. ავტორი გულისტკივილს გამოსთქვამდა იმის გამო, რომ ბათუმის **მასლოვის** მთავრობამ დახურა გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ და აჭარა-ქობულეთს მოუსპეს საშუალება გამოთქვას თავისი აზრი და ცხოვრება მოიწყოს ისე, როგორც ამას მოითხოვდა ხალხის ინტერესები. რუსეთიდან ბოლშევიკების მიერ გაძევებული ძალები კი *„სხვის ოჯახში აფათურებენ ხელებს, რომ ამით დააშორონ ერთმანეთს ორი ძმა, ერთი დედის შვილები: ქართველი მუსლიმანები და ქრისტიანები“*. ავტორი სტატიაში ერთგვარად ასახელებს გაზეთის „განახლებული მესხეთის“ მიზანსაც: *„დღეს გამოდის პირველათ ქართულ-თათრული ენაზე ახალციხეში „განახლებული მესხეთი“ და ჩვენ გვინდოდა, რომ ძმური ხელი გაგვეწოდებია იმ ჩვენი მოძმისთვის, რომელიც აჭარა-ქობულეთში მუშაობდა და საქართველოს გაერთიანებისათვის იღწოდა.“* წერილში ასევე კარგად ჩანს გამაჰმადიანებული ქართველების დამოკიდებულება ქრისტიანი ქართველებისადმი და, საერთოდ, მათი განწყობა მიმდინარე მოვლენებისადმი: *„ნუთუ ვონია მასლოვის მთავრობას, რომ ამით ჩაიჭრიან ქართველ მუსლიმებში ქართველურ გრძნობას, ნუთუ ფიქრობენ ეს გზაამბნეული რეაქციონერები, რომ გაზეთის დახურვით მოსპობენ იდეას საქართველოს გაერთიანებისას. ჩვენი თანაგრძნობა ბრძოლაში მყოფ „სამუსლიმანო საქართველოს“. ძმური ხელი მიიღეთ მეგობრებო, ჩვენ თქვენთან ვართ“ (კარაღა ეფენდი, „ვერაგული აქტი“, გაზ. „განახლებული მესხეთი“, N1, გვ. 1, 1919 წ.)*.

ასეთივე განწყობაა ასახული „ოსმანის“ ფსევდონიმით დაბეჭდილ სტატიაში **„საქართველოს მტრების დამარცხება“**. სტატიის – **„ბრძოლა ფოცხოვთან“** ავტორს („მხედრის“ ფსევდონიმით) დეტალურად აქვს აღწერილი 1919 წლის 30 იანვარს ქობლიანის ხეობაში გამართული ბრძოლა, ქართული ლეგიონის თავგანწირული ბრძოლა ოსმალთაგან ქართული მინის დასაცავად: *„მკითხველო, შენ არ იცი სად ხდება ეს ბრძოლა, როგორია ეს მიდამოები. იქნებ ოდესმე მოხვიდე აქ და გაიხსენო ბრძოლაში დაღუპულები“*, – წერდა ავტორი. ფოცხოვთან ბრძოლაში ქართული ლეგიონის ოფიცრები და 18-19 წლის ჭაბუკები შეაკვდნენ მტერს და არ დათმეს ქართული მინის არცერთი გოჯი...

როგორც ჩანს, გაზეთის შემდგომ ნომრებში გარკვეული ცვლილებები მოხდა. ჩვენამდე მოღწეული გაზეთის „განახლებული მესხეთის“ N6 და N7 ნომრები არის ოთხგვერდიანი. სამი გვერდი ქართულენოვანი და მეოთხე – თათრული (თურქული). რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია, გამომცემელი: მინის მუშათა საბჭო. გაზეთი გამოდიოდა თვეში ერთხელ. საყურადღებოა ისიც, რომ დაბეჭდილი სტატიების ავტორები არიან იმ პერიოდში ცნობილი მოღვაწეები: **ზაქარია ჭიჭინაძე, მესხი პავლე გურგენიძე, პავლე საყვარელიძე** და სხვანი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მომხდარი ცვლილებების გამო, ადგილობრივი პრესის ფუნქციონირება დროებით შეფერხდა. ცოტა მოგვიანებით კი სამცხე-ჯავახეთში ერთდროულად რამდენიმე გაზეთი გამოვიდა. კერძოდ, 1926 წელს ახალციხეში გამოდიოდა გაზეთი **„მიწათმომქმედი“**, 1933 წელს – **„მშრომელი ებრაელი“**, ხოლო 1933-1934 წლებში – **„სოციალიზმისაკენ“**. 1931 წლიდან გამოდიოდა გაზეთი **„წითელი დროშა“**. უნდა აღინიშნოს, რომ 30-იან წლებში (1936-1939) ასპინძაში იბეჭდებოდა გაზეთი **„ბაგბან“**, ხოლო 1939-1941 წლებში – **„სოციალისტური სოფელი“**. ცოტა მოგვიანებით, მმართველობის რაიონული დაყოფის შემდეგ, როცა სამცხე-ჯავახეთიც დაიყო ხუთ რაიონად, შესაბამისად, თითოეულს ჰქონდა საკუთარი ბეჭდვითი ორგანო. კერძოდ, ასპინძაში იბეჭდებოდა გაზეთი **„ასპინძა“**, ახალციხეში – **„წითელი დროშა“**, ახალქალაქში – **„შუქურა“**, ადიგენში – **„განახლებული მესხეთი“**. დასახელებულ გაზეთებს პოლიტიკურ-საინფორმაციო, ლიტერატურული მისია ჰქონდა დაკისრებული და მოსახლეობის სამსახურში იდგა.

ადგილობრივი პრესის განვითარება-გაფართოების თვალსაზრისით საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა გასული საუკუნის 90-იანი წლები. იმ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა სასიკეთო გავლენა მოახდინა პრესაზე. ქალაქ ახალციხეში, ეკონომიკური შეჭირვების მიუხედავად, ერთდროულად რამდენიმე გაზეთი გამოდიოდა: **„მესხეთის უნივერსიტეტი“, „სამცხე“, „ახალციხე“, „სამცხე-ჯავახეთი“, „ბორჯომი“, „ლიტერატურული მესხეთი“, „სამხრეთის კარიბჭე“**.

ნატო ყრუაშვილი

თარგმანები

რუსულიდან გოგბერაშვილი

კონსტანტინოს კავაფის

სურვილები

(თარგმანი ბერძნულიდან)

ვით ნორჩი სხეულები ადრე გარდაცვლილების,
ცრემლით რომ გამოკეტეს ბრწყინვალე აკლდამებში,
ისე აუხდენელი ის ჩვენი სურვილები,
თავით ბრონეულებით, ფერხთით იასამანით,
ჰგვანან ტრფობის სიამეს ზაფხულის ერთ ღამეში,
ან დილის ბრწყინვალებას მოციაგე მთიებით.

ანთულა სტათოპულუ-ვაფოპულუ

თესალონიკს

(თარგმანი ბერძნულიდან)

შენს ციმციმა, ლურჯ ღამეში მისვამს ჩემი
ცრემლი მწარე,
უბედობის ჩემის დღენი შენს უბეში გავატარე.
შენს მშვენიერ სახლებს შორის დავათრევდი
სულის ვარამს,
შენთან დამრჩა ყველაფერი, რაც წავგლიჯე
ქვეყნად წკვარამს.
შენმა მიწამ ჩაიხვია, რაც ძვირფასი რამ გამაჩნდა,
სიყვარულის ტკბილ-მწარე და ჩემი სულის
ყველა განცდა.
ჩემი ტკივილების დედავ და სამშობლოვ
ჩემთა წყლულთა,
შენს ზღვას მივეც რაც მიყვარდა და ოცნებით
რაც რამ მსურდა.
შენ იცოდი ყველა ჩემი შეცოდება და სისუსტე ,
მე კი შენი ყველა ფერი ნექტარივით შევისრუტე.
შენს ტურფა მზის ჩასვენებას ჩავაყოლე
ჩემი სუნთქვა,
შენს ვარსკვლავებს შორის ვყლაპე ცრემლი
დღეთა უბედურთა.

ოდისეას ელიტის

ღირსეული არს. /სადიდებელი/

(თარგმანი ბერძნულიდან)

ფასანყისი

ღირსეულ არს ნათელი და პირველი შუქი დღის,
კაცის ლოცვა პირველი, ქვაზე ამოკაწრული;
შეძახილი ცხენ-ირმის, რქებით მზეს რომ მოუძღვის,
მწვანე ყლორტის ღიღინში დილა ამომართული.
მიწის მცირე ნაგლეჯი, წყლით გარშემოჯარული,
ნელა რომ იძირება და ყელს მაღლა იღერებს,
ლურჯი ხმების ციაგში, თავი პოსეიდონის,
ქვის მალი ბედაური, წყალი რომ მოაგელვებს.
მოსისინე ქარები, მლოცველები ერთი ხმით,
ტალღებს რომ იტაცებენ ზე, ვით
დედა ღვთისმშობელს,
სტვენა-სტვენით რომ მოაქვთ გოდებანი მაღალ მთის,
ქრიან, მოანათებენ გზა-გზა ყვითელ ფორთოხლებს.
ქარიშხალი უხეში, მძიმე განსაცდელებით, –
მორბენლები, შორეულ ცის მილებს რომ კვეთავენ;
უძველესი ერმები[1] წვეტიანი ჩრდილებით
და სანთლის სახელოსნო შავი ჭვარტლის ბოლებით.
მაისტროსი, ლევანტეს, ვორეა და ზეფირი,
ქარი ჩრდილოეთის და ქარი აღმოსავლეთის,
ტრამუნტანა, ევროსი, ტიფონი და ზეკარი,
ჭალიკონი, ბორია, ნიავი დასავლეთის.
ღირსეულ არს ტრაპეზი ქერა ღვინით – მზის სხივით,
სხვენიდან წკაპაწკუპი წვიმის წვეთთა დინების,
ქვიშაზე დარჩენილი სიბრძნის ნაფეხურები,
მცველად – ხელჩაკიდული ზორბა ტალღა-ტინებით.
ღირსეულ არს ჭრიჭინა, ეული მზახრი* მისი,
დაუმცხრალი ჟინით რომ ათასს აიყოლიებს;
ღირსეულ არს ჯვარცმული, შეურყვნელი სინდისი,
ზაფხულივით კაშკაშა, რომ ვერ დაიყოლიებ.

*მზახრი - უძველესი ქართული სამუსიკო ტერმინი, აღნიშნავს სამხმიანი სიმღერის პირველ ხმას

ეავან ბოლანდი

/ირლანდია/

ღამის კვება

(თარგმანი ინგლისურიდან)

ეს ის დროა, ძილიდან რომ გამოდიან გვირილები,
სარკესავით, წვიმის წყალში არეკლილან
ბეღურები
და ნელ-ნელა, ფეხაკრეფით მობრძანდება განთიადი,
როცა უნდა დაგვიამდეს ყველა ტკივილი და დარდი.
დიახ, დროა ადრეული, ჩემნაირი ტოროლების
და შენგვარი განძეულის ჩემნაირი მპოვნელების;
უხმაუროდ შემოვდივარ და სიფრთხილით
გიყვან ხელში,
გახვეულხარ გამორღვეულ ძველ საცვალში,
ვარდისფერში.
პაწაწინა, ვარდისფერი პირით რძის ბოთლს ექაჩები,
თითქოს, ამ გზით, შენებურად, ტკბილ
სიცოცხლეს ეჭიდები.
რძის ნალექის ბოლო ყლუპიც და შენ ცისფერ
თვალებს ახელ,
თითქოს, წყენით სავსე მზერით, ჩუმად
სიძუნწეში მამხელ.
დედამიწა იღვიძებს და შენთვის ძილის საათია.
დაიძინე, გენაცვალე, დაგღიღინებ, როგორც იას.
ო, ეს საუკეთესოა, რაც ამ ქვეყნად შემიძლია, –
ვიყო ძიძა თავშესაფრის, სადაც შენი
გაგაქვს ლელო,
სადაც შენს ხვედრს უმკლავდები, რომ სიცოცხლე
გააგრძელო.

პოლ ელუარი

სალამი, სევდავ!

(თარგმანი ფრანგულიდან)

მშვიდობით, სევდავ,
სალამი, სევდავ,
შენ ამჩნევიხარ ჭერის ხაზებში,
შენ ამჩნევიხარ მე რომ მიყვარს,
იმავ თვალებშიც.
შენ სულაც არ ხარ უბედურება,
რადაც გაქცევენ,
რადგან ყველაზე უსუსურნი, -
ბაგენიც კი, ერთი ღიმილით გაგცემენ .
სალამი, სევდავ,
ზრდილ სხეულთა სიყვარულო, –
თავად ტრფობის ძალმოსილებავ,
რომლის ღირსება, ვით ურჩხული
უსხეულო, წარმოჩინდება.
თვითგანხიბლულო,
სევდავ, მშვენიერო სანახაობავ.

როზალია დე კასტრო

შავი ჭრრდილი

(თარგმანი ესპანურიდან)

როცა მგონია, წახვედი ჩემგან,
თავზე მადგება შავი აჩრდილი
და თავად ჩემდა განსაცვიფრებლად,
ეს შენა ხარ და მწარედ დამცინი.
როს წარმოვიდგენ, თითქოს დაბრუნდი,
აელვარდება მზე, ოქროსფერი;
შენ ხარ ვარსკვლავი მკვეთავი ბინდის,
შენ ხარ ხმაური ქარიშხლის სტვენის.
ეს შენ მღერიხარ, თუ ვინმე მღერის,
ეს შენ ტირიხარ, თუ ვინმე ტირის,
წყაროს ჩურჩულის გამოძახილი,
ღამის წყვდიადი, სინათლე დილის.
შენა ხარ ჩემთვის და შენ ხარ ჩემში,
შენა ხარ ყველგან, ყველა ხმის კილო...
შენ არასოდეს არ დამეხსნები,
ჩემო მტანჯველო, შავო აჩრდილო.

---

1 მნათობის განსხეულებული ქანდაკება ხელში წვეტიანი კვერთხით.

დეჯეჟიური ისტორიიდან მსოფლიო აღმოჩენამდე

თამაზ ჩიკვაიძე

ეგვიპტეში, მეფეთა ველი (**ანუ ბიბან ალ-ბულუკის მეფეთა აკლდამები**) მდებარეობს მდინარე ნილოსის დასავლეთ ნაპირზე. კარნაკისა და ლუქსორიის პირდაპირ აღმართულია კოლოსალური სვეტებიანი ტაძრები, დარბაზები და კლდეში გამოჭრილი მეფეთა და ქურუმთა აკლდამები. მიცვალებულთა უზარმაზარ ქალაქში ზედამხედველობა და საფლავების დაცვა ევალებოდა სპეციალურად შერჩეულ პერსონალს, რომელსაც სათავეში ედგა დიდი მოხელე. დაცვა ცხოვრობდა სპეციალურ ყაზარმაში. დროთა განმავლობაში აქ შეიქმნა პატარ-პატარა დასახლებები, სადაც ცხოვრობდნენ ხსენებული მუშები, მიწის მთხრელები, ქვის მთლელები, მხატვრები.

მეფეთა ველის, ანუ მიცვალებულთა ამ უდიდესი ქალაქის გაფართოება და რეკონსტრუქცია დაკავშირებულია ფარაონ **თუთმოს-I**-ის (1545-1515 ჩვ.წ. აღრ.-მდე) სახელთან. მან პირველმა მიიღო გადაწყვეტილება – დაერღვია ტრადიცია და თავისი განსასვენებელი მოეცილებინა პირამიდიდან და მისგან, კილომეტრნახევრის დაშორებით, კლდეში გამოეჭრა საიდუმლო სამარხი-აკლდამა. ამით იგი ცდილობდა თავისი მუმია დაეცვა მძარცველებისგან. მის შემდეგ სხვა ფარაონებმაც შეცვალეს ტაქტიკა და უზარმაზარი პირამიდების ნაცვლად კლდეში ჭრიდნენ საიდუმლო აკლდამებს, თან ერთმანეთთან მაქსიმალურად ახლოს, რათა მცველებს გაადვილებოდათ მათი დაცვა. პირამიდების და აკლდამების ძარცვა საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. ხშირად, მძარცველები, დაცვის წევრთა ხელშეწყობით, ახერხებდნენ ქურდობას და ნადავლსაც ერთმანეთში იყოფდნენ.

ქურუმები მაქსიმალურად ცდილობდნენ დაეცვათ კლდეში გამოკვეთილი აკლდამები, ფარაონთა მუმიები გადაჰქონდათ ერთი სამაროვნიდან მეორეში. მაგალითად: – **რამზეს III**-ის მუმია სამჯერ გადაიტანეს სხვადასხვა ადგილზე. ბოლოს, ადგილის სიმცირის გამო, დაიწყეს რამდენიმე მუმიის ერთად ჩასვენება. მაგალითად, **ამენხოტეპ II**-ის აკლდამაში ჩაასვენეს ცამეტი ფარაონის მუმია. ქურუმები, საიდუმლოს დაცვის მიზნით, მუმიის გადამტან მუშებს ხოცავდნენ.

დროთა განმავლობაში ამ უზარმაზარი სამალავის ზუსტი ადგილმდებარეობა დავიწყებას

მიეცა და 3 000 წელი ფარაონები არავის „შეუწუხებია“. მის აღმოჩენას უნდა ვუმადლოდეთ ერთ კოლექციონერს, რომელიც, მისდა უნებურად, ამ საიდუმლოს აღმომჩენი გახდა.

1881 წელს ერთი მდიდარი ამერიკელი, რომელიც ხელოვნების დამფასებელი და მოყვარული იყო, აუყვა მდინარე ნილოსს ლუქსორამდე, იმ სოფლამდე, რომელიც მდებარეობს მეფეთა ძველი რეზიდენციების მახლობლად. მისი მოგზაურობის მიზანი იყო შეეძინა ძველი პაპირუსები და სხვა ანტიკვარული ნივთები.

ამ დროს ეგვიპტეში ფრანგი მარიეტის მოღვაწეობის შედეგად სასტიკად იყო აკრძალული სიძველეებით ვაჭრობა და, მით უმეტეს, მათი საზღვარგარეთ გატანა. ამერიკელი ეყრდნობოდა საკუთარ ინტუიციას, რომელიც დილიდან საღამომდე დარბოდა ბაზრის ვიწრო გასასვლელებში, ქოხებში და ეძებდა მისთვის სასურველ ნივთებს. ბოლოს იგი გადაეყარა ერთ ეგვიპტელს, რომელმაც შესთავაზა ანტიკვარული ნივთები. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი ამ საქმეში დილეტანტი იყო, მას მაინც ჰქონდა ეგვიპტოლოგიაში გარკვეული ცოდნა. შეთავაზებულმა პაპირუსმა, რომელიც ძალიან კარგად იყო შენახული და იშვიათი სილამაზითაც გამოირჩეოდა, იგი ისე ააღელვა, რომ არც შევაჭრებია, ისე შეიძინა და, მოათავსა რა ჩანთაში, დაუყოვნებლივ დატოვა ლუქსორი, უპრობლემოდ გაიარა ეგვიპტის საბაჟო და ჩავიდა ევროპაში. იცოდა რა, რომ იქ მას ვერავინ წაართმევდა, მისი ნამდვილობის დასადგენად, პაპირუსი აჩვენა ცნობილ ექსპერტს. აღმოჩნდა, რომ პაპირუსი არა მარტო ნამდვილი იყო, იგი ასევე შეიცავდა უძვირფასეს ცნობებს იმ ფარაონის დინასტიაზე, რომლის შესახებ ცნობები თითქმის არ მოიპოვებოდა.

ექსპერტი დაინტერესდა, თუ რა გზით მოხვდა მის ხელში ასეთი ფასდაუდებელი ნივთი. გახარებულმა იმით, რომ პაპირუსი ნამდვილი აღმოჩნდა, ექსპერტს მოუყვა მისი შეძენის ისტორიაზე. ექსპერტმა ამის თაობაზე მაშინვე მისწერა კაიროში ეგვიპტოლოგიის მუზეუმის დირექტორს, პროფესორ **მასპეროს.**

პროფესორი მასპერო მიხვდა, რომ ეგვიპტემ კიდევ ერთი ისტორიული დოკუმენტი დაკარგა. უკვე ექვსი წელი იყო გასული, რაც შავ ბაზარზე გამოჩნდა იშვიათი და, ისტორიული თვალსაზრისით, მეტად ძვირფასი ნივთები, რომელთა მეპატრონეები ევროპაში უკვე არ მალავდნენ მათი შეძენის ისტორიებს.

ისმის კითხვა: – ვინ ძარცვავდა მეფეთა სამარხ-აკლდამებს? კიდევ რამდენი აკლდამა-სამარხი შეიძლება ყოფილიყო? ეს კითხვები არ ასვენებდა პროფესორს. ვინაიდან პოლიციას ამ საქმეზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული, ამიტომ მან გადაწყვიტა თვითონ დაეწყო გამოძიება.

მუზეუმის თანამშრომელთა ვიწრო წრეში გამართულ თათბირზე გადაწყდა, – ლუქსორში გაეგზავნათ პროფესორის ახალგაზრდა ასისტენტი, რომელიც შეეცდებოდა ქურდების გამოვლენას.

დატოვა თუ არა გემი, ახალგაზრდა მეცნიერი მდიდარ ამერიკელად გადაიქცა, დაბინავდა იმავე სასტუმროში, რომელშიც ცხოვრობდა ზემოთ მოხსენიებული ამერიკელი და დაიწყო შავ ბაზარზე ტრიალი. იგი ყიდულობდა სხვადასხვა უმნიშვნელო ნივთებსაც კი, თან გამყიდველებს, ნახალისების მიზნით, დამატებით თანხასაც უხდიდა.

ერთ დღეს, ერთ-ერთი სავაჭრო ჯიხურის წინ, საათობით მდგარმა ვაჭარმა იგი მიიხმო და შესთავაზა ნივთი, რომლის ნამდვილობა ასისტენტმა უმალ შეიცნო. ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ იგი შეიძინა. მან ასევე სთხოვა ვაჭარს, რომ იგი მდიდარი იყო და სხვა ღირებულ ნივთზეც დიდძალ თანხას გადაიხდიდა. საღამოს, იმავე ჯიხურში, მას გააცნეს ერთი მაღალ-მაღალი არაბი, რომელმაც „ამერიკელს“ რამდენიმე ნივთი შესთავაზა. ნივთების ნამდვილობაზე ეჭვი არ შეუტანია, რადგან

მათზე არსებული წარწერები მას ადასტურებდნენ. ის სწორედ XXI დინასტიის ფარაონების აკლდამიდან უნდა ყოფილიყო ამოღებული. იგი დარწმუნდა, რომ მის წინ ნამდვილი ქურდი იყო და უმალ მოითხოვა მისი დაპატიმრება. მაღალი არაბი **აბდ ალ-რასული** და მისი რამდენიმე ნათესავი იმ მხარის მმართველთან – **დაუდ ფაშასთან** წარადგინეს, რომელმაც მოინდომა გამოძიების პირადად ჩატარება. გამოძიების პროცესში ყველა მონმე ერთხმად ამტკიცებდა, რომ აბდ ალ-რასული და მისი ნათესავები უდანაშაულონი და პატიოსანი ხალხი იყო, რომ სოფელში ისინი დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ და მოითხოვეს მათი განთავისუფლება. ახალგაზრდა მეცნიერის პროტესტის მიუხედავად, დაუდ ფაშამ, შესაბამისი მტკიცებულებების უქონლობის გამო, პატიმრები ციხიდან გაანთავისუფლა. ასისტენტი, რომელმაც კაიროში დეპეშა გაგზავნა – ქურდები აღმოვაჩინეთო, იძულებული გახდა ამ ცნობის უარყოფის დეპეშაც გაეგზავნა. დაუდ ფაშა აწყნარებდა აღელვებულ მეცნიერს და თვლიდა, რომ ამ საქმეში სიჩქარე არ ივარგებდა, რადგან იგი კარგად იცნობდა ამ ხალხს.

მართლაც, ერთი თვის შემდეგ, ფაშასთან გამოცხადდა აბდა ალ-რასულის ერთ-ერთი ნათესავი და ყველაფერი გაასაჯაროვა. დაიწყო ახალი გამოძიება და გაირკვა, რომ მთელი მათი სოფელი სამეფო აკლდამების ძარცვით ცხოვრობდა. ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIII საუკუნიდან მოყოლებული უწყვეტად ამ ხელობას მისდევდა მთელი თაობები. ქურდების ასეთ ხანგრძლივ დინასტიას მსოფლიო არ იცნობდა.

1875 წელს აბდ ალ-რასულმა კლდეში აღმოაჩინა პატარა ხვრელი, რომლის გაფართოების შემდეგ გადაწყვიტა შიგ თოკით ჩასულიყო და... იგი აღმოჩნდა ფარაონთა საერთო აკლდამაში. თვალის ერთი გადავლებაც საკმარისი აღმოჩნდა, მიმხვდარიყო, თუ რა სიმდიდრის მფლობელი ხდებოდა იგი. მან ეს ამბავი გაუმჟღავნა თავისი დიდი ოჯახის უფროს წევრებს, რომლებმაც საზეიმოდ დაიფიცეს, რომ საიდუმლოს არავითარ შემთხვევაში არ გასთქვამდნენ. ბოლოს იმაზე შეთანხმდნენ, რომ განძს ადგილზე დატოვებდნენ და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებდნენ. ამრიგად, აღმოჩენილი სიმდიდრე მათ საბანკო ანგარიშად გადაიქცა. იქიდან ხსნიდნენ იმდენს, რამდენიც ჭირდებოდათ. ამასობაში ოჯახიც საგრძნობლად გამდიდრდა.

ექვსი წელი შეინახეს მათ ეს საიდუმლო, თუმცა, ერთ დღეს, 1881 წლის 5 ივლისს, ფარაონთა აკლდამას აბდ ალ-რასული კაიროს მუზეუმის დირექტორის მოადგილის **ემილ ბრუგშის** თანდასწრებით, თოკით თერთმეტი მეტრის სიღრმეში დაეშვა და პირველ სარკოფაგსაც შეეჯახა, სადაც ფარაონი **სეტი I** განისვენებდა. ჩირაღდნის შუქზე გამოჩნდა ფარაონთა მთელი რიგი სარკოფაგები მუმიებით, რომლებიც უწესრიგოდ იყვნენ გაფანტულნი. ასევე უწესრიგოდ იყო მათ შორის მიმობნეული სხვა უამრავი სამარხი, ინვენტარი და ძვირფასეულობა. გაოგნებული ბრუგში მუხლებში მოიკვეთა, – რასაც ხედავდა, იმაზე ოცნებაც კი შეუძლებელი იყო. მის წინ ძველი მსოფლიოს უდიდესი მბრძანებლების მუმიები იყო, რომლებსაც თანამედროვენი აღმერთებდნენ. ყურადღებით დათვალიერების შემდეგ მანვე დაადგინა, რომ აქ იყო **იახმეს I**-ის მუმია (1580-1555 წ.წ. ჩვენს წ.-მდე), რომელმაც ეგვიპტიდან საბოლოოდ განდევნა გიკსოსები, **ამენხოტპ I** (1555-1545 ჩვ.წ.აღ-მდე), რომელიც იყო ფივას ნეკროპოლისის წმინდა მფარველი. ბოლოს, უამრავ სარკოფაგებს შორის, გამოარჩია ყველაზე სახელგანთქმული ფარაონების **თუთმეს III**-ის (1501-1447 ჩვ. წ. აღ-მდე) და დიდ **რამზეს II** -ის (1298-1232 ჩვ.წ.აღ-მდე) მუმიები. აქედან პირველმა იმეფა 55, ხოლო მეორემ – 66 წელი. სწორედ ამ ფარაონებმა შექმნეს უზარმაზარი იმპერიები.

გაოგნებულმა ბრუგშმა, სარკოფაგებზე და კედლებზე არსებული წარწერების გაცნობის შემდეგ, დაამტკიცა, თუ რა სიძნელეები გადაიტანეს ქურუმებმა, რომლებიც ღამღამობით ახდენდნენ სხვადასხვა ადგილებიდან ფარაონთა მუმიების გადმოტანას. ყველაფერს ეტყობოდა სიჩქარისა და უწესრიგობის კვალი. ზოგი მუმია პირდაპირ კედელზე იყო მიყუდებული. მან სულ ორმოცი მუმია დათვალა, ვიდრე მათ ჯერ ქურდი, ხოლო შემდეგ მეცნიერი დაინახავდა. თუ წარმოვიდგენთ, რა სიმდიდრით გამოირჩეოდა 18 წლის ფარაონ **ტუტანჰამონის** აკლდამა, მაშინ შეიძლება წარმოვიდგინოთ მასშტაბები იმ განძისა, რაც ბრუგშს ამ საერთო სამარხში დახვდა.

ამ აღმოჩენისთანავე დაიწყო მთელი ამ სიმდიდრის მიწის ზედაპირზე ამოტანა, მისი აღწერა, შეფუთვა და შემდეგ გემზე გადატანა. ტრანსპორტირების დროს მრავლისმნახველმა მეცნიერმა ისეთი რამ განიცადა, რაც თვით ფარაონთა აკლდამის აღმოჩენის დროს არ განუცდია. მთელ ეგვიპტეში ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა იმ ტვირთის თაობაზე, რომელიც გემს მიჰქონდა, მთელ სანაპიროზე მას აცილებდა თოფის სროლით და ყიჟინით ასეულობით ადგილობრივი მცხოვრები. ქალები წივილ-კივილით ესალმებოდნენ ფარაონთა მუმიებს, თავზე იყრიდნენ ქვიშას და გულმკერდს იხოკავდნენ. ამის შემხედვარე ყველა დარწმუნდა, რომ ძველი ეგვიპტე ცოცხალი იყო და თავის ფარაონებს ესალმებოდა.

ბრუგშმა ამ ექსპონატებით გაამდიდრა არა მარტო კაიროს ერთ-ერთი წამყვანი მუზეუმი, არამედ მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროს ამცნო ათეული საუკუნეების წინათ მცხოვრებ ფარაონთა შარავანდედით მოსილი ისტორია.

კულტურა

ბორჯომმა უმასპინძლა

თეატრისა და პოეზიის ბორჯომელ მოყვარულებს დიდხანს დაამახსოვრდებათ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ნიჭიერ მსახიობთან მურმან ჯინორიასთან შეხვედრის პერიპეტიები.

შეხვედრა, რომელიც ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში ამ ცოტა ხნის წინ შედგა, უჩვეულო ანშლაგის პირობებში ნარიმართა. დარბაზი ფაქტიურად ვერ იტევდა მოზღვავებულ მაყურებელს.

ცნობილმა მსახიობმა ბორჯომელთათვის, თავისი რეგიონული ტურნეს ფარგლებში, მშობლიური, შ.რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მოქმედი, სპექტაკლი – „ქარი მწყურია მე პირდაპირი“ – ჩამოიტანა.

მსახიობის არაჩვეულებრივმა და არაორდინალურმა ხმამ ძლიერი გავლენა იქონია ბორჯომელ მაყურებელზე. მსახიობის ოსტატობამ, ხმის განსაკუთრებულმა ტემბრმა, მონუსხა თეატრისა და პოეზიის მოყვარულნი. მათ დღესაც იავნანასავით ჩაესმით მსახიობის მიერ ორიგინალური კომპოზიციით გახმოვანებული ილია ჭავჭავაძის, ტიციან ტაბიძის, ტერენტი გრანელის, გალაკტიონ ტაბიძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, შოთა ნიშნიანიძის, მორის ფოცხიშვილის, მურმან ლებანიძის, უკვდავი პოეზიის მარგალიტები.

აღფრთოვანებულმა მაყურებელმა აპლოდისმენტებით გამოხატა თავისი დამოკიდებულება ნიჭიერი მსახიობისადმი და სცენიდან დიდხანს არ უშვებდნენ.

შეხვედრით კმაყოფილმა მურმან ჯინორიამ მაყურებელთან გამომშვიდობებისას გულდაწყვეტილმა აღნიშნა: – „ვწუხვარ, რომ ბორჯომელ მაყურებელთან და თაყვანისმცემლებთან დღემდე არ მქონია შეხვედრის შესაძლებლობა, მითუმეტეს, რომ ქალაქშიც და მთლიანად მუნიციპალიტეტშიც ბევრი ახლობელი მყავს.

განიხილეს ტურიზმის განვითარების საკითხები

ბორჯომში გამართული სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც ევროპის კულტურული მარშრუტების თანამედროვე გამოწვევებისა და პერსპექტივების თემას ეხებოდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, საქართველოში პოლონეთის კულტურის ინსტიტუტის ორგანიზებითა და USAID-ის პროექტიის – „Srada“-ს ხელშეწყობით წარიმართა.

ბორჯომის ღირებულებების მაგალითზე ფორუმი სამომავლოდ ინდუსტრიულ-თერმული ქალაქების ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების პროგრამაში ნომინაციის მომზადებას ითვალისწინებს და პროცესში ჩართული ინსტიტუტებისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისათვის უნარების გაძლიერებასა და პროფესიული ცოდნის გაღრმავებას ისახავს მიზნად.

ევროპის კულტურული მარშრუტების პროგრამებისთვის განაცხადების მომზადებასთან დაკავშირებით, პრაქტიკულ რჩევებთან ერთად, კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები სხვა მრავალ მიმართულებასაც გააერთიანებს. თემატური განხილვები შეეხო ბორჯომის სამუზეუმე ქალაქად გადაქცევას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის „ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული იდეა-კონცეპციას და მისი განვითარების შესაძლებლობების გამოყენებას.

ქართველი და პოლონელი სპეციალისტების მოხსენებები ასევე მოიცავდა საკითხებს, რომლებიც სამრეწველო ტერიტორიების განახლების პროცესში კულტურული მემკვიდრეობის მართვასა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ტურიზმის გამოცდილებას უკავშირდება.

თემურ ხუხუნაიშვილი

„ლექსო, არ დაიკარგები“!

ასეა წუთისოფელი

დროებითა ვართ მოსული
აქ, მხოლოდ ერთი წამითა,
მოდით, სიკეთე დავთესოთ,
ამქვეყნად, თითო რამითა.
აქ ჩვენი ნამოქმედარის
მხოლოდ დარჩება ნაცარი,
წარსულს ბარდება ყოველი
ამქვეყნიური რაც არი.
ჩვენზე მამაცნი ყოფილან
ის ჩვენი მამაპაპანი,
მხრებით რომ უტარებიათ
ცხოვრების მძიმე ჭაპანი.
ასეა წუთისოფელი,
გასაკვირალი რა არი,
სიკეთის თესვა ყოფილა
მაინც ყველაზე მთავარი.

მოხუცის ფიქრები

არ შეიძლება ოდესმე
კაცი არ გახდეს ავადა,
ყველაფერს დასასრული აქვს,
როგორც სიცოცხლეს თავადა.
წუთისოფელის დღეები
ჩაგვიქროლებენ ჩქარადა,
გამოგვერევა ჭაღარა,
უკან გაგვყვება ჯავრადა.
არაფერზე რომ იფიქრო,
დრო არ დაგინდობს თავადა,
ღმერთო, რა საშინელია
თუკი დარჩები ცალადა.
უკვე ზედმეტი გახდები,
ვის რად უნდიხარ ჭირადა,
ასეა კაცის ცხოვრება,
ჩამოფასდები ჩირადა.

ავტორ-მთქმელი ანტონ ბალახაშვილი (ტუჟუკა), 82 წლის, სოფელი უდე, ადიგენის მუნიციპალიტეტი

ბავშვთა მეგობრობის ფესტივალი სომხეთში



მიმდინარე წლის 13-14 აპრილს სომხეთის ქალაქ ეჩმიაძინმა უმასპინძლა ბავშვთა მეგობრობის მხატვრული შემოქმედების ფესტივალს, სადაც მონაწილეობა მიიღეს როგორც სომხეთის, ასევე საქართველოში მცხოვრებმა სომეხი ეროვნების მოსწავლე-ახალგაზრდებმა, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის ცენტრებისა და სამუსიკო სკოლების აღსაზრდელებმა.

ნინოწმინდის სამუსიკო სკოლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი“, უკვე მესამე წელია მონაწილეობს ხალხთა მეგობრობის აღნიშნულ ფესტივალზე და ყოველთვის წარმატებით ბრუნდება საქართველოში.

14 აპრილს ანსამბლი „იმედი“ ქ.ეჩმიაძინში წარვადგინეთ სამი ქართული ხალხური ცეკვა: – „სადარბაზო“, „აჭარული“ და „ნარნარი“. რომლებმაც, როგორც ჟიურის, ასევე დარბაზში მყოფი მაყურებლების დიდი მოწონება დაიმსახურეს.

ნინოწმინდის სამუსიკო სკოლის დირექტორი, ქალბატონი ვართუა ბარაბიანი, ანსამბლ „იმედის“ პედაგოგი, ქორეოგრაფი თამაზ მელიქიძე, ყოველთვის ცდილობენ სომეხი ეროვნების მოსწავლეები დაინტერესონ და შეასწავლონ ქართული წესჩვეულებები, ტრადიციები, ხელოვნების ისტორია და, რაც მთავარია, ქართული ხალხური ცეკვები.

ვსარგებლობ რა შემთხვევით, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერს, ქალბატონ ანივარდ მოსოიანს, კულტურის განყოფილების თანამშრომლებს, რომლებიც ყოველთვის გვერდში უდგანან ანსამბლ „იმედს“ და ხელს უწყობენ მათ ტრანსპორტირებაშიც.

სასიამოვნო ფაქტია ისიც, რომ ანსამბლი „იმედი“ მიმდინარე წლის ივნისში მონაწილებას მიიღებს ქალაქ ბათუმში, ხოლო ოქტომბერში – ქ.თბილისში დაგეგმილ ბავშვთა ფესტივალებში.

ანსამბლის მიერ მიღწეული წარმატებები, როგორც საქართველოში, ასევე სომხეთში, იმის გარანტიას იძლევა, რომ ისინი მომავალში კვლავაც გაახარებენ თავიანთი თაყვანისმცემლების გულებს.

ამალია მღდესიანი,
ქ.ნინოწმინდა

ანდაზები

***

ჭკუა ბევრჯერ დაგაკვირვებს,
საქმე ერთხელ გაგაკვირვებს.

***

მეზობელს მუცელი რომ ჩხვერდეს,
შენც ხელი დაიდეო.

***

სახლი უყურო არ გეგონოს და მინდორი უთვალო.

***

იდგა თხილი, ესხა სხვილი,
რაც მამაა, ისიც შვილი.

***

მოხუცი სახლისთვის სახლის კლიტეა.

მთქმელი ანდრო ინასარიძე, სოფელი ანდრიაწმინდა, ახალციხის რაიონი, ჩაწერილია 1999 წელს

ფოლკლორი

***

ბადელაზე გადმოიარა
ურჯულოთა დიდმა ჯარმა,
ჯერ თოფები ააყეფეს,
ხმაც გაიღო ბასრმა ხმალმა,
ველ-მინდორი აახრჩოლეს,
ცა აწითლა ცეცხლის ალმა.

***

ხვანას წავედით სათიბში, –
კაი სამუშაო დღე არი,
თავზე დაგვადგნენ თათრები,
იწყეს ხანჯლების ტრიალი,
ჩვენ ხო ყოჩაღად დავუხვდით,
დედა ვუტირეთ ტიალი!

***

ნუღარ ტირიხარ, დედიჯან,
ხვანელნი ჩვენკენ არიან,
წინ წავუძღვები ვაჟკაცებს,
თითო ქვეყნისა თვალია,
ურჯულოთ ფიცხლად შევუტევთ,–
დავაყრევინოთ თავია.

***

თათარო, როდი შეგარჩენ
ჯავრს გიორგისი, ძმისასა,
ისე გაგიხდი საქმესა,
ლოკამდე მიწა-ქვიშასა.

***

სტეფანე შეჯდა ცხენზედა
ვაჟკაცი, ნაომარია,
თან წაიყვანა ანტონა,
ალესილი აქვს ხმალია,
წინ შეეყარნენ თათრებსა,
ცხრაპირ გააძრეს ტყავია,
დიდხანს იომეს, იქამდინ,
მინამ უჭრიდათ თვალია,
გამთენიისას დაბრუნდნენ,
თვითონაც ნახანჯლარია.

***

კაცნო, ნუ წახვალთ ბადელას,
გზა ვიწრო, ლელიანია,
აქა-იქ ჰყრიან თათრები
სულ ყველა ხმლებიანი,
თუ წახვალთ, ვერ დაბრუნდებით,
დღე დაგიდგებათ ბნელია.

***

მესხი ბიჭი ვარ, ვაჟკაცი,
ალალი მწყემსი, მშრომელი,
მთაში, ზეკარზე გაზრდილი,
ბრძოლაშიც შეუდრეკელი.
სამშობლოს მოსიყვარულე,
ოჯახის დაუთმობელი.

***

ხვანელნი ომსა ნატრობდნენ,
ერთად ვართ ცხრანი ძმანია,
წინ წავუძღვებით ლაშქარსა,
რომ ვისახელოთ თავია.
ერდოებიდან გვიცქერდნენ
შავთვალა ქალთა ჯარია,
ბევრ მათგანს მოვეწონებით,
დაავიწყდებათ ქმარია!

დედის ნატვრა

მინდა, რომ იყო ვაჟკაცი,
ცხრათვალა მზისა დარია,
მოყვრის გამხარე, მტრის მგმობი,
ერთგული, არა ფლიდია,
ხმალსა ხმარობდე ხელმარჯვედ,
მტერს ჰქონდეს შენი რიდია,
ქვეყანას შენი იმედი,
მომლხენი, სუფრა დიდია,
ასე ამბობდნენ საქვეყნოდ:
– რომ დედის გამოზრდილია!

მთქმელი ოსიკო (იოსებ) გიქოშვილი, ახალციხე, სოფელი ივლიტა, 84 წლის, ჩაიწერა სოსო გიქოშვილმა 2018 წელს

***

ლეკის ბელადმა, რომელიც ცალკე ნაწილს შეადგენდა თათრის ჯარისას, შეუთვალა ასპინძაში: ჯარი რაზედ დაგიხოცოთ, ჩვენ თვითონ გავიდეთ ერთმანეთზედო. კარგიო, შე წუწკო, შენ მოითხოვო?!.. უთხრა ერეკლემ, შეჯდა თავის გარდაზედ (ცხენს ეძახდა თავისას, ყოჩაღო, თითქმის ფრინანდაო) თითონ კი პატარა კაცი იყო, მამიჩემისგან გამიგონია, მაგ ასპინძის ომში იყო. – „გამექეციო“, – უთხრა ბელადმა. გაიქცა და გამოუდგა, რომ დაუქნია ხმალი, თურმე,, ცხენმა წინ გაიტაცა და ვერ მოასწრო მოეხვედრებინაო. მერე უთხრა ერეკლემ: გაბრუნდი ახლა შენაო. როგორც გაბრუნდა, ჰკრა და მარჯვენა ხელი მოაგდებინა ერეკლემ. მერე დაერივნენ. სულ გაჟლიტეს.

ჩიტი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ჩიტი. ის ჩიტი დაიჭირა ერთმა გლეხმა კაცმა. ეს კაცი იყო ძალიან ღარიბი, ისე რომ, ჭადის ლუკმა ენატრებოდა და უთხრა თავის ცოლსა: დედაკაცო, ეს ჩიტი დავკლათ და პურის მაგივრად შევჭამოთ, თითო ლუკმაო. მაშინ უთხრა ჩიტმა: ოღონდ გამიშვი და ბედსა გწევო. გლეხმა უთხრა: შენთვის რა გაქს და მერა ბედი უნდა მწიოო. მაშინ უთხრა ჩიტმა: მოდი, ჩემს სოფელში, იქ მეჯინიბე იქნება, იმას ჰკითხე და ის გასწავლისო. გავიდა რამდენიმე კვირა და გასწია იმ გლეხმა ჩიტისაკენ. მივიდა, ჰკითხა მეჯინიბეს, რო სად არის ჩიტების ბატონიო. აქვეა, სასახლეშიაო. რა უნდა ვთხოვო, აქვს რამეო?

– როგორ არ აქვსო.

– რა ვთხოვოო.

– ასე უთხარიო, რო შენ რომ ერთი ვირი გყამს, ის მომეცი-თქო. ის შეგიყვანს, ორი დღე გაჭმევს და მესამე დღეს უთხარი, რაც გინდაო, მოგცემს და გამოგისტუმრებსო. მართლაც ენგრე ჰქნა. შევიდა, ორი დღე და ღამე ასვა-აჭამა და მესამე დღეს უთხრა, რომა, მამე ვირიო. მისცა და გამოისტუმრა. რო გამოვიდა, უთხრა მეჯინიბეს, რისთვის მინდა ეს ვირიო. იმან ხმა გასცა. აიღო ერთი სახრე და დაარტყა. ვირმა ოქროები გადმოყარა. გაეხარდა ამ კაცს და სიხარულით წაიყვანა შინა.

66. სცსს-33,საქმე 171, N68. ჩაწერილია ანდრია გოზალოვის მიერ.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

დამფუძნებლები: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

გაზეთის რედაქცია სარგებლობს თავისუფალი პრესის პრინციპებით და ავტორის მოსაზრებებსა და გამონათქვამებზე პასუხს არ აგებს

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. “საარის” სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit–meskheti@yahoo.com